

# ქვეყანა

გერმანული  
ბიბლიოთეკა



# ქვეყანა


42



საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება  
ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ  
GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF CULTURAL MONUMENTS



ეროვნული  
ცენტრი  
ფოლკლორისა და  
ეთნოლოგიის



აქ და გარეკანზე ექსპონატები ქართული ხალხური ხეროთმოძღვრებისა და უოფის მუზეუმიდან.

Здесь и на обложке экспонаты из Музея народного зодчества и быта Грузии.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

სერია: „მატირიალური კულტურის ძეგლები“

# ქველის ქობიანი

ქართული მკვლევართა



ქართული  
ენციკლოპედია

სერიის რედაქტორი — ოთარ ჩერქეზია  
რედაქტორი — გიორგი ჩიტაია

Редактор серии — Отар Черкезия  
Редактор — Георгий Читая

გ ა მ მ დ ი ს   ს ა ზ რ გ ა დ მ ა ბ რ ი ვ   ს ა წ უ ი ს ე ბ ზ ე ბ

---

სარედაქციო კოლეგია: ირაკლი აბაშიძე, ვახტანგ ბერიძე, ირაკლი გოლჭვაძე (პ/მკ. შიგინი), ლადო გუდიაშვილი, ოთარ თაყთაყვიშვილი, ირაკლი ჯაპარიანი, ნიკო კაცორავა, ოთარ ლორთქიფანიძე, ლევან მატარაძე, ოთარ სანთლაძე, თინათინ ფირაძე, გიორგი ჩიტაია, ვახტანგ ცინცაძე.

## ანთროპომორფული გამოსახულებანი ქართულ ხალხურ ორნამენტში

ანთროპომორფული (ადამიანის სახის) გამოსახულებანი უაღრესად ფართოდ არის გავრცელებული ქართულ ხალხურ დეკორატიულ ხელოვნებასა და საწესო მხატვრობაში. ამ ფიგურებს დეკორში ყოველთვის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს და ანალოგიურ კომპოზიციურ სტრუქტურებში ხშირად ჩაენაცვლებიან დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიმბოლო — ნიშნებს. ხან კიდევ ამ ნიშნებთან ერთად არიან გამოსახულნი.

ანთროპომორფული ფიგურები სხვადასხვა სახის ძეგლებზეა გამოსახული. მათ ვხედავთ საცხოვრებელ ნაგებობათა კედლების გარეპირზე, საკრძალავ აკლდამებზე, საქონლის სადგომის ტიხარზე, დედაბოძებზე, სავარძლებზე და მერხებზე. გამოსახვის ასეთი წესი უნდა აიხსნას მათი ზებუნებრივი ძალით, ავი თვალისაგან დაცვის უნარით. თუმცა ზოგიერთ ძეგლზე, მაგ. დედაბოძებზე, საქონლის სადგომის ტიხარზე ისინი სრულიად განსაკუთრებულ სემანტიკურ ელერადობას იძენენ.

ფიგურათა შორის შეიძლება რამდენიმე ქვეკატეგორიის გამოყოფა. ესენია: ინდივიდუალური თუ კგუფური ფიგურები, ასტრალური ნიშნებით აღბეჭდილი და უნიშნო გამოსახულებანი, ფეხოსნები და მხედრები, ფალიური და უსაქესო რიტუალის მომქმედნი (ადორანტები, მეფერხულენი), თუ ყოფით პროცესში მყოფნი (მაგ. თოფით მონადირენი, თანამედროვე სამოსელით მორთული, ნატურალისტური ფიგურები); ხაზოვანი და სილუეტური სტილიზებული ფიგურები თუ თანამედროვე იერით შესრულებული „პორტრეტები“ მკვეთრი ინდივიდუალური ნიშნებით. უფრო ადრეული და სემანტიკურად რთული გამოსახულებები ხაზოვანად, ან სილუეტურად არის შესრულებული, მოკლებული არიან ყოველგვარ ინდივიდუალობას და რაღაც ზოგად იდეას განახაზიერებენ, მაშინ როცა ახალი დროის ძეგლები „პორტრეტულია“, და „სემანტიკური მხარე სრულიად გაქრობიათ.


სხენებულ ფიგურათა კლასიფიცირებასა და დამუშავების დროს ყურადღება უნდა მიექცეს მთელ დეკორატიულ ანტურაჟს და კომპოზიციურ სტრუქტურას, როგორც ცალკეულ ელემენტთა ხასიათისა და ღირებულების განმსაზღვრელ საერთო გარემოს. ფიგურათა სემანტიკური ველისა და სიმბოლური მნიშვნელობის დაზუსტებისას ამოსავალ წერტილად უნდა მივიჩნიოთ მათი დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიმბოლო — ნიშნების (მზე, ვარსკვლავი) მონაცვლეობა დეკორატიულ სისტემაში როცა ანთროპომორფული ფიგურები, მთელი სტრუქტურის თვალსაზრისით, აღნიშნულ ნიშანთა ადეკვატურ ღირებულებად განიხილებიან. ასევე მნიშვნელოვანია თავად ობიექტის ხასიათის (როგორც სამეურნეო, ისე საკულტო) გათვალისწინება, რომელზედაც ჩვენთვის საყურადღებო ნიშნებია გამოსახული.

ეს გამოსახულებები ქართველთა უძველეს რწმენა-წარმოდგენათა საფუძველზეა აგებული და პარალელური მონაცემები მრავლად მოეპოვება არქეოლოგიურ მასალაში, ადრესამიწითმოქმედო ხანიდან მოყოლებული ლითონის განვითარებული ინდუსტრიის ეპოქის ჩათვლით. მიუხედავად იმისა, რომ მასალა დროის ასე დიდ მონაკვეთზეა განლაგებული, ამ ძეგლებს მრავალი საერთო ნიშანი გააჩნია, რაც უწყვეტ ხაზად გასდევს მათ სემანტიკას მთელი ისტორიის მანძილზე.




ანთროპომორფულ ფიგურათაგან განსაკუთრებით საინტერესო ჩვეულებრივად აღორანტა (მლოცველთა) ჯგუფი. ამ აღორანტებს ხელები ზეაპყრობილი აქვთ მხარის სიმალღეზე და თითქოს კურთხევას გადმოუკლებენ მსმენელთ თუ მასურებელთ. ეს ფიგურები ძირითადად ხაზით ან სილუეტითაა გამოსახული, მეტისმეტად სტილიზებულია, თავის მაგივრად ასტრალური სიმბოლო, წრით გარემოცული რადიალური განსხივება აზის, ხოლო სხეულის და კიდურების მთელი ფართობი ღრმა ჭედებითაა შევსებული. ხშირად ეს ფიგურები ითიფალურია. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამ ფიგურებს უჭირავს კომპოზიციური ცენტრი, ე. ი. შემსრულებლისათვის უპირველესი მხატვრულ-იდეური მნიშვნელობის ელემენტი ყოფილა. ამასთანავე საყურადღებოა ისიც, რომ ფიგურებს საერთოდ არავითარი ინდივიდუალური ნიშანი არ გააჩნია. ისინი რაღაც ერთობ გასაგებასა და ზოგად იდეას გადმოგვცემენ, რის გამოც უნდა შემუშავებულიყო მათი გარეგნული გაფორმების ასეთი სტილი და ატრიბუტთა სისტემა. ამ ფიგურათა ერთადერთი განმასხვავებელი ელემენტია თავის მაგიერ დახმული ასტრალური ნიშანი. იგი ხან უბრალოდ წრეა, ან წრიული ლაქაა, ხან რადიალურად განსხივებულ მუხვ წარმოგვიდგენს, ანდა გადმოცემულია მგორავი, მცბუნვარე მზის სიმბოლოთი, ბორჯღალათი. ორ უკანასკნელ შემთხვევაში ფიგურათა თავი სოლარული ნიშანია. საფიქრებელია, რომ სხვა შემთხვევებშიც სოლარულ წარმოდგენებთან უნდა ვკავშირდებოდეთ, რომ სხვა შემთხვევებშიც სოლარულ წარმოდგენებთან უნდა ვკავშირდებოდეთ, რომ სხვა შემთხვევებშიც სოლარულ წარმოდგენებთან უნდა ვკავშირდებოდეთ, რომ სხვა შემთხვევებშიც სოლარულ წარმოდგენებთან უნდა ვკავშირდებოდეთ.

ამ ფიგურათა განსაკუთრებულ მნიშვნელობას მათი გამოსახვის ადგილი განსაზღვრავს. მათ ვხვდებით, საცხოვრებლებზე, დედაბოძებზე, საქონლის სადგომის ტიხარზე (სვანეთში), მამაკაცთა მერხებზე პირველ რიგში ისინი დამცველ ძალებად გვევლინებიან, მაგრამ ამ გამოსახულებათა დატანა დედაბოძზე საშუალებას გვაძლევს უფრო კონკრეტულად წარმოვიდგინოთ მათი სემანტიკური გარემო. დედაბოძი ოჯახის საკულტო ცენტრი იყო და სიცოცხლის ხის ერთ-ერთ სიმბოლოდ მიიჩნედა. სიცოცხლის, ანუ ცხოვრების ხე ქართულთა და ძველი ხალხების წარმოდგენით კოსმოგონური ხეა, რომლის წვერო ცას ებჯინება და მასზე ღვთაებები და მნათობები ბინადრობენ. ეს ბოძი კერასთან იყო აღმართული და იჭერდა დარბაზის გვირგვინს, რომელიც შესაძლოა სიმბოლურად ცის ანალოგიურ ცნებად იყო გააზრებული. სწორედ ამიტომ იკვეთებოდა დედაბოძის პირზე მზე, ვარსკვლავები და მთვარე, ჯვრები, ხელები, ითიფალური სოლარული ღვთაებები, რომლებიც მზიურ, მამრობითი ძალის აღორძინებად ღვთაებებს განასახიერებენ. საკულტო კერასთან აღმართულ ბოძს უაღრესად დიდი ტრადიცია აქვს საქართველოს ტერიტორიაზე. ჯერ კიდევ ადრესამიწათმომკმედო კულტურებში ამგვარი ბოძებისა და კერის გარშემო აღმოჩენილია ითიფალური ფიგურები, ასტრალური ნიშნებით აღბეჭდილი ფილები, — სწორედ იმ რელიგიურ-სიმბოლური კონტექსტით დატვირთული საგნები, რასაც დედაბოძის დეკორი შეიცავს.




მთიულური შერბი.

Скамья из Мтиулети.



ასევე საინტერესოა მეფერხულეთა გამოსახულებანი, რომლებიც ფიქსირებულია სვანეთში საქონლის სადგომის ტიხარებზე აქ წარმოდგენილია ხაზოვნად შესრულებული, ძლიერ სტილიზებული, ფალიური ნიშნებითა და ასტრალური თავით აღბეჭდილი, ხელიხელგადახვეული ფიგურებს მწკრივი, რომლებიც წრიულ ცკვას ასრულებენ, რაც ასე ნიშანდობლივი იყო ქართველთა წინაქრისტიანული საკულტო პრაქტიკისათვის, ამდაგვარი მოცეკვავეების გამოსახვას ისევ და ისევ მამრობითი, აღდგენადი ღვთაებების კულტისაკენ მიყვევართ, სადაც ფუძისეული იდეები სოლარული კულტის ბაზაზეა აღმოცენებული. ასევე შეიძლება აქ ადრეული მიწისმოქმედთა სამეურნეო ციკლის აღრიცხვის ანარეკლიც შევამჩნიოთ. როგორც ცნობილია, წრიული ქმედობანი ცის სხეულთა კულტთან იყო დაკავშირებული, და სათავეს იღებს არა ამ სხეულთა სიმრგვალისაგან, არამედ ხილულ და უხილავ ცაზე მათი წრიულად მოძრაობის იდეისაგან, რომელთანაც უშუალო კავშირში განიხილებოდა სეზონთა ცვალებადობა. ითი-ფალურ მოცეკვავეთა ფიგურები კი, როგორც ცნობილია, ფრიად გავრცელებული ყოფილა ჩვენს ტერიტორიაზე და მუდამ ნაყოფიერების კულტთან იყო დაკავშირებული.






მთიულური მერხი.

Скамья из Мтиулети

თუშური მერხი.

Скамья из Тушети



რაც შეეხება ანთროპომორფულ ფიგურათა მესამე ჯგუფს, მხედრებს, მათ დედაბობაზე არ ვხვდებით, მაგრამ სხვა დეკორირებულ ობიექტებზე ერთობ ხშირია მათი გამოსახვის ტრადიცია. ყველა შემთხვევაში მათ ბევრი საერთო ნიშანი ახასიათებს და ძლიერ ენათესავებიან შემოსხენებულ ადორანტებს. მხედრები ძირითადად ყოველთვის ხაზოვანად ან სილუეტითაა შესრულებული ფიგურები ძლიერ სტილიზებულია და მეტად შორდება ნატურალურ მოდელს. თავის მაგიერ სფერო ან წრიული ლაქა აქვს, ისე, რომ სახის ნაკვეთები სრულიად იგნორირებულია. მხოლოდ ერთ შემთხვევაში, მთიულური მერხის საზურგეზე ვხვდებით მხედრის დეკორირებულ სილუეტს, რადიალურად განსხივებული, წრიული თავით, ეს მხედარი, როგორც ფორმით, ისე რელიგიურ სიმბოლური გააზრებით მის გვერდით გამოსახული ადორანტების ანალოგიურ მოვლენას წარმოადგენს. ასევე ჩამოგავს იგი დედაბობაზე გამოსახულ ადორანტებს. ამიტომ ეს ცხენოსნები შეიძლება მივიჩნიოთ იმავე მნიშვნელობის ფიგურებად, ოღონდ ცხენებზე არიან ამხედრებულნი. ასეთივე ვითარება მეორდება ხაზოვანი მხედრების მიმართ, რომლებიც საკრძალ აკლდამებზე, საცხოვრებლებზე და საქონლის სადგომის ტიხარებზე არიან გა-



მოსახლნი. ხაზოვანი და სილუეტური აღორანტები თუ მხედრები ერთი იდეოლოგიის სისტემიდან მომდინარეობენ და შესაბამისად ერთსა და იმავე საკულტო პრაქტიკაში არიან დამკვიდრებულნი.

ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში, ერთობ მრავალი ცნობა მოგვეპოვება ცხენოსანი ღვთაებების შესახებ. ეს განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთს ეხება. მთიელთა მეომარი ხატები სხივისანი, ნათლითმოსილი მეომრების სახით წარმოიდგინებიან, რომლებიც ლურჯ ცხენზე ამხედრებული მიუძღვიან თავიანთ საყმოს და მტერთა ძლევაში ეხმარებიან. ასეთია, მაგალითად, ლაშარის ჯვარი ხალხური ლექსის მიხედვით და ასეთსავე წარმოგვიდგება იგი ვაჟა-ფშაველას პოემაშიც.

მხედართა გამოსახულებები საქართველოში საკმაოდ მრავალადაა მოპოვებული ძირითადად ძვ. წ. პირველი ათასწლეულის დამდეგიდან. როგორც სპეციალისტები ფიქრობენ პირველი ათასწლეულის შუა ხანებში უკვე უნდა ჩამოყალიბებულიყო მეომარი ღვთაება — მხედრის იკონოგრაფიული სახე, რომელიც შემდგომ ქრისტიანობამ შეითვისა, გველეშაპებთან, ე. ი. ბოროტ ძალებთან და ქვესკნელისა და ბნელეთის განმასახიერებელ ურჩხულთან მებრძოლის სახით. საფიქრებელია, რომ სწორედ ამგვარი მეომარი ღვთაების ერთ-ერთი ვერსია უნდა იყოს ჩვენი ხალხური მხედრები, რომელთა სემანტიკური ძირა აღრესამიწათმოქმედო ხალხებისათვის დამახასიათებელ აგრარულ და ასტრალურ წარმოდგენათა სამყაროდან მომდინარეობს, რაზედაც ნათლად მიგვითითებს ამ ფიგურათა გარემომცველი სიმბოლოების შხიური ბუნება.

ამდენად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართულ ხალხურ ხელოვნებაში ფიქსირებული ანთროპომორფულ გამოსახულებათა სხვადასხვა ჯგუფები, რიც შემთხვევაში, თავად ღვთაებათა გამოსახულებებად უნდა მივიჩნიოთ, რიც შემთხვევაში კი რიტუალურ ქმედობათა პროცესს გადმოგვცემენ. ეს გამოსახულებანი ასტრალურ-კოსმოგონიურ, კერძოდ სოლარულ წარმოდგენებად არიან დაკავშირებული, რაზედაც მიგვითითებს შესაბამისი სიმბოლო — ნიშნები, ხოლო ღვთაებები, რომელთაც ისინი განასახიერებენ, მამრობითი აღორძინებადი ძალების მატარებელი ღვთაებები არიან. ეს ძეგლები ხალხური რწმენა-წარმოდგენების ძველი ფორმების ნათელი ილუსტრაციაა და მათი შესწავლა მეტად საინტერესო პერსპექტივებს შეიცავს. ამ წარმოდგენათა გამოკვლევა ბევრს შემატებს ხალხური კოსმოგონიის შესწავლას, რასაც დიდი ადგილი უჭირავს ემპირიული აზროვნების ისტორიაში; და მნიშვნელოვან როლს თამაშობს სამეურნეო პრაქტიკაში. მით უმეტეს, რომ ძველი წარმოდგენები თანამედროვე ეპოქაში სწრაფად ქრება და ცოტა ხნის შემდგომ მათი აღდგენა საერთოდ შეუძლებელი გახდება.





**სამეურნეო ნაგებობანი (საქონლის სადგომები) საქართველოში**

საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, საზოგადოების მატერიალური და სულიერი კულტურის ასახვასთან ერთად, გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ადამიანთა სამეურნეო მოღვაწეობის ხასიათის შესახებ. სამეურნეო სადგომებში მკაფიოდ მოჩანს კონკრეტულ ბუნებრივ-გეოგრაფიულ გარემოში მოცემული მეურნეობის დარგები და სახეები.

საქართველოში საქონლის სადგომის შესწავლისას გათვალისწინებულია ის გარემოება, რომ ერთ შემთხვევაში ქართულ მეურნეს საქონელი საოჯახო პირობებში ჰყავდა, ხოლო სხვა შემთხვევაში კი პირუტყვის სამყოფი წელიწადის სხვადასხვა დროის მიხედვით იცვლებოდა.

ქართული ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე შექმნილი მსხვილფეხა და წერილფეხა საქონლის სადგომების ძირითადი აღნაგობა და შინამოწყობილობა საქართველოში ზოგადად ერთნაირია.

საქართველოს ტერიტორიაზე ენეოლითურ და გვიანბრინჯაოს ფენების განათხარ მასალებში დასტურდება საქონლის სადგომების არსებობა. წერილობითი მონაცემები საქონლის სადგომების შესახებ მოცემულია ძველ ლიტერატურულ და ისტორიულ ძეგლებში (დაბადება, ბასილი დიდი ნიკორწმინდელის სიგელი).

საქართველოში საქონლის სადგომები მოხსენებული და აღწერილია გიულდენშტედტის, კლაპროტის, პაქსტაუზენის პეტცოლდის, პანტიუხოვის, ვერმიშევის შრომებში.

საქართველოში საქონლის სადგომების საერთო დამახასიათებელი ნიშანია საქონლის სამყოფის და საცხოვრებელი სახლის ერთ კომპლექსში გაერთიანება.

როგორც ცნობილია, მთის ზოლის მეურნეობა ხანგრძლივი და ცივი ზამთრის პირობებში მოითხოვს ნაგებობათა ისეთ ტიპს, რომელიც ითავსებს „სახლს“, „ბოსელს“, „ბედელს“. როგორც ადამიანის სამყოფელი, ცხოველების სადგომი, ასევე ადამიანის საქონლის მარაგისა და ცხოველის საკვების საცავი, ერთ ჭურჭვეშა გაერთიანებული და ვერტიკალურ განზომილებათა მოცემული (სვანეთი, მთის რაჭა, ხევსურეთი, თუშეთი, ხევი).

სულ სხვა ვითარებაა საქართველოს ბარში, სადაც საქონლის სამყოფი, ადამიანის სადგომი და ასევე ადამიანის და პირუტყვის საკვების საცავი, საერთო კომპლექსშია და პორიზონტალურ ჭრილში ლაგდება. ეს სადგომები რამდენიმე სახურავის ქვეშ არის მოცემული და ცალკეული ნაგებობების სახითაა წარმოდგენილი (ქართლურ და მესხურ-ჯავახური დარბაზი). დანაწევრება ამკარავდება, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ეს ნაგებობა-კომპლექსი მიწიდან ზემოთ ამოდის. ცალკე ნაგებობის სახითაა მოცემული სახლი, ბოსელი, საბძელი, ბედელი, მარანი. პირველ და მეორე შემთხვევაშიც ადამიანები და ცხოველები ერთ კედლით ან ბორონელით იყვნენ გამიჯნული.

სხვა შემთხვევაში კი სამეგრელოში, იმერეთში, გურიაში, რაჭაში, ქართლ-კახეთის გომურ მიწურ სახლში, ფშაურ სახლ-გომურში, მთიულეთის სახლ-ბოსელში ადამიანს და საქონელს ერთ სამყოფში უცხოვრიათ, საფარი არ მიჯანვდა. პირუტყვი სახლის ერთ მხარეს, ძელებით ან ფიცრით დაფენილ ბოგაზე იდგა. საქონლის ჩასაყრელად ერთ მხარეს მას საპირეს ან ბაგას გაუკეთებდნენ. ასეთი სადგომი, სადაც ადამიანებს და სა-



ქონელს ერთ ჭერქვეშ საერთო სამყოფი ქონდათ, ძველ საქართველოში სახლად იწოდებოდა. ქართველ ტომებს ასეთი სახლები დიდი ხნის განმავლობაში შემორჩათ.

საქონლის სადგომის ცვალებადობის შედეგად საქართველოს ბარში, ზოგ შემთხვევაში, საქონლის სადგომი სახლს გვერდზე ან უკან აქვს მიდგმული. ბოსელი ზოგჯერ საბძელ-სასიმინდის ქვეშ არის მოთავსებული. გარკვეული ხანის შემდეგ საქონლისათვის დამოუკიდებელ ნაგებობას აგებენ, რომელიც საცხოვრებელ ნაგებობათა კომპლექსის გარეთ არის მოქცეული და საკუთარი სახურავი გააჩნია. ასეთი მსხვილფეხა საქონლის საზამთრო სადგომის აღსანიშნავად, დასავლეთ საქართველოში ბოსელი იხმარება, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში კახეთში, ქიზიყში. ფშავში, ქართლში, მთიულეთ-გუდამაყარში, ბოსელთან ერთად გომი-გომურიც დასტურდება. ბოსელ-გომურში დაგებულია საქონლის საწოლ-სადგომი, რომელსაც აღმოსავლეთ საქართველოში ზღვე ეწოდება, ხოლო დასავლეთ საქართველოში კი ზოგა აქვია. ბოსელში კედლის გაყოლებით საჭმლის ჩასაყრელია მოწყობილი, რომელიც ბაგის სახელით არის ცნობილი, დასავლეთ საქართველოში კი მას საპირესაც ეძახიან. საერთოდ საქონლის სადგომში ყოველი სახის საქონელს თავისი ადგილი აქვს მიჩნეული. საქონლის სადგომის ასე მტკიცედ გამოიჯნა განპირობებული იყო იმით, რომ ყოველ საქონელს თავისი საკვები და კვების რეჟიმი ქონდა. საქონლის ბაგაზე დაბმა გამოცალკევების გარდა, საკვების რაციონალურად გამოყენების შესაძლებლობასაც იძლეოდა.

ეთნოგრაფიული და ლიტერატურული მონაცემების გათვალისწინების შედეგად საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში დადგენილია მესაქონლეობის ღვთაების სახელწოდება ბოსლა, დღესასწაული ბოსლობა, რომელშიც მოცემულია მაგიური მოქმედებები, შესაწირავები, მოკოტრების რიტუალი ლოცვა-ვედრება, რომლის მიზანს საქონლის გამრავლება და მფარველობა შეადგენდა. ღვთაებისა და დღესასწაულის სახელწოდება ბოსლა, ბოსლობა აგრეთვე ნაგებობის სახელწოდება, დღემდე შემორჩენილი.

დადგენილია გომურის უფრო ადრინდელი სახე, რომელიც შემონახულია სვანურ გულში.

საკოლმეურნეო წყობილების პირობებში საქართველოს მთაში სამეურნეო დანიშნულების ნაგებობანი, რომელიც ერთ ჭერქვეშ იყო მოქცეული, თანდათანობით ცალკევდება საცხოვრებელი სახლისაგან და გარეთ არის გამოტანილი.

გაზაფხულის, ზაფხულის და შემოდგომის პერიოდში სოფლად საკარმიდამო ეზოში ან ეზოს გვერდით, მსხვილფეხა საქონლის დასაყენებლად შემოღობილია გარკვეული ზომის ფართობი, ზოგჯერ იგი ქვითაა შემორაგული და კარი აქვს დატანებული. საზაფხულო სადგომს სამეგრელოში — ქართა, გურიაში — ქალტა || ჩიხი, იმერეთში ქალტა, ჩიხი || საჩიხე, რაჭა-ლეჩხუმში ჩიხი || საჩიხე, სვანეთში ლეჭრთე ' ეწოდება. ქართლში, კახეთში, მესხეთ-ჯავახეთში, ქიზიყში, ხევსურეთში, ფშავში, მთიულეთ-გუდამაყარში, თუშეთში, ხევში ბაკს უწოდებენ.

ცნობილია, რომ ქართა ქართლთან არის დაკავშირებული. რამდენადაც „ქართლში“ აკროპოლის“ (ქალაქის) ციხესიმაგრის გალავანშემოვლებული ადგილის მნიშვნე-



ნელობა იგულისხმება, მისი თემატიკური სიახლოვე დასავლურ ქართულ ქართულთან, რაც შემოზღუდულ ადგილს ნიშნავს, ამკარაა.

საქართველოში, იქ სადაც მეცხვარეობას მეტი მნიშვნელობა ჰქონდა მინიჭებული ცხვრისსათვის მინდორში ცალკე სადგომია გამართული. ზოგჯერ კი (ცხვრის მკირე რაოდენობის დროს) მსხვილფეხა საქონლის სამყოფში ერთ-ერთი კუთხე ცხვრისსათვის არის განკუთვნილი.

ქართლში, ქიზიყში, კახეთში, თუშეთში, ფშავეში, მთიულეთ-გუდამაყარში და ხევში ცხვრის საზამთრო ბინას ფარეხს ეძახიან. ფარეხში მოსაგები ცხვარი ცალკეა, მოგებული ცალკე, ცალკეა აგრეთვე ჭედილა-ყოჩი.

სამეგრელოში—ოშურე, იმერეთში, გურიაში, რაჭაში საცხვრე — პატარა ფიცრული სადგომია, ზოგჯერ მოწნული.

სამეგრელოში მარაკა, იმერეთ-გურიაში, რაჭაში სათხებო მოწნულ შემოდობილი, ბოძებზე შემდგარი თხისთვის განკუთვნილი პატარა შენობაა.

საქონლის საზაფხულო სადგომი აღმოსავლეთ საქართველოში ბაკია, ხოლო დასავლეთ საქართველოში ქართა, აგუარა, ჩიხი|საჩიხე.

საქართველოში სოფლის მოსახლეობას ძირითადი საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობის გარდა, სოფლიდან დაშორებით, ჰქონდა საზაფხულო და საზამთრო კარე|საკარე, საყანე, საბოსლეები, სადაც მეურნეობის სხვა დარგებიც იყო წარმოდგენილი. ქართველი მეურნე აქ აგროვებდა და თავს უყრიდა წლიურ სარჩოს, აქვე აბინავებდა საქონელს. საქონლისსათვის სადგომები ჰქონდათ გამართული.

აღნიშნული სამეურნეო ნაგებობის აგებულება და დანიშნულება იგივეა, რაც ცალკე მდგომი თუ საცხოვრებელ კომპლექსში მოქცეული ბოსლებისა.

საკოლმეურნეო მშენებლობის მზარდი აღმავლობის პირობებში, როდესაც გლეხის ეკონომიკაში გაბატონებული ადგილი კოლმეურნეობიდან შრომადღებზე მიღებულ შემოსავალს უჭირავს, ოჯახისსათვის დამხმარე ბაზის (მეურნეობის) არსებობა საჭიროებას არ წარმოადგენს.



## სათავის ხარო და მისი ეთნოგრაფიული პარალელები

ქართულში სიტყვა ხარო ფრიად გავრცელებულია, მეტადრე დიალექტებში. მას იცნობს ფშავი, ზეგსურეთი, მესხეთ-ჯავახეთი, კახეთი, რაჭა-ლეჩხუმი, ზემო გურია და ა. შ. მხოლოდ ამ ცოცხალ მეტყველებაში იგი დატვირთულია ნაირნაირი აზრითა და მნიშვნელობით. ერთგან იგი მიწისქვეშა ქვიტკირის სათავსია (ქართლი, კახეთი, მესხეთ-ჯავახეთი), ზოგან უძრავი ან მოძრავი, სახლის ზიდა ხის ჭურჭელი (სვანეთი, ზემო რაჭა, მესხეთ-ჯავახეთი, ზემო გურია), ბელის (ლეჩხუმი, იმერეთი, ზემო გურია), ან ლაზამბარის (მესხეთი) თვალი და სხვ. მაგრამ საგულისხმოა, რომ ყველგან მარცვლეულის შესანახია.

ხარო სიტყვა ნახსენებია სუმეონ მესუეტის ცხოვრებაში. საიფქლე ნაგებობა — საიფქლე ხაროს სახელით. არის ცნობილი (271-272 § 105)<sup>1</sup>, სამწუხაროდ, წყაროში არ ჩანს როგორი ნაგებობა იყო ხარო.

სულხან-საბა ორბელიანის აზრით — ხარო ქვიტკირის ორშობა, რომელსაც მარცვლეულის შესანახად იყენებენ.

ფუნქციის მიხედვით ხარო იგივეა, რაც სვანური ხარავ [ხარავ (ზ. სვან.) | ხარალ (ქვ. სვან.)], ხოლო კონსტრუქციულად, როგორც უკვე შევნიშნეთ სხვადასხვაგვარი ხარო და ხარავი გვხვდება.

ხ ა რ ვ ა რ ი და მისი შესატყვისი ხ ა ლ ვ ა რ ი და ხ ა რ ვ ა ლ ი საწყაოდაა ცნობილი XVIII საუკუნის ქართულ საისტორიო ძეგლებში.

1873 წელს ჯარებისათვის შეწერილ ხარჯის ნუსხაში, რომელიც ერეკლეს ბრძანებითაა დადგენილი, გამოსაღებად ნახსენებია ფქვილი და ქერი ხალვარი. ხ ა რ ვ ა ლ ი და ხ ა რ ვ ა რ ი გამოსაღებადაა დასახელებული 1784 და 1789 წლებში<sup>2</sup>. როგორც ჩანს, ხარვარი გამორწყული საზომი იყო, რომლის მიხედვითაც გამოსაღების გადახდა ხდებოდა.

ამ განმარტებას რამდენადმე ავსებს დ. ჩუბინაშვილის შემდეგი ცნობა: ხარვალი (ოსმ), ს. ყაბიწი ათკოდანი ან ასი ლიტრა; ხარვალი და ხალვარი დ. ჩუბინაშვილთან სინონიმებად გვხვდება.<sup>3</sup>


ასე განმარტავს ხალვარი-ს მნიშვნელობას ნ. ჩუბინაშვილიც, ხალვარი ან ხარვალი კაბიწი 12 კოდი და ნახევარი.<sup>4</sup>

ლექსიკოგრაფების მასალის მიხედვით ხალვარი 37 ფუთი წონის ტვირთია, რადგან კოდი იმ დროისათვის დაახლოებით 3 ფუთის ტოლი ერთეულია.

ივ. ჯავახიშვილის მიხედვით მარცვლეულის საზომი ხ ა რ ვ ა ლ ი სპარსული სიტყვაა, ვირის — სახედრის ტვირთს ნიშნავს და  $\frac{1}{2}$  ფუთია, ე. ი. ცხენის ტვირთის  $\frac{1}{3}$ -ს უდრის.<sup>5</sup> ტვირთშიდვის აღნიშნული ერთეული შეუსაბამო ჩანს ლექსიკოგრაფების მონაცემებთან. ეთნოგრაფიული მასალით დასტურდება, რომ ქვემო ქართლში ხარვალი ათი კოდის — მოცულობისაა — 30 ფუთია.

დროთა ვითარებაში სახედრის ტვირთის აღმნიშვნელმა ტერმინმა პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგა და წონის სხვა საზომი ერთეული გახდა.

ერთი სიტყვით, ხარვალი, საფიქრებელია, ქართველი ხალხის შემეცნებაში არ იწვევს ასოციაციას მხოლოდ ტვირთისას, მან ძირითადი მნიშვნელობის გარდა ყოფაცხოვრებაში მიიღო სხვა მეორე და შესაძლო მნიშვნელობაც. სიტყვის ეს პოლისემანტიზ-



ხის ხარო მესხეთიდან.

Деревянный ажбар — «харо»  
из Месхети.

მი გასაგებად ხდის ჩვენთვის საყურადღებო იმ მოვლენას, რომ ხარვალი თავის მნიშვნელობით შეხვდა და დაემთხვა საზომს, შემდეგ ჭურჭლის ცნებას და შეეხინონიმა მას.

სვანეთში სათავსი ხარალ გვიანდელია, იგი ქვემო სვანეთის გზით რაჭა-ლეჩხუმიდან შემოსულად ითვლება, სადაც ეს ტერმინი ბელლის თვალს ნიშნავს, ე. ი. აქაც მარცვლის სათავსი ჭურჭლის ნაწილია.

ე. ი. სიტყვა ხარალ||ხარვალი დაშორდა გამოზომილ ტვირთის ცნებას. დაშორდა საზომს და გამოყენებული აღმოჩნდა საზომის გარდა სათავსის აღმნიშვნელ სახელად.

სიტყვა ხარო და ხარვალ-ის ენობრივი კავშირის საფუძველზე, რომელიც განეთარებინ ხანგრძლივ და ერთიან გზას გულისხმობს, ჩვენ გვესახება, საერთოდ მათი გენეტიკური კავშირის არსებობის შესაძლებლობა. საფიქრებელია ხარვალ იყო უფრო ძველი ფორმა, ხარო კი მეორეული. ამ მოსაზრებას შემდგომი დაზუსტება დაჭირდება, რამდენადაც სიტყვა ხაროს ისტორია ჭარბად უფრო ენებში არ არის დადგენილი.

<sup>1</sup> ვასახვლებ ივ. ჭავჭავაძის მიხედვით, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, 1, თბილისი, 1946, გვ. 59.

<sup>2</sup> ივ. ჭავჭავაძე, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები (XIII-XIX სს), შიგნი II, თბილისი, 1974, გვ. 113, 14-158.

<sup>3</sup> დ. ჩუბინაშვილი. ქართულ-რუსული ლექსიკონი, სიტყვასთან ხარვალი.

<sup>4</sup> ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1961, სიტყვასთან ხარვალი.

<sup>5</sup> ივ. ჭავჭავაძე, ქართული საფას-საზომთა მეცნიერება ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგია, ტფ., 1925, გვ. 116.

გალღმნა ხაზარაძე

## მარცვლეულის გასანიავებელი ხელსაწყო-იარაღები საპარტივილოში

მემინდვრეობის რთულ კომპლექსში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტია კალო-ობა, რომელიც შრომის მრავალ პროცესს მოიცავს. მარცვლეულის განიავება — ხვავი-საგან მარცვლის, სილის, ქვების, სარვევლა მცენარეთა თესლის მოშორება, ამ პროცესის ბოლო საფეხურია და მას სათანადო ადგილი უკავია ხალხურ სამიწათმოქმედო სისტემაში.

მარცვლეულის გასანიავებლად მრავალი სახის ხელსაწყო-იარაღი გამოიყენებო-და: ფიწალი, სანიავებელი ნიჩაბი, ცხავი, ცხრილი, ხელვარცლი, ტაბაკი რიჭი, მარცვლეულის განიავება-გასუფთავება რამდენიმე სამუშაო ეტაპს შეიცავს: 1. ნი-ჩბით განიავება — „გამონიჩბვა“, 2. ცხავ-ცხრილით გასუფთავება — „გაცხავება“ — „გაცხრილვა“. 3. მარცვლეულის ხელვარცლით, ტაბაკით და რიჭით განიავება — „და-ტაბაკვა“, „დაკეთება“, „დაწვერვა“.

ნიჩბით განიავების პროცესი კალოზე ხდება, მაშინ, როდესაც სათანადო ძალის ნქონე ქარი ქრის. გამნიავებელი, ნიჩბით აზიდულ მარცვალს ქარის დინებას აყო-ლებს და ამით ასუფთავებს და ახარისხებს მოწვეულ მარცვლეულს.

განიავების შედეგად გამნიავებლის მაქლობლად მძიმე, სრულყოფილი მარცვლი ეცემა, მისგან მოშორებით საშუალო სიმძიმის, ხოლო უფრო შორს მწუტე და სუსტა მარცვალი.

სათესლედ ქართველი გლეხი ყველაზე მძიმესა და სრულყოფილ მარცვალს ინა-სავს, რომელსაც ის საგანგებოდ უვლის და სპეციალურ ჭურჭელში ათავსებს. იმ შემ-თხვევაში, თუ გლეხს გადაწყვეტილი აქვს შერეული თესლი გამოიყენოს დასათესად, მაგალითად, ქერჭრელი (ქერი და დიკა), გასანიავებელი ნიჩაბით დახარისხებულ სრულყოფილ ხორბლისა და ქერის მარცვლებს შერეულს ერთ ჭურჭელში, ერთად ინ-ახავს. ხალხში გავრცელებული აზრის მიხედვით სათესი მარცვლების სხვადასხვა ჯი-შის ერთად მოთავსება სიუბვის მომცემი პირობაა. აქვე აღვნიშნავთ, რომ ხვავის დასა-რისხება სანიავებელი მანქანითაც ხდება, მაგრამ სანიავებელი მანქანა მარცვლებს ახა-რისხებს არა მარცვლის სიმძიმის, არამედ მოცულობის მიხედვით. ამიტომ ერთ კა-ტეგორიაში მძიმე მარცვალთან ერთად ხდება მწუტეც, რაც ცხადია სათესლედ გამო-ყენების თვალსაზრისით არაეფექტურია.

სანიავებელი ნიჩაბი მზადდება მსუბუქი ხის ჯიშისაგან. განსაკუთრებული ყურა-დღევა ექცევა ტარისა და პირის დამუშავებას იმ მიზნით, რომ ადვილი იყოს აწ იარაღით მუშაობა, ნიჩბის ტარი მორგებულია ორივე ხელზე. რაც შეეხება ნიჩბის პირს, ის ფარფლიანია რათა, ნიჩბით ალებული გასანიავებელი პურეულის მარცვალი ადვილად დახარისხდეს განიავების პროცესში.

საქართველოში სანიავებელი ნიჩბების ორი სახეობა არსებობს. ერთი მათგანი, შედარებით დიდი ზომისა, გავრცელებულია იმ ტერიტორიაზე, სადაც ხმარებაშია დი-





დი ქართული გუთანი, ხოლო მეორე იმ რაიონებში, სადაც აჩაჩისა და ორხელას ტიპის სახენელი იარაღებია გამოყენებული. სანიავებელი ნიჩბის მეორე სახეობა სიმბოლურად უფრო მცირეა, ვიდრე პირველი, რაც სამეურნეო-ეკოლოგიური გარემოებითაა გაპირობებული.

სანიავებელი ნიჩბის დანიშნულების გაცნობისას აღსანიშნავია ქართველი კაცის შორსმჭვრეტელობა და საუკუნეების განმავლობაში დაგროვილი იმ ხალხური ემპირიული ცოდნა-გამოცდილების გამოყენება, რომელიც ემსახურებოდა უხვი მოსავლის მიღებას.

საქართველოს იმ რაიონებში, სადაც პურეული კულტურები მოყავთ დღესაც კალოობის დროს სანიავებელი ნიჩბის როლი შეუცვლელია. ქართველი გლეხი დღესაც ისევე მონდომებითა და დაკვირვებით არჩევს სანიჩბე ხის ჯიშს, როგორც უწინ და ამზადებს მსუბუქ, მოხერხებულ სანიავებელ ნიჩაბს. (გ. ჩიტაია.)

„გაცხავება“ — მარცვლის ცხავით განიავებაა. ცხავს თანაბრად ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ და ხან ზემოთ ამოძრავებდნენ — „უქცევდნენ“. მარჯვნივ და მარცხნივ მოძრაობისას ცხავის ქვეშ მარცვალი და წვრილი მინარევი — „ნაკმაზი“, „ნაკუდი“, „მაჭატო“ || „ნათავიძირალი“ (ქართლ-კახეთი, მთიულეთ-გუდამაყარი, ერწო-თიანეთი, თუშეთი, ხევსურეთი) „შორტი“, „ძირწო“ (ხევი) გადიოდა; ზევით მოძრაობის — „მოქცევის“ დროს ცხავს ზემოდან მოექცეოდა გუდაფშუტა და გაულეწავი მარცვალი — „ცხავისთავი“ (მთიულეთი), „ჯელდი“ || „ჩელხი“ (ქართლ-კახეთი), რომელსაც ხელთ მოაცილებდნენ.


გაცხავებულ ხეავს ცხრილში გაატარებდნენ — „გაცხრილავდნენ“, „გააკეთებდნენ“, ცხრილში მოძრაობისას მიწა და სარეველა მცენარეთა თესლი გადის, ხოლო მარცვალი შიგ რჩება. ზემოდან „მოქცევის“ დროს „ცხრილისთავი“ || „ცხრილზევითი“ (მთიულეთ-გუდამაყარი) მოექცევა, რომელსაც მუჭით იღებენ და ცალკე ჰყრიან. ცხავი და ცხრილი საცრის ფორმის, მასზე ოდნავ მოზრდილი ხელსაწყოებია. რკალი ორივეს ხის ქერქისა აჭკს, რომელზედაც ამოკრულია ბადურა.

ეთნოგრაფიული, ლექსიკოგრაფიული მასალებისა და სამუზეუმო კოლექციების შეჯერება-შესწავლით საქართველოში ცხავ-ცხრილების ორი ტიპის არსებობა დგინდება: 1. ტყეის ბადურიანი ცხავ-ცხრილები, რომლებიც გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს მთაში — ხევსურეთი, ფშავი, მთიულეთ-გუდამაყარი, თუშეთი: ბარში — ზემო და შიდა ქართლი, ერწო-თიანეთი, ნაწილობრივ კახეთი — თელავის რაიონი, დასავლეთ საქართველოში იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი. 2. საქონლის ტყავის თასმის ბადურიანი ცხავ-ცხრილები გვხვდება მესხეთ-ჯავახეთში, ქვემო ქართლში, ქიზიყში, შიდა კახეთში.

ცხავ-ცხრილების ბადურა მეტ-ნაკლები სიმჭიდროვისაა. ცხავის ბადურა ზომით ცხრილზე დიდია. თვით ცხავისა და ცხრილის ბადურის სიმჭიდროვე დამოკიდებული იყო „გასაცხავებელი“ თუ „გასაცხრილავი“ მარცვლის სიდიდეზე. ამის მიხედვით ყოფაში გავრცელებული იყო იფქლის, ქერის, დიკის და სხვა მარცვლეულისათვის განკუთვნილი ცხავ-ცხრილები. მათი ლოკალური ვარიანტებია: ქვაცხრილა (მესხეთ-ჯავახეთი), საჯოღლავი (ქვემო ქართლი), ჯელღო (მთა რაჭა), კაკაბა (რაჭა-ლეჩხუმი).

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ცხავი და ცხრილი ყველგან ერთნაირი სახელწოდებით იწოდება, გარდა ლეჩხუმისა, ზემო იმერეთისა და სვანეთისა. ლეჩხუმში ცხავს ძლავი ეწოდება, ზემო იმერეთში — ჩხაკვი, სვანეთში — ლარსგვალი.

ცხავისა და ცხრილის რკალი — კირკალი (კახეთი), ქარა (მესხეთ-ჯავახეთი,




ცხავი.

«Цхави».

ქვემო ქართლი), კანი (თუშეთი) — ცაცხვის, ბლის და ნაძვის ქერქისაგან მზადდება. ხეს ქერქს გაზაფხულზე აძრობენ საგანგებო „საყრელი“ სოლით (გაზაფხულზე ხეს წკალი, „ლოპო“ || „მოწი“ აქვს ჩამდგარი და ქერქი ადვილად ძვრება). ამძვრალ ქერქს მოხრიდნენ ისე რომ ქერქის შიდა ნაწილი გარეთ მოქცეულიყო. რკალის ნაპირები ტკეჩით იყო ამოკერილი. ტკეჩი „ყაპყატო“, „მუში“ (აღმოსავლეთ საქართველოს მთა), „პწკალი“ (კახეთი, იმერეთი, ზემო ქართლი), მზადდებოდა თხილის სწორი წნელისაგან, რომელსაც დანით ჩაჭრიდნენ, მუხლზე მოხრიდნენ ისე, რომ ერთი წლის ნახარდი ამერებოდა.


ბადურის წვანა შუა ადგილიდან იწყებოდა. ექვსი ტკეჩი ერთი მხრიდან უნდა გაიზას, ექვი მეორე მხრიდან და შემდეგ ცხრილი ორი ტკეჩით იწყნება — „ორშიანია“ (ფშავეი), „ორპირაა“ (ზემო ქართლი), ცხავი — ერთი ტკეჩით. ცხავს თხელი და ბრტყელი ტკეჩი აქვს, ცხრილს — სქელი. ცხრილს მეტი „ჯაფა“ აქვს, ვიდრე ცხავს.

ცხავ-ცხრილები, გარდა მასალისა, კონსტრუქციულადაც განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ხევსურეთში, ზემო ქართლსა და კახეთში გავრცელებულ ცხავ-ცხრილებს რკალზე წნელის სალტე — „გირგოლი“ (ხევსურეთი), „გარა“ (ზემო ქართლი) უკეთდებოდა, რომელზედაც ბადურის ტკეჩი მაგრდებოდა. ხოლო თუშეთსა, ფშავსა და მთიულეთ-გუდამაყარში გავრცელებულ ცხავ-ცხრილებს ბადურა უშუალოდ რკალზე აქვს




ჩიქი.  
ხელვარცლი.

«Ричи».  
«Хелварцли».



დამაგრებული. ცხავ-ცხრილის დაწვნა ძირითადად მამაკაცის საქმიანობას შეადგენდა და განსაკუთრებულ ოსტატობას მოითხოვდა. ზემო ქართლში (სოფ. სარმანიშვილის კარი — ხაშურის რაიონი) და ზემო იმერეთში ცხავ-ცხრილებს მხოლოდ ქალები წნავდნენ.

ცხავით მარცვალს ანიავებდნენ, როგორც მამაკაცები, ისე ქალები, ცხრილით კი მხოლოდ ქალები.



ტაბაკი.

«Табаки».

საქონლის ტყავის თასმის ბადურიან ცხავ-ცხრილებს ამზადებდნენ კომეხი ბოშები და ბერძნები, რომლებიც ამ ტიპის ცხავ-ცხრილებით ამარაგებდნენ ზემო და შიდა ქართლს და კახეთს.

ცხავ-ცხრილები მოწნული ჭურჭლის უძველეს სახეობებს განეკუთვნება. როგორც სპეციალური ლიტერატურიდანაა ცნობილი, მოწვნის ხელოვნება პალეოლითის დროიდან ივარაუდება.

ქართული არქეოლოგიური მასალებით (იმირისა და შულავერის გათხრები), V-ათასწლეულის II ნახევარში წვნის ხელოვნება საკმაოდ მაღალ დონეზე ყოფილა, რასაც თიხის ჭურჭლის ძირებზე აღბეჭდილი წმინდა წუნულები მოწმობენ.

დასაფუძვლად გამოზადებულ მარცვალს ასუფთავენ — „აკეთებენ“ (ხევსურეთი), „დაკაზმავენ“, „დატაბაკავენ“, „დაარკვევენ“ — ფშავი, მთიულეთ-გუდამაყარი, რაჭა-ლეჩხუმი, კახეთი, ზემო ქართლი, ზემო იმერეთი, „დარიჭნავენ“ თუშეთი, შიდა კახეთი — ყვარლის რაიონი. ამ პროცესს ასრულებდნენ კელვარცლით, ტაბაკით და რიჭით.

კელვარცლი ხევსურეთშია გავრცელებული და იგი ორი სახისაა: დიდი — „სანიო“ — ზომები: სიგრძე — 60 სმ; და პატარა „სასაფუქვე“ 40 სმ სიგრძის.

კელვარცლი სწორკუთხედი ფორმის ხელსაწყო-იარაღია, რომელსაც ორივე მხარეს სახელურები — ფრთები || „ფატორი“ აქვს. მისი ერთი გვერდი — ბაგე ღიაა, სანიდანაც განიავებისას მარცვალი ცვივა.

სანიათ ხელვარცლით მამაკაცი ანიავენს მარცვლეულს. ხელვარცლი მარჯვენა ხელში ისე უჭირავს, რომ მისი პირი ზემოთ არის აწეული და ზომიერი მოძრაობის



შედეგად უკანა გვერდიდან ხორბალი ძირს ცვივა, ბზე კი ნიაფს მიაქვს. მძიმე მარცვალის მძიმე მარცვალის იქვე ცვივა, ხოლო სუსტი მარცვლები — უფრო შორს. მძიმე მარცვალს ქართველი მეურნე სათვისლედ ინახავს.

„სასაფქვე“ კელვარცლით ქალი მარცვალს დამჯდარი ასუფთავებს.

კელვარცლი მსუბუქი ხის ჯიშისაგან მზადდება (თელა, ვერხვი, წნორი), რათა საჩმარად მოსახერხებელი იყოს. კელვარცლის დამზადებისას განსაკუთრებული ყურადღება მისი ბაგის — გვერდის გათლას ექცევა. იგი თხელია და ქვემოთ დახრილი, რაც აადვილებს მარცვლის აღებას და განიავებას.

კონსტრუქციულად კელვარცლის ფორმის ჭურჭელია რიჭი, ოღონდ უფრო მარტივი. იგი თუშეთისა და ყვარლის რაიონის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში გვხვდება. ს: ქართველოს დანარჩენ კუთხეებში გამოიყენება მრგვალი, პირგადაშლილი ხის სინა-ტაბაკი, მისი ბარალეული ტერმინია სარკვევი (ზემო იმერეთი, ზემო ქართლი). ტაბაკის გვერდებიც ოდნავ დაქანებულია, რათა განიავებისას ადვილად „მოისხლიტოს“ მთიულეთ-გუდამაყარში ტაბაკი ორი სახისაა: დიდი — „დასანივებელი“ და პატარა „დასაკაზმავი“. ტაბაკზე პურს ქნევით არჩევენ. როდესაც ტაბაკზე წინ ცუდი ნარჩენი წამოვა, ამას პურის აწვევრვას ეძახიან (მთიულეთ-გუდამაყარი, შიდა ქართლი).

ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში („ვეფხისტყაოსანი“ და „ხელმწიფის კარის გარეგება“), ტაბაკი XII-XIV საუკუნეებში მოიხსენიება.

არქეოლოგიური მასალებით ტაბაკი ძვ. წ. II ათასწლეულიდან გვხვდება (თეთრიწყაროს რაიონი, ბედენის ზეგანის გათხრები), რაც ამ ელემენტის საქართველოში ძველთაგანვე გავრცელების მანიწინებელია.

ზემოთ მოტანილი მასალების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ: მარცვლის განიავების უძველესი და ყველაზე გავრცელებული წესი იყო ნიჩბით, ცხავ-ცხრილით, კელვარცლითა და ტაბაკით განიავება.

ცხავ-ცხრილებით მარცვლის გასუფთავება ინტენსიურად გავრცელებული იყო საქართველოს იმ კუთხეებში, სადაც მემინდვრობის სისტემაში პურულ კულტურებს წამყვანი ადგილი ეკავათ.

როგორც მასალებიდან ირკვევა ტკეზის ბადურიანი ცხავ-ცხრილები ძირითადად ქართული მატერიალური კულტურის ელემენტები უნდა იყოს, ხოლო საქონლის ტყავის ბადურიანი კი შემოტანილი და უცხო ეთნიკური ერთეულების (ბერძნები, სომეხი ბოშები, ჩრდილო კავკასიის ხალხები, დაღესტნელები) ყოფისათვისაა დამახასიათებელი.



საუნავიერე ზაოიანი ზურჯინი თიანე-  
თიდან.



Хурджин для седла из Тианети.

ბიორგბი ჯალაბაჰი

### ზურჯინების კოლექცია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდებში

ზურჯინი საბას განმარტებით თურქული სიტყვაა, ქართულად მახალი. რადგან თანამედროვე ქართულში მახალის გამოსახატავად სიტყვა ზურჯინია გაბატონებული ჩვენც ამ ტერმინს ვხმარობთ.

ზურჯინი როგორც მხარზე სატარებელი ორპირიანი ჩანთის გამოშვატველი ტერმინი, გაბატონებულია მთელ კავკასიაში, წინა და შუა აზიის ხალხებში.

ლიტერატურული და ისტორიული წყაროებიდან დადგენილი არ არის, როდის გაჩნდა ქართულში ტერმინი ზურჯინი. გვიანი დროისათვის ეს ტერმინი საქართველოს ყველა კუთხეში იხმარებოდა. ზურჯინი მძიმე ტვირთის გადასატანი, მოხერხებული საშუალებაა. ეთნოგრაფიულ ყოფაში რამდენიმე დანიშნულების ზურჯინი იყო გამოყენებული. იყო მხარზე სატარებელი, უნაგირზე გადასაკიდი და სასაპალნე ზურჯინი. იშვიათად, მაგრამ ყოფაში მოწმდება აგრეთვე, ზურჯინი ხელსაქმისათვის, რასაც დეკორატიული დანიშნულებითაც იყენებდნენ.

ზურჯინების ჩამოთვლილი სახეობა განსხვავდება ერთიმეორისაგან სიდიდითა და დანიშნულებით.

ზურჯინს ახასიათებს ორი თვალი და ერთი უღელი. საქ. სახ. მუზეუმის ფონდებში დაცულია ზურჯინის ერთი ნიმუში (კოლ. № 9,-19/1) რომელსაც უღელი არ გააჩნია. გრძელუღლიან ზურჯინებს ცხენის უნაგირზე გადასაკიდად იყენებდნენ. ამასთან ზურჯინის უღელი სშირად მისი დანიშნულების განმსაზღვრელია. შუაში ამოფანჯრული უღლით, იგი უნაგირზე სატარებლად იყო გათვალისწინებული. ამოფანჯრული უღლით, ზურჯინს უნაგირის ცხვირზე ჩამოაცმევდნენ. მუზეუმის ხალიჩების ფონდში უღელამოჭრილი ზურჯინები ძირითადად მეცხვარეობის რაიონებიდან არის შემოსული ყოფაში მათ მეცხვარულ ზურჯინებსაც უწოდებენ.



საპალნე ხურჯინებს დიდი ანაზომები ახასიათებს. 1964 წ. მუზეუმში გამოფენილია და ერთი ასეთი ხურჯინი, ზომით 80 X 175 სმ.

ხურჯინის დასამზადებელ მასალად, ჩვენი ფონდების მიხედვით, გამოყენებულა ყოფილა ძირითადად შალის ძაფი. გვხვდება ბამბისაც. სახურჯინე ძაფი ორწვერად არის ნაგრები. ხურჯინისათვის არ არჩევდნენ მაღალი ხარისხის ძაფს. თუმცა ფონდებში გვაქვს ქართული ხურჯინების რამდენიმე ნიმუში, სადაც მაღალი ხარისხის ძაფიც გამოყენებულია. სახურჯინე მასალის ქსოვის ტექნიკა სხვადასხვანაირია. ფონდში დაცულია სადაც ნაქსოვი ქსოვილით დამზადებული ხურჯინები. ქსოვის ტექნიკის ეს მარტივი ფორმა ქსლისა და მისაქსელის ძაფის ხლართისაგან არის წარმოდგენილი. ამგვარი სადაც ნაქსოვი ხურჯინები, ზოგჯერ სრულიად მარტივი ორნამენტით არის დამშვენებული. მაგ., ხურჯინი სამეგრელოდან ქსლის ორი და მისაქსელის ორი ფერის ძაფის წყალობით არის მოქსოვილი და მიღებულია კუბოკრული ქსოვილი.

სახურჯინე მასალას მქსოველი მთლიანობაში ქსოვდა, ოღონდ იგი დაყოფილი იყო სათანადო ნაწილებად. ასე მაგ. სახურჯინე ქსოვილი ხუთი ნაწილისაგან შედგებოდა, ორი საჩვენებელი პირის, ორი ზურგისა და ერთი უღლისაგან; ქსოვა იწყებოდა საჩვენებელი პირით, მოიქსოვებოდა ზურგი, უღელი, კვლავ ზურგი და ბოლოს საჩვენებელი პირი.

ამოკერვის დროს პირი ზურგთან მიდიოდა და თვალს ქმნიდა. თვალის ამოკერვა სრულდებოდა ამოხვევის წესით, ისევ შალის ძაფით. ამოკერვის ადგილს სილამაზისა და სიმაგრის გულისათვის სხვადასხვა ფერის ძაფით ამოუხვევდნენ და სადა ორნამენტი გამოყავდათ.

ერთი საუნაგირე ხურჯინის თვლები, მეტი სიმაგრისათვის ამოკერილია ტყავის ნაჭრის შემოვლებით. რამდენიმე ხურჯინის თვლების ძირზე ორი ან სამი ფუნჯიც აქვს გამოყვანილი. ეს ფუნჯები ხურჯინის პირის ამოკერვის დროს გამოყენებული ძაფის კონის დაბოლოებაა. ფუნჯებით მის მოხელეს ხურჯინის კონტურში შექმნდა ერთგვარი შტრიხი მისი სხვა ნახელავისაგან გამოყოფისათვის, რაც ამავე დროს ხურჯინის მხატვრული კომპოზიციის დაბოლოებას წარმოადგენდა.

მქსოველი ცდილობდა, რომ საჩვენებელ პირს განსაკუთრებული სილამაზე ქმნოდა, ამიტომ სახურჯინე ქსოვილის ამ მონაკვეთისათვის საგანგებო მუშაობას ეწეოდა. ე. ი. ურჩევდა ტრელის სახეს და ხშირად აკეთებდა მასზე წარწერებსაც კი. აღსანიშნავია, რომ წარწერიანი ხურჯინები ძირითადად გვხვდება აღმოსავლეთ საქართველოდან და კერძოდ მეცხვარეობის მიმდევარი რაიონებიდან. წარწერების გაკეთება ხურჯინებზე, ჩვენის აზრით, იმას უნდა გამოეწვია, რომ მწყემსებს თავისი ხურჯინი უკეთ გამოეცნოთ და დაკარგვის შემთხვევაშიც ადვილად ეპოვათ.

ხურჯინის ქსოვის ტექნიკა ხშირად, დასახლებულ მის შემადგენელ ხუთ უბანზე, სხვადასხვანაირად ნაწილდება. უღელი და ზურგი ქსოვის სადა ტექნიკით არის შესრულებული, თვლების საჩვენებელი პირები კი ფარდაგული, ჭვირით, ხალიჩური ქსოვის ტექნიკით, აპლიკაციის წესით და ხვეული ქსოვის ტექნიკის გამოყენებით. ირანულ ხურჯინებში გვხვდება აგრეთვე, მონემსვის წესით გამოყვანილი ორნამენტები. ხურჯინების ქსოვილის ტექნოლოგიური მარჯვენებლები ხშირად ჯეჯიმებისა და ფარდაგებისას ემთხვევა.

მაგ. I კვ. დმ. მოდის თუშეთიდან ჩამოტანილ № 23-33 სახურჯინეზე ქსლის 50, ხოლო საზედაოს 80 ძაფი.



ფარდაგული წესით ნაქსოვი  
ხურჯინი გარე კახეთიდან.



Хурджи из Кახети,

ფარდაგული წესით ნაქსოვი ხურჯინი  
შიიულეთიდან.



Хурджи из Мтиулети.





ფარდაგული წესით ნაქსოვი  
ხურჯანი გარე კახეთიდან.




Хурджин из Кახети,

ფარდაგული წესით ნაქსოვი ხურჯანი  
შიიულეთიდან.



Хурджин из Мтиулетн.



ხურჯინი  
ხევსურეთიდან.

Хурджин из Хевсурети.

თუშური ხურჯინი.



Хурджин из Тушети.

ჭიდროვე, რამდენიმე ზოლად გამოიყოფა. ასე მაგ. თუშურ ხურჯინებში ქსლისა და საზედაო ძაფის შეფარდება რამდენიმე ზოლში სხვადასხვანაირია.

ამ სხვაობის საფუძველზე ხურჯინის ქსოვილის ორიგინალური მხატვრული სახეა შექმნილი. თუში და ფშაველი მქსოველები ჯეჯიმსაფენის მოქსოვის დროსაც ქსოვის ამავე ტექნოლოგიას იყენებდნენ.

როგორც ქართული, ისე აზერბაიჯანული და ირანული ხურჯინების კოლექციების



ანაზომების მიხედვით ჩანს, ხურჯინების ძირითადი და საშუალო ანაზომების თითოეული თვლისა 40×40 სმ-ზე, უღლისა 40×40 სმ ან 40×30 სმ-ზე. აღნიშნული ზომების შესაბამისად სახურჯინე ქსოვილისათვის უნდა აღებულიყო 200 სმ სიგრძის 320 ქსლის ძაფი. იმის გამო, რომ ქსოვაში ქსლის ძაფი დგებოდა მას იღებდნენ 10-15 სმ-ზე მეტს. ქსოვის დანაწეისიდანვე ხდებოდა თვლის მისაკრავი ყუღების ადგილების შერჩევა და საფუძვლის მჭიდროდ ჩაბეჭვა. ამის შემდეგ ქსელზე მიმდინარეობდა ქსოვა. ორნამენტაცია ვათვლილი იყო წყვილ ძაფებზე. თუ ფარდაგული ჭვირით მიდიოდა ქსოვა, ორნამენტის შესაქმნელად ორ წყვილს იღებდნენ. წყვილების აღება ორნამენტის ანუ ტრელის სახეზედაც იყო დამოკიდებული.

რამდენიმე ხურჯინი ხალიჩური წესით არის მოქსოვილი. აღსანიშნავია რომ ქართულ ხურჯინებში ხაოს კვანძის ორი სახე იქნა დამოწმებული. ერთი ჩვეულებრივი კავკასიური კვანძი, რომელიც ქსლის ორ ძაფზე კეთდება, მეორე ასევე ქსლის ორ ძაფზე, ოღონდ ერთი შემოხვევით მეორეზე შემოტარებით გამოტანილი. კვანძის ორივე სახეობით არის მოქსოვილი ფშავში შექმნილი ხურჯინი (№ 78-67/3). ხაოს კვანძების შემდეგ ჩვეულებრივ ატარებდნენ ერთ საზედაო ძაფს. ქართულ ხურჯინებში მოწმდება, როგორც ერთი ისე ორი და სამი საზედაო ძაფის გადატარება. ქართული, ხალიჩურად ნაქსოვი ხურჯინის ხაო მალაღია და ხშირად უბეში კვანძებით არის დამუშავებული. მაგრამ არის რამდენიმე ისეთი ხურჯინიც, რომელთაც ახასიათებს დაბალი ხაო და კვანძის მალაღი სიმჭიდროვე.

ხალიჩური წესით ხურჯინებს ქსოვდნენ ძირითადად მთიულეთ-გუდამაყარში, ფშავში, თიანეთის რაიონში, ქიზიყში, თუშეთში ამავე რაიონებში იქსოვებოდა უნაგირების საფენები, რომელთაც ახასიათებს საკმაოდ მალაღი ხაო.

ცხენის ალკაზმულობაში უნაგირის ხალიჩური საფენი და ხაოიანი ხურჯინი ერთ მთლიანობაში მოდიოდა. ალკაზმულობა და დატვირთვა ქმნიდა გარკვეულ სილამაზეს, რაც მქსოველთა მალალ ვემოწმებდაზე მეტყველებს.

მქსოველი დიდ ყურადღებას აქცევდა ხურჯინის სარგენებელი პირის მხატვრულ გაფორმებას. ამ მიზნით იგი იყენებდა, როგორც ბუნებრივ, ისე ფერად ძაფებს და არჩევდა სხვადასხვა სიუფეტის ორნამენტებს. ხაოიან ხურჯინებში უფრო მეტად არის ორნამენტის დასრულებული სახე: ცენტრში მოცემულია სხვადასხვა ვარდული, შერეულია ჩარჩო. ვარდულის კუთხეები შევსებულია ჯერის ფრინველის ან სტილიზებული ყვავილების ტრელით.

ანალოგიურია ორნამენტი იმ ხურჯინებზე, რომელთა ქსოვილი ფარდაგული წესით არის დამზადებული.

ხაოიან ხურჯინებში ტარბობს ხვეული მცენარეული და ფრინველთა გამოსახულებანი, ფარდაგულში სტილიზებული მცენარეული ორნამენტი და გეომეტრიული სახეები.

ხალიჩების ფონდში დაცული ხურჯინების გეოგრაფია ასეთია: აქ არის ძირითადად ქართული და საქართველოში მოქსოვილი ხურჯინები, რომელთა უმეტესობა შემოსულია საქართველოს აღმოსავლეთ რაიონებიდან. აქვეა ხურჯინები აზერბაიჯანიდან და ირანიდან.

ხურჯინი გარკვეულ მონაწილეობას ღებულობდა მიცვალებულის კულტთან დაკავშირებულ რიტუალში. ჭირისუფალი რიგის დღეს ხურჯინში აწყობდა მიცვალებულისათვის საგზაოს და სულის ცხენზე აკიდებდა. ამ დანიშნულებით ყოფილა გამოყენებული ხევსურეთიდან შემოსული № 113-35/4. ხურჯინი.

## ხელოსნური ნაწარმი საღმრთო გავრცელება

ხელოსნური ნაწარმის რეალიზაციის საუკეთესო საშუალებას, როგორც ირკვევა, სადღეობო ბაზრობა წარმოადგენდა. ხელოსანს თავისი ნაწარმი თვითონ გაჰქონდა დღეობაზე. სადაც ეწყობოდა დიდი ბაზრობა. ამ შემთხვევაში გამორიცხული იყო მხოლოდ იმ ხელოსანის პროდუქტი, რომელიც უშუალოდ დამკვეთის გემოვნებისა და მოთხოვნების მიხედვით მზადდებოდა. ამდენად, დასტურდება ხელოსნობიდან წვრილ წარმოებაში გადასვლა. დურგლები და ნაღბანდები თავიანთი სამუშაოს სპეციფიკის გამო თვით გადიოდნენ სოფლებში ადგილებზე სამუშაოდ. მათ ცალკეული სოფლები ურთიერთშორის ჰქონდათ დანაწილებული. მაგალითად, 79 წ. ახალციხელი ნაღბანდის სტეფანე ედიგარიანის ცნობით, მისი მოქმედების სფეროში შედიოდა შემდეგი ქართული სოფლები: კლდე, ზედაუბანი, წნისი, გოგარეთი, გიორგიწმინდა, შურდო, ღერსა, ბოგა, სვირი, ტატანისი, ქიქინეთი, თუთაჯუარი (ადიგენის რ-ნი), ხოლო 80 წ. დურგალი ბაბკინ კირაკოსიანი დადიოდა აბასთუმანში, ადიგენში, ახალქალაქში, აწყურსა და ოშორაში. (ახალციხის რაიონში 1968 წ. მივლინების დღიური).

ხელოსნები დღეობაზე წასვლის თადარიგს წინასწარ აგვარებდნენ. საქონელი და კარგები, მთხრობელთა ცნობით, მოფარდაგული ჩარდახიანი ურმით მიჰქონდათ. თუ შორს მიდიოდნენ, მაშინ წინა ღამით გავიდოდნენ სახლიდან. კარგებს ეკლესიებთან გაშლიდნენ და საქონელს მის გარშემო გამოაფენდნენ. ზოგჯერ რამდენიმე ხელოსანი შეამხანაგდებოდა და ტრანსპორტს (უმთავრესად „ტაჩკას“) ისე დაიჭრდა. ხარაზი ას წყვილ ფეხსაცმელს აკიდებდა სახედარს, დერცკი ერთ „ფურგონს“ დაიჭრდა ტანსაცმლის წასაღებად. მიჰქონდათ ჩოხები, ქუდები, ახალუხები, შარვლები, ნაბდეები, ყაბალახები; დედაკაცებს — ჩახსაკრავები, ყაითნები; მჭედელი ორმოცდაათ-სამოც ნამგალს და ცუღს წაიღებდა.

1966 წ. ქიზიყში შეკრებილი მასალით, თითქმის ყველა სოფელს ჰქონდა თავისი დღეობა, რომელიც რიგრიგობით მოდიოდა და ამდენად ხელოსანს მთელი წლის განმავლობაში საშუალება ჰქონდა თავისი პროდუქტის გასაღებისა.

ბაზრობაზე უამრავი საქონელი იყო მოდენილი — ნუკრიანიდან და ბოდბე-მალა-როდან. ეს სოფლები განთქმული იყო ყველითა და ერბოთი. ბოდბისხევიდან, კაკაბეთიდან და თელავიდან მოდიოდა თიხის წვრილი წითელი ჭურჭელი, აგური და კრამიტი — ნუკრიანიდან; ყველი და მატყლი თუშეთიდან, ალვანიდან; ფარდაგები და ნაბდეები — ლეკებიდან, ქისტებიდან. სავაჭროდ მოდიოდნენ სხვადასხვა კუთხიდან. „ვის არ ნახავდი ბაზარზე, მოდიოდა ლეკი, თუმი, ბელაქნელი, კაზი, ნუხელი, იმერელი“. — გადმოგვცემენ მთხრობელები.

ყველაზე დიდი დღეობა კახეთში, მთხრობელთა ცნობით, ალავერდობას იცოდა, 14 სექტემბერს ძველი სტილით. (1971 წ. თელავის რაიონში მივლინების დღიური), მას უქმობდნენ სამ სწორზე. აქ ხდებოდა მთის მცხოვრებთა პროდუქტების გაცვლა ბარის ხელოსნურ ნაწარმზე. მოდიოდნენ პანკისიდან ქისტები, მოჰქონდათ თეთრი მოთელილი ნაბდეები და დაშოლტილი საქუდე ნაბდეები (თითო შოლტიდან გამოდიოდა გქსი, შვიდი ქუდი), მოყავათ საქონელი და ცხენები.



საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა მოჰქონდათ ყველი, ერბო, მოერეგებოდნენ საქონელს; ხევსურებს მოჰქონდათ ერბო, მოჰყავდათ ძროხები. დაღესტნიდან მოდიოდა ხუნძური შალი; ხუბიდან — ბრინჯი, კაკალი და ხილი ლეკური ურმით; ქუთაისიდან — იმერული შალი; თიანეთიდან და უჯარმიდან — ფიხნული; თელავიდან მეწაღეებს გაჰქონდათ დღეობაზე წაღები; დერციკებს — ჩოხა-ახალუხი, სარაჯებს — თალათინური ქალამანი; მექვამბეებს — სპილენძის ქვაბები, მჭედლებს — მაშები, ცულები, თოხები; ნალბანდები დღეობებში ჩადიოდნენ და იქ „ნალამდენ“ საქონელს. 73 წლის ზუგდიდელი ხარაზის აკაკი ნადარაიას ცნობით, ვინაიდან ხელოსნები ბაზრობაზე გარკვეული დროით იყვნენ წასული, ისინი იქ, ადგილობრივ შეკვეთასაც იღებდნენ და მუშაობდნენ კიდევ სალოცავად ოჯახებით მიდიოდნენ. საკლავს ურმებში შეაბამდნენ. მღვდელი სულზე „ადგილის ქირას“ 1 მან., 50 კაპ. ოდენობით კრფოდა. ფულს ეკლესიასაც სწირავდნენ.

ქართლში სამი დიდი დღეობა იყო ცნობილი: „ზღუდრობა“ ცხინვალში (ამაღლების მეოთხე დღე); „გორისთობა“ არბოში (აგვისტოს თვეში) და „უსანეთობა“ (თიბათვის 10-ს) მეჯვრისხევში. (1967 წ. — გორის რაიონში მივლინების დღეაური).

ველზე მოაოვებული მასალების მიხედვით „უსანეთობას“ მეჯვრისხევში მთიდან (უპირატესად ოსეთიდან) მოდიოდა საქონელი — ცხვარი, თხა, ცხენი, ერბო-კარაქი, მატყლი, ოსური შალი, სადღეებელი, ხის თაბახები, ლეკური შალი; თიხის ჭურჭელი — ახალქალაქიდან, ქვევრები — იმერეთიდან, გოდრები — ნოსტედან, აკვანი — გორიდან, კასპიდან, კავთისხევიდან და მეტეხიდან ჭილოფი; ნაწილობრივ ოსებიც ქსოვდნენ მას. ბაზრობაზე ნახავდით ცხავერის ფარდაგებსაც.

საყურადღებოა არქანჯელო ლამბერტის მიერ მოცემული სამეგრელოს ერთ-ერთი უცნობი პუნქტის — წიფურიას სადღეობო ბაზრობის აღწერილობა. „წიფურიას ეკლესიასთან ბაზრობაზე ბევრი ხალხი იკრიბებოდა. ზოგჯერ ოციათას კაცამდე, სექტემბრის პირველ ოთხშაბათს გზავნიან წინდაწინ კაცებს წნელისაგან კარვების გასაკეთებლად, რათა ხალხს თავშესაფარი ადგილი ჰქონდეს, ხუთშაბათს კი მოდიან ვაჭრები თავისი საქონლით, სომხებს მოაქვთ აქ ნაირნაირი შეღებილი და სახვებიანი ტილოები და ირანულ-თურქული შალები, რომლის საფასურად იღებენ ყოველნაირ საქონელს, რასაც აძლევენ, ოღონდ კი დიდად სახვირო იყოს. ვინც ისეო ადგილზე ცხოვრობს, სადაც ღომი ნაკლებად მოდის, იმას მოაქვს მარილი, რათა ღომზე გადაცვალოს, ზოგს მოაქვს თაფლი, ცვილი, ძაფი და ადგილობრივი ტილოები, ზოგს ქვაბები, თითბერი, რკინა, ჭილოფი, ხონჩები; მოჰყავთ ძროხები, ცხვრები და თხები. ყველა ამას ცვლიან ერთმანეთში ისე, რომ ფული არ ჩანს.

ბაზრობაზე შეყრილი ხალხი მინდერებში დალაგდება, ზოგი ხის ძირში და ზოგი დამზადებულ კარავში. მთელი ღამე განაღებულა მრავალ ადგილას ცეცხლი და სანთლები, რომელსაც ყველანი თავიანთ ადგილზე ანთებენ. აქ ყველანი ღამეს ათევენ ქურდების შიშის გამო და მთელ ღამეებს — ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს ჭამაში, სმაში ატარებენ“.

არქანჯელო ლამბერტის ამ საყურადღებო ცნობაში კარგად არის დანახული სადღეობო ბაზრობის მთავარი მიზანი — სასაქონლო პროდუქციის ურთიერთგაცვლა.

სოფლის მცხოვრებლები თავის ნათესაებს დაპატივებდნენ დღეობაზე. იმარიებოდა დოღი — „ცხენის ჭიდილი“; აქ ხდებოდა ქალის გასინჯავი-გადმოგვემერ მთხრობელები. ხელოსნები სანთელს იყიდდნენ და წმინდანის სახელზე დაანთებდნენ. ვისაც შეთქმული ჰქონდა, ის საქონელს დაკლავდა და მღვდელს მნათეს მისცემდა. საკ-



ლავის ტყავს ეკლესიას შეწირავდნენ. მღვდელს შეეძლო ის გაეყიდა და ეკლესიისთვის მოესმარებინა.

ხელოსნის მთავარ საზრუნავს დღეობაზე საქონლის გაყიდვა შეადგენდა, 85 წ. ახალქალაქელი მეჭურჭლის ნესტორ ტატულაშვილის თქმით — „ვისა ცალოდა იქ (დღეობაზე) სალოცავად, ჩვენ ჭურჭელი უნდა გაგვეყიდა“; მისივე ცნობით, ერთხელ სურამში „ამაღლებას“ თითხმეტი მეჭურჭლე შეხვედრია ერთმანეთს. ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ხელოსნები წინასწარ აზუსტებდნენ ერთმანეთში სადღეობო ბაზრობების მარშრუტებსაც იმ მიზნით, რომ ერთი დარგის ხელოსნები გარკვეულ დღეობაზე მრავლად არ ყოფილიყვნენ წარმოდგენილნი. მაგ. 70 წ. ქუთაისელი ხარაზის ივანე ცირამუას ცნობით, ვანში სავაჭროდ მხოლოდ ის დადიოდა, სხვაგან სხვა ხარაზი წავიდოდა.

<sup>1</sup> არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თარგმანი ალ. ჭყონიასი, თბილისი, 1938 წ. გვ. 157. ალ. ჭყონიას კომენტარით, სამეგრელოში ამ სახელით მის დროს არ იცნობდნენ არც ადგილს და არც ეკლესიას. ლამბერტის რუკაზე იგი აღნიშნულია ენგურის მარჯვენა ნაპირზე, ნაბაყვისა და ზუგდიდს შუა, ჩრდილოეთით. თ. ბერაძე იძლევა ამ ადგილის ლოკალიზაციას, მისი აზრით წიფურია მდებარეობდა ენგურის მარჯვენა ნაპირზე და შეესაბამებოდა დღეს ს. განარჯია — მუხურის ერთ უბანს წიფურონს. იხ. თ. ბერაძე, XVII ს. პირველი ნახევრის ოდიშის „რუკა“, „ძეგლის მეგობარი“, № 21, თბილისი, 1970, გვ. 43.

<sup>2</sup> არქანჯელო ლამბერტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 157.

„საცივი მარანი“ აბანში

ატენის ხეობა უხსოვარი დროიდან ცნობილია, საუკეთესო, როგორც ვაზუშტი უწოდებს „წარჩინებული ატნური ღვინით“. სულხან-საბა ორბელიანი იტალიაში ეტნის მთის სანახევში მოგზაურობისას გადმოგვცემს: „კლდე იყო შვკაფულივით, დიად, დიდსა და გრძლად მიგრებილ-მოგრებილი... ასეთი ღვინო იყო ატნურის მსგავსი, სხვაგან არ გვენახა. იმ ადგილებში სულ კაი ღვინო იყო“. ატენის „შვკაფულივით“, „გრძლად მიგრებილ-მოგრებილი“ კლდეები, ალბათ თვალწინ დაუდგა ქართველი ხალხის თავდადებულ მოჭირნახულეს, როცა იტალიაში მსგავსი ადგილები იხილა, ხოლო იქაურ ღვინოს განსაკუთრებული პატივი მიანიჭა და ატნურს შეადარა.

აბა, ვის არ ესოვს დავით გურამიშვილის იუმორით გაჟღენთილი, დოვლათიანი სტრიქონები:

- „ერთმან იხუმრა: ვიბანებ თიფლის აბანოს ნურითა,
- მეორემ — თეწით გაეძღები ზურგიელ გელაქნურითა,
- მესამემ — მივიბრუქები ღვინითა ატნურითა.
- და მეოთხემ — კიდევ დავეთოკენ საბლითა მაზმანურითა!“

მაშ, ატნური ღვინო — ეს ნუგბარი სასმელი ლიტერატურაშიც დამკვიდრდა და დამსახურებული შარავანდედით ძველთაგანვე შეიმოსა. დიან, ატენში XI საუკუნიდანაა ცნობილი სამეფო ზეარი და მეფეთა საკადრისი ნექტარის დამზადებაც იცოდნენ. დღეს თითქმის დაკარგულია ღვინის დაყენების მამაპაპური ტრადიცია...

1975 წლის ოქტომბერში ნოვინაბულეთ განთქმული „საცივის მარანი“, თვით ძველთაძველი და თვალშეუდგამი ატენის დედაციხის ორიენტირად რომ აქვს დასახელებული ქართველ მემკვიდრეს: „ხოლო შაკ-თამაზ მოვიდა გორს და აიღო ციხე წყდისისა, ციხე ძალათ აიღეს და ვერის ციხე ნებით მისცა ფარსადან და უენებლად ციხოვანი მორჩნენ იქიდან, და მიადგა ციხესა ატენისასა, რომელ არს თავს საცივისასა. რამეთუ მას შინა იყუნეს დედა და და ლუარსაბისა და სხვანი მრავალნი თავადნი“.

ახლა ამ ისტორიულ ადგილას უპატრონობა და სიბინძურე სუფევს. გლეხებს თავთავიანთი ქვევრები სახლებში გადაუტანიათ, მიდამო გაპატარებულა, მაღაზიას ნავთის რეზერვუარი შუა მარანში ჩაუდგამს და იქაურობა იწამლება. მარნის გავერანების გამო მოსახლეობა დიდ გულისტკივილს გამოთქვამს, მაგრამ, ჯერჯერობით, ყველაფერი ძველებურად რჩება.

„საცივი მარანი“ მდებარეობს დღევანდელ „დიდ ატენში“, რომელსაც ვაზუშტი მცირე ქალაქს უწოდებს, სადაც „არს ციხე მაღალი კლდესა ზედა, ნაშენი დიდი და ციხის გორის სამხრეთ არს საცივი, ვითარცა მყინვარი, სადაცა დგება ღვინო წარჩინებული“. ჩვენი საუკუნის 30-იან წლებამდე „საცივი მარანს“ თავისი ისტორიული სახე ჰქონდა შენარჩუნებული და პრაქტიკულადაც მასიურად გამოიყენებოდა. მკითხველს აქვე უნდა განვუმარტოთ, რომ „საცივი მარანი“ ნაგებობა არ არის, არამედ ციხის ძირას მდებარე მცირე ტერიტორიას მოიცავს, სადაც კლდოვანი, ნაშალი ნიადაგიდან მთელი ზაფხულის განმავლობაში ცივი ჰაერი გამოდის. მაშინ, როდესაც ირგვლივ მზე ყველაფერს წვავს, გავარჯარებულ ქვეებს შორის სასწაულებრივად იღვრება



მაკოცხლებელი სივრცე, რომელიც სიღრმეში ისე ძლიერია, რომ წყალს ჩინურ-უხსოვარი დროიდან ატენლებს ეს ადგილი მარნად გამოუყენებიათ. ყველა (ვანიშვილები, ჭილაძეები, ხუციშვილები და სხვ.) ღია ცის ქვეშ შთამომავლობით თავიანთ გუთნილ მონაკვეთზე ქვევრები ჩაუფლავთ და თავისებური ტექნოლოგიით აყენებდნენ ჩინებულ ატენურ ღვინოს, რომლის ბადალი არა თუ საქართველოში, არამედ მსოფლიოში არ მოიპოვებოდა. ეს ღვინო ადგილობრივი ჩინური ვაზის ყურძნი-საგან იწურებოდა.

ხალხური ეტიმოლოგიით ჩინური ხაჩინოს, უბადლოს, შეუდარებელს, გამორჩეულს, გამოჩინებულს ნიშნავს. ხოლო აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „ქართლში“ ატნის მიდამოებში, გავრცელებული მომწვანო-მოჭარვისფრო მარცვლიანი, ჩინური-სა ხაზელწოდებით ცნობილი ყურძნის ჯიში, რა თქმა უნდა, სადაურობის აღმნიშვნელი არ უნდა იყოს და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნითგან, ჩინეთითგან, არ იქნება მოტანილი. მისი სახელი ყურძნის ამ ჯიშის მარცვლების ფერის მაუწყებელი უნდა იყოს. ჩინი ძველ ქართულში საბას განმარტებით, „ზეთისხილის ფოთლის ფერი“-ს აღმნიშვნელია... ჩინური ამ—ყურძნის ჯიშის მარცვლის ფერის გამომხატველი უნდა იყოს“.

ეს ამორიგენული ვაზის ჯიში ამაყად დგას ქართული ვაზის ჯიშების სტანდარტულ ასორტიმენტში. სპეციალისტ-ამპელოგრაფთა აღიარებით ჩინურს ახასიათებს მთელი რიგი დადებითი თვისებები: ძლიერი ზრდა, უხვი მოსავალი, ლამაზი, პროპორციული აღნაგობის მტევანი და მარცვალი ყურძნის შენახვის კარგი უნარი და ტრანსპორტაბელურობა, სოკოვან დაავადებათა და ფილოქერის მიმართ საკმაო გამძლეობა. მართალია ეს ვაზის ჯიში მთელ შიდა ქართლშია გავრცელებული, მაგრამ მაღალხარისხოვან ღვინოს აყენებს მხოლოდ ჩვეულ, განსაკუთრებულ ადგილებში, სახელოდორ, მდინარეთა ხეობების სამხრეთ ან სამხრეთ-აღმოსავლეთით დახრილ ფერდობებზე, რომელთა ქვედა პორიზონტში კალციუმის კარბონატები და წვრილი ქვები (ლორღი) საკმაო რაოდენობითაა. სწორედ ასეთია ტანას ხეობა—უბერებელი დედა-მშობელი ჩინური ვაზისა მაგრამ ალღოიან, დაკვირვებულ მევენახეებს ტანაში ჩამდინარე აბანოსა და დეგეულას მცირე ხეები მიაჩნიათ ჩინურის საუკეთესო სააჯენედ. იქ ხელოვნურ ტერასებზე ანუ ადგილობრივი გამოთქმით „ტახტებზე“ მოსული ყურძენი და ღვინო უპირველესთა შორის უპირველესია. ძველად სამეფო მარნებისათვის იქ არჩევდნენ თურმე მოსავალს. გვიანდელ პერიოდშიც აბანოსხევისა და დეგეულას ღვინო ორმაგ ფასში იყიდებოდა. ამჟამად ეს ადგილები დაახლოებით 25 ჰექტარამდე იქნება და ატენური ღვინის მაღალხარისხოვანი ნედლეულის უმთავრეს, ისტორიულ ბაზად უნდა ჩაითვალოს.

რთველს ღვინობისთვის დამდევს იწყებდნენ. ყურძენს დაკრეფისთანავე ვენახებში (ვენახები სოფელზე 3-4 კილომეტრით ან მეტი მანძილით იყო დაშორებული) გამართულ ქვითკირის საწინახელში წურავდნენ. ტკბილს თაღარში ერთ-ორ საათს „სულს მოათმევენდნენ“, დაწმენდას აცლიდნენ, მერე მოუკუპრავ რუმბებში ჩაასხამდნენ და ურმებით „საცივის მარანში“ წაიღებდნენ. იქ ქვევრში კოკაზე თითო მუჭ ჭაჭას მისცემდნენ. ქვის სარქველ დახურულ, თიხით დაგოზილ და თავზე კლდის ნაშალი ქვიშით დაფარულ ქვევრში ტკბილი წყნარად დუღდა. მაგრამ ზამთრის დადგომისთანავე მიწის სიღრმიდან მომდინარე ბუნებრივი სიცივე სითბოთი იცვლებოდა, თუ ქვევრს ზაფხულის სიცხე ჭირხლი და ყინული ედებოდა, ახლა პირიქით ღვინო თბებოდა, „იძაბებოდა“, დუღილს უმატებდა, თუ დროიანად ხელს არ მიაშველებდი





გასქელდებოდა, წბოლს მოიდებდა, მოლორწოვდებოდა, ტიქაში ძაფივით ჩაჰყვებოდა, რალანაირი გადამეტებულ სიტკბოს და ლუყურტს დაიჩემებდა“. და ეს ყველაფერი რომ არ დამართნოდა ღვინოს, ატენელ მეურნეს უხსოვარი დროიდან ემპირიულად მიუგნია ორიგინალური ხერხისათვის: ტანადან გიდლებით უზიდებოდნენ სუფთა ყინულს, ქვევრს დაანაკლულებდნენ და ყინულით შეაესებდნენ. ყინული ღვინოს არა მარტო აგრილებდა, არამედ „დააკასკასებდა“, „დაწკვნეტაედა“, „გამჭირიხს და გამჭვირვალეს“ გახდიდა. „ბროლივით იყო, ჩახედავდი და ქვევრის ფსკერს დაინახავდი“. ღვინო საოცრად წმინდა, „კამკამა“, „ჰაეროვანი, „უნასმჭიღარი“ — შუშუნა დგებოდა. „უმჯობესი გემოს და სასიამუნო სასმელი შეუძლებელია ქვეყანაზე ყოფილიყო“.

ყინული არა მარტო ინახავდა ღვინოს, არამედ „გარდამეტ სიტკბოს, ლუყურტს და სისქეს ართმევდა“, ხვეწდა, აუმჯობესებდა. „ღვინის მოყინულება“ ზამთარში ორჯერ-სამჯერ მაინც უნდა მომხდარიყო, ოღონდ ყინულის მიცემის ზომა მღვინეს უნდა განესაზღვრა ღვინის სისქისა და სიტკბოს მიხედვით, რასაც გულმოდგინე დაკვირება და ცოდნა-გამოცდილება სჭირდებოდა. თუ უყინულოდ ღვინო „გადაიწვებოდა“ და სასმელად უვარგისი გახდებოდა — „ზეთივით“ სითხედ იტყვოდა, ზედმეტმა ყინულმა ღვინის გაწყალება და „დადამბლაეება“ იყოდა.

გარდა ამისა, მთელი ზამთრის განმავლობაში „საცივის მ:რანს“ რთილი არ უნდა მოჰკლებოდა. ვინაიდან მიწის სიღრმიდან მომდინარე სითბო ნალექს მალე ალღობდა, ატენელი მეურნე იძულებული იყო თოვლი და ყინული ზურგით ან სახედრით მოეტანა და ქვევრთა თავები იმით დაეფარა. როგორც კი „გაზაფხულის სუნი დატრიალდებოდა“, მიწის წიაღიდან დაძრული სიცივე ქვევრებს საიმედოდ გააგრილებდა.

ღვინის გადალება მარიაშობის თვის დამდეგს უწევდა — თხლეს გამოაცლიდნენ. გადაწმინდაეებდნენ. „საცივ მარანში“ ღვინის შენახვა-დაძველება წლობით შეიძლებოდა, მაგრამ ზუთიოდე წლის შემდეგ სასმელი უკვე ნაკლებ სასიამოვნო და თითქმის „ჯანგამოცლილი, დაბერებული იყო, ენას ძველებურად ვეღარ ეთამაშებოდა“.

სპეციალისტები დამეთანხმებიან, რომ ღვინის დაყენების იშვიათ ხალხურ წესთან გვაქვს საქმე. ჩინური ვაზის ყურძენი დღესაც საუკეთესო სამამანურე ნედლეულია, მის შემოქმედ ქართველ სახალხო სელექციონერთა ამ მიღწევას დავმატა ბუნებრივი „საცივი“, სადაც ატენლებმა, ვინ იცის რა ხნიდან, მარანი გამართეს და დასაბამი მისცეს ადგილობრივი, სრულიად თავისებური ღვინის წარმოებას, რომლის შესახებ ვახუშტი დაბეჯითებით აღნიშნავს: „ღვინო აჭაური (ლაპარაკია საციციანოზე, ლ. ფ.) უმჯობესი ყოველსა ქართლსა და უმეტეს ატენური ყოველთა საქართველოს ღვინოთა“.

მღვინეობაში ბუნებრივი მონაცემების ასეთი ორიგინალური და ამომწურავი შერწყმა იშვიათია და მას ტოკაის (უნგრეთი) მკვიდრთა გამოცდილება თუ შეედრება.

„საცივი მარნების“ ნაშთები ცნობილია გარეკახეთში, სახელდობრ მანავსა და ხაშშში. ვინაიდან იქ მიწიდან მომდინარე ბუნებრივი სიცივე არ მოიპოვება ქვევრების გასაგრილებლად წყაროს წყალს იყენებდნენ, რომელიც მარანში მიღებით იყო შემოყვანილი და ჭურბს ირგვლივ მუდმივად გარს ევლებოდა. მანავში სამეფო ზვარი XVIII საუკუნეშიც იყო და იქ ადგილობრივი, უნიკალური ჯიშის მანავის მწვანის ბაზაზე აყენებდნენ საუკეთესო, „სამეფო ღვინოს“, რომლის ტექნოლოგია, ჩვენი ვარაუდით, დაახლოებით ატენურის მსგავსი უნდა ყოფილიყო. შემდგომი კვლევა-ძიე-



ბა უმჯეველია ყოველივე ამას ნათელს მოჰფენს, ხოლო ამჯერად წინასწარი დასკვნის სახით უნდა განვაცხადოთ, რომ საქართველოში ე. წ. შამპანურის ტიპის შუშუნა ღვინოების დაყენების ტრადიცია ძველთაძველია და იგი უმართებულოდ გვაქვს დავიწყებული.

რაც შეეხება მარანთა ნაშთებს მეტი ყურადღება და მოვლა სჭირდება. ატენში „საქივი მარნის“ გვერდით მდებარეობს ორბელიანთა ნაქონი ე. წ. „ყვენის მარანი“, რომლის ნახევრად მიწაში ჩაფლული თაღოვანი ქვითკირის შენობა დღესაც დაცულია და სამწუხაროდ საბძლად არის გამოყენებული. გადმოცემით ამ მარნიდან ატენელი ფეოდალები სპარსეთის შაჰს უგზავნიდნენ თურმე ღვინოს და „ყვენის მარანი“ იმიტომ დაერქვაო. აღნიშნულ მარანში უზარმაზარი ქვევრებია. ადგილობრივი ღვინის ქარხნის მესვეურებს მათი მოთხრა და ქარხანაში გადატანა უცდიათ, მაგრამ ამოდ გარჯილან, დაკირულ-ჩადულაბებულ ჭურებს ძვრა ვერ უყვებს. თვით ეს ფაქტი ნათელყოფს, რომ უდიერად ვეკცევით ძველქართული მეღვინეობის რელიქვიებს. მაშინ როდესაც მიწის ზედაპირზე ჯერ კიდევ შემორჩენილი თუ არქეოლოგთაგან აღმოჩენილი და გაწმენდილი ძველი მარნები, ისე უნდა დავიცვათ, როგორც ისტორიული ძეგლები. სამარნე ნაგებობათა თავისებურება და კოლორიტი, ღვინის მაშინდელი ტექნოლოგიის გათვალისწინებით ქვევრთა განლაგება, ქართული მეღვინეობის დახვეწილობასა და მაღალ დონეზე მეტყველებს. ყოველივე ამას, შემეცნებითთან ერთად, დიდი ესთეტიკური და სანახაობითი მხარე აქვს. კარგად მოვლილი და სარეწებლად მოწყობილი ძველი მარნები მჭერმეტყველურად დაადასტურებენ, რომ საქართველო უხსოვარი დროიდან მახლობელი აღმოსავლეთის ვებერთელა მარანი იყო.

### ჭურის სარაცხი იარაღები

ქართულ მარანს მეღვინეობის სხვა ინვენტართან ერთად დღემდე შემორჩა ჭურის გასარეცხი იარაღები: სარაცხელი, ოჭიორა, ონსილო და სხვა.

იმერეთში ჩვენს მიერ დადასტურებული ამ რიგის იარაღები დიდ სიახლოვეს ამჟღავნებს, როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს შესაბამის ინვენტართან.

სარაცხლის ფონეტიკურ სახესხვაობათაგან სარცხის||სარცხი||სარცხელი — ივ. ჯავახიშვილი უძველესად მიიჩნევს სარცხელს. ეს ფორმა XIX ს. შუა ხანებისათვის შემორჩენილი იყო ქართლში, იმერეთსა და რაჭაში. მკვლევარი ვარაუდობდა რომ ფორმა სარცხელი გასული საუკუნის დამლევისათვის მხოლოდ ლეჩხუმშიღა შემორჩა, ხოლო დასავლეთ საქართველოში (იმერეთისა და რაჭის თემებში) ამ დროს იხმარებოდა სარცხი.<sup>1</sup> ამასთან დაკავშირებით გვინდა აღვნიშნოთ, რომ იმერეთში ამჟამადაც შემოაღნიშნული სამივე ფორმა დასტურდება (გარდა ამისა ქვ. იმერეთის ზოგ ადგილებში ამბობენ სარეცხელასაც). ამათგან უფრო ფართოდ გავრცელებული ფორმაა სარცხი.

სარცხი ორგვარია: საქვედაო და საზედაო. დიდ „ჩასავალ ჭურებს“ მრეცხავი შივ ჩასული რეცხავს საქვედაო სარცხლით, ხოლო პატარა ჭურები ირეცხება საზედაო სარცხით. ეს უკანასკნელი წარმოადგენს გრძელ ტარს (ჩვეულებრივ თხილისას), რომლის ბოლოზეც მჭიდროდ წამოცმულია ბალამწარას ქერქის (ოფიჭოს) ოთხკუთხოვანი ან ოვალური მოყვანილობის ნაჭრების წყება. საქვედაო სარცხს აქვს მოკლე, ორივე ხელით წასავლები ტარი, რომლის შუაზეც ამგვარადვეა წამოცმული და გამაგრებული ოფიჭოს ქერქები.

ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით ხელმარჯვე გლეხები აკეთებდნენ სარცხს, რომლისთვისაც მასალა უხვად იყო მახლობელ ტყეებში.

ბალამწარას გატყავება ანუ გაკანვა ივანობის თვიდან შეიძლება, როცა „ლოპარობის ხანა“ გასულია. ხის გასატყავებლად ძველ მთვარეზე მიდიოდნენ. კანს ხეზე ნაჭერ-ნაჭერ იღებდნენ: ხეს ქვემოთ ოთხკუთხად შემოსერადნენ, ნაპირს დანის პირით აახვედნენ და შემდეგ ხელით ააძრობდნენ. კანის აღებისას ცდილობდნენ ცილა არ დაეზიანებინათ. სარცხისათვის ხის ზედა კანი, „პირველი პერანგია“ საჭირო, ქვედა კანი ხეზე რჩება. (ორივე კანის — ბალარტყის აძრობა ხის გახმობას იწვევს). ხეზე აძრობილ ოფიჭოს ფურცლებს ერთმანეთზე დააწყობენ („მზენაყურებ გვერდზე ხეზე აძრობილი გვერდი უნდა დაიღოს“) და წყნელით შეკრავენ, დატკეპნიან (ზედ ფიცარს და ქვებს დაალაგებენ) და შემოდგომამდე ასე შეინახავენ. რთველის დრო რომ მოატანს, გამხმარ ოფიჭოს დაალობენ, კალაპოტის მიხედვით ერთ ზომიან დაჭრიან და ტარზე წამოაგებენ. ოფიჭოს გასამაგრებლად უბრალო ხერხს მიმართავენ: ორთავე მხრიდან ხის ფირფიტებს (ან ორ-სამ ბალარტყს) ამოსდებენ. ფირფიტა ანუ კოფა, გვერგვით (ბროწეულის, შინაწკლის ან ბიის წყნელით) ან სოლით მაგრდება.



ქართული  
ენების ცენტრი



სარცხისათვის უამზადებელი შვარც  
ბლის ნატრები—ოფიკო იმერეთიდან.

Куски коры дикой черешни —  
«ошичо» из Имерети

ბალაშვარას ქერკი იმერეთიდან.



Кора дикой черешни  
из Имерети.



ხაღვინე იარაღ-ინვენტარი შაიაკოვსკის  
რაიონიდან.

Приспособления для мойки  
глиняных сосудов.

მთის სოფლებში ზღის ქერქის მაგივრობას ეწევა არყის ქერქი. მოხრობელები აღნიშნავენ, რომ არყის ქერქი ზღისაზე უფრო მაგარია და ძარღვიანი, ამასთან უფრო გამძლეც, მაგრამ ძნელი მოსახმარია — არყით რეცხვა მეტ ძალას მოითხოვს, ძალიან მომქანცველია.

ჩასავალი ჭურების რეცხვის დროს ხმარობენ ვკლოვანი მცენარის, კრაზანისაგან გაკეთებულ მიოდუნულ ცოცხს, რომელსაც ბოლოებში მუხის ან ტირიფის ღვეფვი-სალ-ტე აქვს შემოჭერილი. დიდ ჭურში ჩასულ მრეცხავს სალტე ორივე ხელით უჭირავს და ცოცხს ჭურის კედლებს უსვამს. აღსანიშნავია, რომ ძველად იმერეთში კრაზანა ბალახი ზოგჯერ საგანგებოდ ითვისებოდა ვენახში.

ზოგან კრაზანის მაგივრობას ეწევა მეორე ეკლოვანი მცენარის — თავგისარკა კონა. თავგისარკას ღერები წინელით ხის პატარა ტუკზე მაგრდება. ამ მცენარეს ინსექციებს გიულდენშტედტი, რომელსაც ძმერხლი და თავგისარკა უნახავს საჩინოს მხარეში. გიულდენშტედტის ცნობით თავგისარკა ითესება სახლებთან, რათა დაიცვას იგი ავი თვალისაგან.<sup>2</sup>

ჭურების რეცხვას რთვლამდე რამდენიმე დღით ადრე იწყებენ. ჭურში სუფთა წყალს ჩაასხამენ და დაიწყებენ სარცხით ზევიდან ქვევით ჭურის კედლების ხეხვას. ასე შემოუვლიან ჭურს გარშემო. მრეცხავი ცდილობს ჭური „ოთხივე მხარეზე“ თანაბრად გარეცხოს და ამასთან სარცხიც ყველგან თანაბრად გაეცითოს. თუ სარცხი ცალ მხარეზე ნაადრევად „წეიჭამა“, რეცხვის დროს იტრიალებს და ძნელი მოსახმარი გახდება. მოხუცმა მოხრობელმა სოფ. ფუთში გადმოგვცა: „ჭურის რეცხვა რომ არ ვიცოდი, მამაჩემმა სამი ჯოხი დაასო ჭურის გარშემო, ჯერ ერთი კუთხე რეცხე, მერე მეორე, მერე კი მესამე“.

თუ ჭური მოუვლელია ან ნალვინვეი, ის თავდაპირველად კრაზანით ან თავგისარკათი ირეცხება. ჭურის გვერდებს ამ შემთხვევაში სილით რეცხავენ. ხმარობენ მდინარის სუფთა წმინდა სილას. მსხვილი სილა („ჭიკნა, ჭიკნა რომაა“) ჭურის კედლებს კარგად ვერ მოედება და ჭუჭყს ვერ გამოიტანს. კარგი ღირსებით გამოირჩევა მდ. ჩოლაბურის სილა, რომელიც სიმონეთელებს, სვირელებს და სხვა სოფლების მცხოვრებთ მიჰქონდათ ურმით. ზოგიერთი მდინარის სილა კი (მაგ. მდ. ყვირილასი, რომელსაც „ბევირის სხვა რამ მოსდევს და თანაც შავი ჭვითაა მოწამლული“), ჭურის სარეცხად არ გამოდგება.

გამოცდილი მრეცხავი ცოცხს ჭურის კედელს ისე „ზომიერად უსვამს, რომ ეკალი არ გადაიღწეოს, არ ჩაიჩხოს, თანდათან დაადნობს, სანამ კირწებზე არ დაიყვანს“.

მოუვლელ ჭურს სამჯერ შეარეცხავენ წყალს (სამჯერ სილის შემოყრა — ერთი შემორეცხვა). თითო ჯერზე (შემორეცხვაზე) სამ ჩაფ წყალს ახმარენ. ამიტომაც ამბობენ იმერეთში: ჭურის გარეცხვას 9 ჩაფი წყალი ჭირდებათ.

ჭურიდან ნარეცხი წყლის ამოსაქცევად იხმარება ორხელი. ორხელი, როგორც სახელწოდებაც მიუთითებს, წარმოადგენს ორ გრძელ ხის ტარს, რომლებზედაც თოკით სხადასხვა მასალის ჯამი-ჟათქია ჩამოკიდებული. იმერეთის კერამიკულ ცენტრებში ჩვეულებრივ, თიხის ორხელებია გავრცელებული, სხვაგან გვხვდება კვანისა, ხისა, ბოლო ხანებში კი თუნუქისაც შემოღის ხმარებაში. ერთი ტარი ორხელის პირთან არის მიბმული, მეორე გარედან — ძირთან. როცა ორხელით წყლის ამოღება სურთ, ჯამს აწევიან ზედა (პირთან მიბმული) ტარით, წყლის ამოღების დროს ორივე ტარს ეწევიან, მერე კი ქვედა ტარს (ორხელის ძირთან მიბმულს) ამოქარავენ და გადააქცევენ.

გარეცხილ ჭურს ამოამშრალებენ ონსილოს — გრძელ ჯოხზე მიბმული ჩვრის საშუალებით.

მთხრობელთა დაკვირვებით „ჭურის რეცხვა მაგარი სახელავი საქმეა, ცოდანც უნდა და ერთგულდება“. მაგრამ გარდა ცოდნა-გამოცდილებისა და გულმოდგინებისა, საჭიროა ფიზიკური ძალა-ღონიერი მკლავი: „თუ მრეცხავს მჯა არ უვარგა ერთი კვირა რომ რეცხოს მაინც სუნი ექნება მის ჭურს“.

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი. მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის ნ. 1, თბ. 1964, გვ. 54.

<sup>2</sup> გიულდენშტედტი, მოგზაურობა საქართველოში, ტ. 1, თბ. 1962, გვ. 161.

### ქალის სილამაზის ხალხური იდეალი

ვინ მოთელის რამდენი მსატყვისა და პოეტის შთაგონების წყარო გამხდარა ქართულ ტანსაცმელში გამოყოფილი ქართველი ქალი, რამდენი მოგზაური და უცხო სტუმარი მოხიბლულა ქართველი ქალის ეშხითა და კდემამოსილებით, ქართული პოეტური ფოლკლორის რამდენ ნიმუშში ამღერებულა ჩვენი ქალების შწო და ლაზათი.

XVII საუკუნის მოგზაური ჟან შარდენი წერს: „ქართველების ტომი უმშვენიერესია აღმოსავლეთში და შემძილია ვთქვა მთელ ქვეყანაზედაც. იქ არ მინახავს არც ერთი ცუდი სახის ქალი ან კაცი, ანგელოზებით ლამაზებიც ბევრი შემხვდა, ქალების უმეტესი ნაწილი ბუნებას ისეთი სიკვლეუცით დაუსაჩუქრებია, რომ სხვა ასეთს ვერსად შეხვდებით. შეუძლებელია თვალი მოჰკრათ იქაურ ქალს და არ შეგიყვარდეთ. არ შეიძლება დახატოთ ქართველი ქალების სახესა და ტანადობაზე უმშვენიერესი სახე და ტანადობა: მშვენიერი, წერწეტნი, თვალტანადნი და კვლეუცნი. იშვიათად ნახავთ, რომ ქალი უშნოდ იყოს გასუქებული“.

როგორც ცნობილია, ქალის სილამაზის შეცნობა და მისდამი ყურადღების გამახვილება გარკვეულ ისტორიულ ეპოქას მიეკუთვნება, იგი გულისხმობს მატერიალური დოვლათის მოპოვების გაზრდას და ამასთან ერთად ადამიანთა ესთეტიკური გემოვნების ამაღლებას. აქედან გამომდინარე, საუკუნეების განმავლობაში, ქალის სილამაზისადმი ყურადღების მიქცევამ და ქალის სხეულის ცალკეული ნაკვთების დამახასიათებელი ნიშნების პარმონიულად განვითარებამ, ხელი შეუწყო ქალის სილამაზის ხალხური იდეალის ჩამოყალიბებას.

სამეცნიერო ლიტერატურაში ძალზე ძუნწი ცნობები მოგვეპოვება იმაზე, თუ რა გავლენას ახდენდა ქალის სილამაზის შეგრძნება ქართველი კაცის სულიერ სამყაროზე და ფიზიკური სილამაზის რა მონაცემებს აერთიანებდა ქართველი ქალის ისტორიულად შექმნილი იდეალი

აღნიშნული საკითხის განხილვისას საჭიროა ეთნოგრაფიული მასალისა და ხალხური ზეპირსიტყვიერების თვალსაჩინო ნიმუშების გათვალისწინება, რომელთა შერწყმა ამ შემთხვევაში არა მარტო სასარგებლოა, არამედ აუცილებელიც. ჩვენს მიერ აღმოსავლეთსა და დასავლეთ საქართველოს ბარის მოსახლეობაში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალა ემთხვევა ქართული პოეტური ფოლკლორის თვალსაჩინო ნიმუშებში აღწერილ ქალის მშვენიერების იდეალს.

XVIII საუკუნის გამოჩენილი ქართველი მეცნიერი ვახუშტი ბატონიშვილი, მკითხველების ყურადღებას მიაპყრობს ქართველი ქალის გარეგნობას. იგი წერს: „ქალნი ზეენაერნი, ჰაეროვანი, შავ თვალ-წარბ-თმოსანი, თეთრყირმიზნი, იშვით შავგრემან და მოყვითან, იშვით თვალჭრელ და გრემანი, მწითურ ანუ თეთრ“.

ხალხურ მასალებსა და ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში ქალის სხეულის ყოველი ნაკვთია გაიდებულული და მთლიანობაში აყვანილი. სრულყოფილი სილამაზის გამოსახატავად ხალხი ლამაზ ქალს მზეს და მთვარეს, დილის ცისკარს ადარებდა.

პირველ რიგში ლამაზად მიჩნეული იყო მაღალი და ტანწორი ქალი. ხალხური იდეალი ქალის ტანს ალვის ხეს, ლერწამს, ოქროს სურას ადარებს. მაღალსა და ტანწორი ქალს გარეგნობის შეფასებისას უპირატესობა ენიჭებოდა. „მაღალი ქალი



საზოგადოებაში გამოიჩინოდა, მისი ტანადობა თვალში საცემი იყო, კარგი ტანადობის ქალის წთამომავლობაც მაღალი და ტანადი იყო“.

ჩვენებური კაცი საცოლის ამორჩევისას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ქალის სიმაღლეს. პატარა და ტანმორჩილი ქალი არ ითვლებოდა პირველხარისისოვან პატარძლად.

ამასთან ერთად ყურადღება ექცეოდა ქალის სიმსუქნეს, მოწონებით არ სარგებლობდა უზომოდ გასუქებული ქალი, რასაც ხალხში გამართლება ჰქონდა ეკონომიურ-ესთეტიკური თვალსაზრისით.

„ქალავ ლამაზად შეყრილო, ალვის ხეს ჰგვეხარ ტანადა“ ან „ქალავ ტან-წვრილო, ლამაზო გადახრილო თეძოშია“<sup>2</sup> ქალის სილამაზის მეორე დამახასიათებელ ნიშნად ითვლებოდა შავი ფერის თვალები (საქართველოს რიგ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კუთხეში კი უპირატესობა ენიჭებოდა თაფლისფერსა და ცისფერ თვალებს).

ალსანიშნავია, რომ ხალხური რწმენის თანახმად, თვალების ფერით შეიძლებოდა ადამიანის ხასიათის გამოცნობა, თუ რანდენად სანდოა ეს რწმენა, ძნელია მტკიცება, ისე კი ნებისმიერი ფერის მდიდარი შინაგანი სამყაროს გამომხატველი თვალები ადამიანს მიშვიდველს ხდის.

თვალის ფერთან ერთად ყურადღება ექცეოდა თვალის ჭრილს. ხალხში ამ მხრივ გაიდგალებული იყო „ნუწიხებური“, „თოლგვირალი“ თვალები. ხალხური, ზეპირსიტყვიერების არაერთ ნიმუშში ამღერებულა ქართველი ქალის თვალები, არაერთი ხალხური მოქმელის ხოტბის საგანი გამხდარა შვთვალა თუ ლურჯთვალა, თვალეკუეუნა ქალი-ლამაზი ქალი ხალხური იდეალის მსგავსად უნდა იყოს თეთრი და ფეროვანი“. ქალის კანის ფერი მზე და მთვარეზე უთეთრესი უნდა იყოს, რომელსაც ოდნავ ვარდისფერი უნდა გადაჰკრავდეს“.

„მიყვარს მე ქალი ტანადი, ლამაზი და ფეროვანი.“ ხალხური გადმოცემით „ნახშირივით“ შავი ქალი მოწონებით არ სარგებლობდა“.

გაიდგალებული სილამაზის მქონე ქალს გაშლილ ვარდს, ატმის ყვავილს, ბროლსა და თოვლს ადარებდნენ.

ლამაზ ქალს წარბ-წამწამიც შესაფერისი უნდა ჰქონოდა. გაიდგალებული იყო წვრილი, მორკალული შავი წარბი და ხშირი, გრძელი, „ისარივით“ წამახვილებული წამწამები.

„წარბიც გიგავს ვაზის წალამს, წამწამიც მელან-თალგამსა“<sup>4</sup> ქართველი მანდილოსნები უძველესი დროიდან მოყოლებული დიდ ყურადღებას აქცევდნენ თმის, როგორც გარგნობის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტის მოვლას და სისუფთავს.

ხალხში გაიდგალებული იყო გრძელი, ხშირი გიშრისფერი თმები. ქართველი ქალის ვარცხნილობა იყო სადა, მიმზიდველი და ქართულ კოსტუმთან ორიგინალურად შეფარდებული. „თმა ქალის საუკეთესო სამკაული იყო. ერთ სიმდიდრეს უდრიდა ცხრანაწინავა გიშრის თმები“.

ხანდაზმულების გადმოცემით, გრძელი ნაწნავები გათხოვილსა და გასათხოვარ ქალს ღირსებას მატებდა და საზოგადოების თვალში დიდი პატივისცემით სარგებლობდა. ქართული ვარცხნილობის წესები დაკავშირებული იყო მანდილოსნის მდგომარეობასთან საზოგადოებაში და განსხვავდებოდა ასაკის მიხედვითაც. განსხვავება შეინიშნებოდა ქალიშვილის, გათხოვილი და ქვრივი ქალის ვარცხნილობაში.

გაუთხოვარი ქალებისათვის აუცილებელი არ იყო თავდახურვა, ისინი უმეტესად ატარებდნენ მრავალნაწნავს „ცხრანაწნავს“, რომელიც გვერდზე და მხრებზე ჰქონდათ





მოკლე კავეზი.

Короткие «кави».

გარდაშვებული. გათხოვილი ქალი აუცილებლად შინ და გარეთ თავდახურული უნდა ყოფილიყო. თავდახურულ ქალს ამშვენებდა კავეზი.

„ქალი თმას ჯერ შუაზე გაიყოფდა, შემდეგ ორივე მხარეს ყურის გასწვრივ გამოიყოფდა თმის ნაწილს, საფეთქლებთან ჩამოშვებულს შესჭრიდა, დაამოკლებდა, შესაფერისად დააკულულებდა და ამგვარად კავეზით ანუ ზილფებით ლოყებს ანუ ღაწვებს დაიმშვენებდა“<sup>6</sup>. ხმარებაში იყო აზასთანავე ხელოვნური კავეზი.

პირ-ბაგისა და კბილების ხალხური იდეალი შესანიშნავადაა გადმოცემული ხალხურ ლექსში:

„პირი სტვირი, კბილი მძივი, ბაგე ხახვის ფურცელია“<sup>6</sup>. ხალხი ქალის ტურებს მარჯანსა და ვარდის კოკორს ადარებს.



გრძელი კავები.

Длинные «кави».

რაც არ უნდა ლამაზი ყოფილიყო ქალი, მისი სილამაზე იჩრდილებოდა, თუ კი მას უსწორი და მოუვლელი კბილები ჰქონდა. ქალს მარგალიტებით კბილები უნდა ამ-  
შვენებდეს და მზრუნველობას არ აკლებდეს მოვლით. მჭიდროდ ჩამწყრივებული ჯან-  
საღი კბილები ყველასათვის სასურველი იყო.

ყელის შესახებ ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებში ორი ეპითეტია ხმარებუ-  
ლი „ბროლისა“ და „მოღერებული“. დილის ვარდო, ტან-სურათო, თავ-ბოლომდე მუ-  
რასათ,

ყელი გათლილ ბროლს მიგიგავ, ტანი ოქროს სურასათ“.



ხალხური იდეალის მიხედვით ლამაზად მიჩნეული იყო მაღალეჭოლოთში ქართულ კაბაში გამოწყობილი ქალის მნიშვნელოვანი დეტალი იყო „ლერაქით ყელის ახვევა-აფარება, რაც გარკვეულ შინაარსს ატარებდა. ამით განასხვავებდნენ გაუთხოვარს და გათხოვილ ქალს — გათხოვილი ქალი ლერაქის ერთი წვერით ყელს იხვევდა. იფარავდა, გაუთხოვარი კი არა.<sup>7</sup>

ქალს შუბლი იდეალის მსგავსად უნდა ჰქონოდა ფართე და გადაშლილი. ბავშვის თმას პატარაობიდანვე აჩვევდნენ ზევით ავარცხნას და თავსაკრავით შეუკრავდნენ, რომ შუბლზე არ ჩამოზრდოდა. მაღალი შუბლი ხალხში ჭკუისა და გონიერების აღმნიშვნელი იყო.

ქართველ ქალს შუბლი შემკული ჰქონდა თვალმარგალიტის შუბლის ქინძისთავით, რომელიც ჩიხტზე იყო დამაგრებული.

მკლავ — თითების შესახებ ასეთი იდეალია:

„ლამაზნი კლავნი გამოყო მარგალიტისა თითები“.<sup>8</sup>

ხალხში მოწონებით სარგებლობდა ნიდაყვს ზემოთ მსხვილი და ნიდაყვს ქვემოთ თანდათან დაწვრილებული, ჩამოქნილი მკლავი. დიდი ყურადღება ექცეოდა ხელების მოვლას. იმისათვის, რომ შეენარჩუნებინათ რბილი კანი ხელზე იცხებდნენ სხვადასხვა მცენარეულ საცხებებს და სურნელოვან ზეთებს ლამაზი თითები ქალის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბუნებრივი სამკაული იყო. არც თუ იშვიათად ფრჩხილებს იღებავდნენ ინით, ჭიაფურათი, ანწლითა და სხვა.

„ქალმა დამწყველა ლამაზმა ხელ შეღებოლმა ინითა“: იდეალის მსგავსად ლამაზად მიჩნეული იყო მოკლე ფეხის ტერფი, ხელის გრძელი მტევანი, წვრილი მავა, ამასთან ქალის ზედა კიდურები მის სხეულთან უნდა ყოფილიყო პროპორციულად შეფარდებული. მაგ ნიდაყვი ზედ წელს უნდა ემთხვეოდეს და სხვა.

ჩვენს მიერ განხილული წმინდა ფიზიკური გარეგნული ნიშნების გარდა ქალის სილამაზის ხალხური იდეალი ითვალისწინებდა ძნელად შესამჩნევ, მაგრამ ესთეტიკური გარეგნობის შემქმნელ ისეთ აუცილებელ თავისებურებებს, როგორცაა სიცხლის მანერა, გამოზედვა, სიარული, ხმა და სხვა.

ხალხის აზრით ქალი ნარნარად უნდა მიარხევედეს ტანს, მისი სიარული უნდა გავდეს შვლის ნუკრისა და კალმახის სიმარდეს და მიმოხვრას.

„ლამაზო შენ გენაცვალე მშველსა გიგავს სიარული“.

მოსაწონი არ იყო თუ ქალი ბეჭების რხევითა და ტანის რწევით დადიოდა. ქართველი ქალის სიარულში სიღარბისლე იგრძნობოდა და ჩვენი ქალების ეროვნული ტანსაცმელიც ისეთი თარგისა იყო, რომ ქალს დინჯი და მსუბუქი სიარული შეძლებოდა, რამდენი ებითეტი, ლექსითა და ხატოვანი გამოთქმით შეუმკია ხალხს ქალის ტკბილი და ნაზი ხმა, რომელიც „სირინოზის გალობის“, „ბულბულის სტვენის“, „მერცხლის ქლურტულის“ ასოციაციას იწვევდა ადამიანში.

აღსანიშნავია, რომ პატარძლის „გასინჯვისას“ ფიზიკურ გარეგნობასთან ერთად მნიშვნელობა ენიჭებოდა ხმას და რაც არ უნდა ლამაზი ყოფილიყო ქალი, თუ ლაპარაკი არ უვარგოდა და „მყივანა“, ცივი, გაწვრილებული ხმა ჰქონდა იზრდილებოდა მისი სილამაზე.

ასევე არავსთეტიკურს ხდიდა ქალს ხმამაღალი სიცილი, ურცხვი, მოურიდებელი გამოსხვევა ქალის სახეს აცისკროვნებდა ნაზი ღიმილი, რაც ხალხში არაერთხელ გამხდარა ხოტბის საგანი



მრავალწინავი.

«Мравалнациანი».

ქართველი ქალის ფიზიკური სილამაზე თუ გაიგივებული არ იქნებოდა სიკეთესა და სულიერ სათნოებასთან, სილამაზის იდეალი ვერ გახდებოდა.

ხალხის წარმოდგენით ქალის სხეულის ნაკვთების მშვენიერი ფორმები უნდა წარმოადგენდეს ქალის მდიდარ სულიერ სამყაროსთან პარამონიულ შერწყმას.



საქართველოს  
რესპუბლიკის  
საქართველოს  
საქართველოს  
საქართველოს

ქართული ხალხური იდეალისათვის წარმოუდგენელია ქალის სილამაზის რომეო-სიკ ურთოდოულად არ არის მოცემული „გარეგანი და შინაგანი სილამაზის ურთიანობა, სხეულის მოხდენილობა, სახის სილამაზე და ამავე დროს ღრმა გონიერება — ხალხის აზრით, გარეგნული მშვენიერება მოსაწონი და ქების ღირსი მხოლოდ მაშინაა, როცა მას შინაგანი სილამაზე ახლავს“.<sup>9</sup>

ქალის მხოლოდ ფიზიკური სილამაზე არ იყო მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი პირობა, კარგ გარეგნობასთან ერთად აუცილებელი იყო სიღრმე, თავაზიანობა, გონიერება.

„მართლ სილამაზე ვერ გაცხოვრებს შეილო, ქკვა უნდა ახლდეს თან სილამაზეს რანდენი ლამაზი ქალი მინახავს დაუდგრომელი და უკეთური ქცევით თავიც დაუღუპავით და ოჯახიც“.

ისტორიულად უნაკლო ქალის განსახიერება, როგორც გარეგნობით ისე ღრმა გონიერებით იყო თამარ მეფე, რომელშიც ხალხი უნაკლო არსებას ხედავდა.

„საქართველოს დედოფალი, დედა ქართლისა თამარი,

სიმშვენიერით მოსილი, ამომავალი მზის დარი,

სიბრძნით, სიუხვით ქებული

დილის ცისკრისა სადარი“<sup>10</sup>.

როგორც ვხედავთ, ქალის ისტორიულად შექმნილი სილამაზის იდეალი ქართველთა ქალის გარეგნული სილამაზისა და მდიდარი სულიერი სამყაროს სინთეზს წარმოადგენს.

ქალის სილამაზის იდეალთან დაკავშირებით ხალხის ესთეტიკურ შთაბეჭდილებასზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ ბუნება წარმოადგენს ესთეტიკური აღქმის მთავარ ობიექტს და წყაროს, თუმცა ეს გარემოება აშკარად თავის თავს ნაკლებად ავლენს“. სახის თეთრი კანი, წითური ლოყები, ხშირი, გრძელი და შავი თმა, შავი თვალ-წარბი, ყველა ამ ღირსების მითვისება ქალისათვის საქართველოს ბუნებას, მიწა-წყალს ადვილად შეუძლიან“.

ეს იდეალი სრულად თავისებურია, იგი ადგილობრივ ბუნება-ნიადგაზე და მყარებული, რასაც ადასტურებს ქალის სილამაზის შემკობა ეპითეტებით: ვაშლივით წითელი, „მავალივით შავი, თოვლივით თეთრი, ლერწამივით წვრილი და სხვა.

ქალის სილამაზის შეგრძნება და მისდამი ყურადღების გამახვილება ვითარდებოდა თანდათანობით და იცვლებოდა განვითარების სხვადასხვა საფეხურზე საწარმოო და საზოგადოებრივ ურთიერთობათა გავლენით, რამაც დიდად შეუწყო ხელი ქართველი კაცის არა მარტო ესთეტიკური გემოვნების ამაღლებას, არამედ დიდი როლი შეასრულა ადამიანთა შემდგომი ურთიერთდახსლოების საქმეში.

<sup>1</sup> ქს. სიხარულიძე, საქორწილო პოეზია, ლიტერატურული ძეგლები 1958 წ. ტ. XI, გვ. 397;

<sup>2</sup> ალ. შირიანაშვილი, ქალის მშვენიერების იდეალი „ივერია“ 1886 წ. № 112,

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> ძველი საქართველო, საქ. საისტ. და საეთნ. საზ. კრებული 1913/14 ტომი III—გვ. 134.

<sup>5</sup> ნ. გვათა, ზაქმულოის ისტორიიდან, თბ., 1967, გვ. 31.

<sup>6</sup> ალ. შირიანაშვილი, ცოლს იდეალი გამოხატული ქართულ ხალხურ პოეზიაში „მოკაბე“ 1901 წ. № 10.

<sup>7</sup> ძველი საქართველო, საქ. საისტ. და საეთნ. საზ. კრებული, ტ. III 1913/14 წ.წ. გვ. 113.

<sup>8</sup> ნ. გვათა ზაქმულოის ისტორიიდან, თბილისი 1967 წ. გვ. 33 ალ. შირიანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 112.

<sup>9</sup> ა. ხინთიბიძე, ქალი ქართულ ფოლკლორში, თბ., 1956 წ. გვ. 53.

<sup>10</sup> გ. ნადარეიშვილი, ქართული საოჯახო სამართლის ისტორიიდან თბ; 1965 წ. გვ. 88.

6060 მინლაძე

## ხალხური სამკურნალო იარაღები

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ხალხური მედიცინის შესწავლის დროს ჩვენი ყურადღება მიიპყრო ხალხური სამკურნალო საშუალებების წარმოშობის საკითხმა.

ცნობილია, რომ სამკურნალო საშუალებათა შექმნას აპირობებდა ადამიანის ინსტიქტი, მისი დაკვირვება გარე სამყაროზე, ხშირ შემთხვევაში, ადამიანის მსოფლმხედველობა, მისი რწმენა-წარმოდგენები საზოგადოების განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე.

არსებობს მოსაზრება, რომ ყველა ხალხური სამკურნალო საშუალება თავდაპირველად მაგიური მიზნით გამოიყენებოდა. ეს მოსაზრება რასაკვირველია სწორი არ არის, მაგრამ გარკვეული სახის სამკურნალო საშუალებათა შექმნას, მართლაც მაგიური გააზრება ედო საფუძვლად.

ადამიანი სხვადასხვა დაავადებათა გამომწვევ რეალურ მიზეზებს ყოველთვის ვერ ხსნიდა, ამიტომ მათ ზებუნებრივ სამყაროს უკავშირებდა.


უძველესი დროიდან, ხალხმა მისთვის გაურკვეველი დაავადებანი ბოროტ სულის დაუკავშირა, ხალხის წარმოდგენით ბოროტი სული ადამიანის სხეულში შეიჭრებოდა, მის რომელიმე ორგანოში დისიდგურებდა და ამ ორგანოს დაავადებას იწვევდა, ან ბოროტი სული მთლიანად ეუფლებოდა ადამიანის ორგანიზმს, უმეტესად ფსიქონერვულ დაავადებათა დროს.

აღნიშნული რწმენიდან გამომდინარე ადამიანი, ავადმყოფის გამოჯანმრთელების მიზნით, ცდილობდა ავადმყოფის სხეული ბოროტი სულისაგან გაენთავისუფლებინა და სხვადასხვა სახის მაგიურ-რელიგიურ საშუალებებს იყენებდა.

გარკვეული სახის მაგიურ-რელიგურ საშუალებების გამოყენებას სრულიად რაციონალური შედეგი ჰქონდა. ასეთი სახის საშუალებებმა დროთა ვითარებაში თავიანთი პირვანდელი გააზრება დაკარგეს და ახლა ხალხურ მედიცინაში სრულიად რაციონალურად გამოიყენებიან.

მაგალითად ცნობილია, რომ მკურნალობის ისეთ ფართოდ გავრცელებულ მეთოდებს, როგორც არის: სისხლის გამოშვება, ოფლის მოდენა, თავდაპირველად მაგიური გააზრება სხეულიდან ბოროტი სულის განდევნა, ედო საფუძვლად.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დამოწმებულია სისხლის გამოშვების ერთ-ერთი უძველესი მეთოდი, ე. წ. კოტოშებით სისხლის გამოშვება. კოტოში — მონივრით სისხლის გამომღები ჭურჭელია — განმარტავს სულხან-საბა ორბელიანი. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში დამოწმებული კოტოში მოკლედ გადაჭრილ ჯიხვის ან ხარის რქას წარმოადგენს. მას წვეტიანი ბოლო გახვრტილი აქვს. სხვადასხვა სახის დაავადებების: სახსრების ტკივილის, ჭვალის და სხვ. დროს მტკივნეულ არეს ბასრი დანით დასერავდნენ და ზედ კოტოშს დაადებდნენ, შემდეგ წვეტიანი ბოლოდან პირით ჰაერს ამოსწოვდნენ და ნახვრეტს გამდნარი სანთლით დაგმანავდნენ. კოტოშის შიგნით ვაკუუმი იქმნებოდა, იგი მჭიდროდ მოეკიდებოდა კანს და თან-



კოტოშები.

Лечебные банши-котоши.

დათან დასერილი კანიდან გამოწადენი სისხლით ივსებოდა. როდესაც კოტოშის შიგ-  
ნით გარკვეული რაოდენობის სისხლი დაგროვდებოდა, კოტოში თავისთავად მოვარ-  
დებოდა.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო ერთმა გარემოებამ — ასეთივე სახის კოტოშების, ამავე  
მეთოდით გამოყენება დამოწმებულია აფრიკის ზანგებში, მხოლოდ ისინი ამ მეთოდს  
მაგიური, სხეულიდან ავი სულის გამოდენის მიზნით იყენებდნენ.

საესებით დასაშვებია, რომ საქართველოშიც თავდაპირველად, კოტოშების სა-  
შუალებით სისხლის გამოშვებას მაგიური გააზრება ედო საფუძვლად, მით უმეტეს,  
რომ აჭარის ხალხურ მედიცინაში საყმაწვილო სენის დროს დამოწმებულია სისხლის  
გამოშვება ავი სულის გამოდენის მიზნით.

ვფიქრობთ, რომ აღმოსავლეთ მთიანეთში დამოწმებულ რამდენიმე სამკურნალო  
საშუალების შექმნას, თავდაპირველად მაგიური გააზრება ედო საფუძვლად.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ყურის ტკივილის დროს ხშირად  
მიმართავენ ე. წ. ყურის კოტოშებით მკურნალობის მეთოდს.

მოგვყავს ამ მეთოდის აღწერილობა: ქალაქს ან რაიმე ნაჭერს გამდნარ სან-  
თელში ამოავლებდნენ, შემდეგ გასანთლულ ნაჭერს თითისტარს შემოახვევდნენ, გა-  
ციების შემდეგ თითისტარს ამოაყლიდნენ, სანთლიან ქალაქს ძაბრისებური ფორმა  
რჩებოდა. ამგვარად დამზადებულ კოტოშის ვიწრო ბოლოს ავადმყოფს მტკივნეულ  
ყურში ჩაუდგამდნენ. ფართე ბოლოზე კი ცეცხლს მოუკიდებდნენ. ამ გზით სასმენ  
შილში ვაკუუმი იქმნებოდა, რაც ყურში დაგროვილ გოგირდოვანი საციობების გაფხვი-  
ერებასა და გამოდენას იწვევდა და ტკივილს აყურებდა.

ამეამად ყურის ტკივილის ასეთი სახით მკურნალობას არავითარი გააზრება არა  
აქვს. მთიელები ამბობდნენ: კოტოშს ყურიდან მიზეზი — ე. ი. ტკივილის მიზეზი  
ამოაქვსო. შესაძლოა, რომ თავდაპირველად ამ მიზეზში, სწორედ ავადმყოფობის გამომ-  
წვევი სული იგულისხმებოდა, რომელსაც კოტოშის საშუალებით ყურიდან გამოდევ-  
ნიდნენ.



შესაძლებელია, ძველად მაგიასთან იყო დაკავშირებული ქარების — ზმების დროს წალიკა||მედგარა ბ:ლახის ხმარება. წალიკა სხეულზე წყლულს — იარას, ალბათ, სხეულში ჩაბუდებული სულის გამოსასვლელ არეს ქმნიდა.

საინტერესოა აგრეთვე ნივრით მკურნალობა. ნიორი, ფართოდ გამოიყენება ხალხურ მედიცინაში სხვადასხვა სახის დაავადებათა სამკურნალოდ.

ძველ აღმოსავლეთში, ქურუმები აპოთროპეული მიზნით ხშირად იყენებდნენ მძაფრი, არასასიამოვნო არომატის მქონე მცენარეებსა და ნივთიერებებს.

შესაძლებელია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშიც ნიორი, თავდაპირველად აპოთროპეული მიზნით გამოიყენებოდა. ამას ადასტურებს ორი გარემოება:

1. მთიელები, თუ გადამდები სნეულებით დაავადებულთან მიდიოდნენ, უბეში ნიორს ჩაიყრიდნენ — ავადმყოფობა არ მოგვეკარება, ავადმყოფობა ნივრის სუნს გაურბისო.

2. მკითხავა, თუ ნიორი ქონდა ნაჭაში, არ იმკითხავენდა — ნივრის სუნზე ხთისშვილნი არ გამეკარებიანო.

ამგვარად, ისევე როგორც საერთოდ ხალხურ მედიცინაში, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ხალხურ მედიცინაშიც ამა თუ იმ რაციონალური სამკურნალო საშუალების შექმნას მაგიური საფუძველი ჰქონდა. მათი რაციონალურობის გამო ეს საშუალებანი ხალხურ მედიცინას დღევანდლამდე შემორჩა, ხოლო მათი მაგიური გააზრება დროთა ვითარებაში დაიკარგა.







ჟურნალური პერიდიკა

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით თიხის ჭურჭლის (საშუალო და დიდი ზომის) დამზადება რამდენიმე ეტაპისაგან შედგება; თითოეული ეტაპი შესაბამისი ტერმინით აღინიშნება: გუნდის დაკვრა, გუნდის აწევა, გუნდის დაწევა, გუნდის გახვრეტა, აყვანა, პირის მოყვანა, მეორედ აყვანა, პირის აწევა, გონგით გასუფთავება, დაძირვა, ყელის გაკეთება, დაყურვა და მოჭრა.

ერთ-ერთ პროცესს ჭურჭელზე (დოქი, ხელადა, თუნგულა, ლიტრა) ყურის მიდგმა ან ყურის „შემა“ წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ იმერეთში ყური და ხელი შენაცვლებით ჩხმარება. არჩევენ ყურმილიან მრგვალღერა, ბრტყელ, ზურგიან გაკეთებულ, დაკობლილ, „დალილულ“, მორკალურ, „ფიგურიან“ და დაწნულ ყურს ანუ ხელს. აქედან ჩვენ ყურადღებას, მხოლოდ ე. წ. ყურმილიან ანუ საწოვრიან ყურზე შევამჩნევთ.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით აღნიშნული ყურის გაკეთება მხოლოდ შრომაში მოწმდება. მორგეზე მყოფ ყურმიდგმულ ჭურჭელზე ხდება „საწოვრის“ გაკეთება. საწოვრიან დოქს ზოგჯერ „ჩაიდნისტურიან“ ყურსაც უწოდებენ. მეჭურჭლე სახარატო გონგით ჭრის ახლად მიდგმული, ნედლი ყურის ზურგს და სველი სანიკარტე ჯოხით აფართოებს მას. სანიკარტე ჯოხითვე ხვრიტავს ჭურჭლის გეამს. გახვრეტილი ჭურჭლის გეამში ხელოსანი ორმაგად დაკრებილი თოკის ერთ ბოლოს უყრის და ამაგრებს გონგით. თოკის მეორე, ე. ი. თავისუფალი ბოლო ამოშვერილი რჩება იმ ადგილას, სადაც გაჭრილი ყური მთავრდება. ხელოსანი ისველებს ორივე ხელს და ცერა და საჩვენებელი თითების დახმარებით ახდენს ტრილობის შეერთებას, რის შედეგადაც თოკი შიგნით ექცევა. ყურის „გამრთელების“ შემდეგ თოკის ცალი მხარე ამოშვერილი ჩანს, სადაც ხელოსანი მიწის პატარა ნაჭერს აკრავს და „საწოვარს“ ანუ „ტუნს“ უკეთებს. საწოვარი, დოქის ყურში ჩაიდნის მილის მსგავსი სითხის გადმოსახმელი მილია. იგი უკეთდება პატარა ზომის საღვინე დოქებსა და საწყლე თუნგულებს. მისი ერთადერთი დანიშნულებაა ადამიანმა მოხერხებულად დალიოს სითხე ჭურჭლიდან გადმოუსხმელად. საწოვარი ჭურჭელს ყურის ქვედა შეერთების ოდნავ მაღლა უკეთდება. ამიტომ სითხე მასში გაცილებით ადრე გადმოდის, ვიდრე დოქის პირიდან. საწოვრიანი ყურის ზედა თავი გაუმტარია, რის გამოც ჭურჭელი, როგორც არ უნდა იყოს სავსე, სითხე გადმოსხმის დროს საწოვრიდან გადმოდის და არა პირიდან.

სასაწოვრე თოკის ყურში დატოვება შეიძლება, ჭურჭლის გამოწვის დროს თოკი დაიწეება და ხვერილი დარჩება. მეჭურჭლეები გატყვისის შიშით ერიდებიან ნედლი, გაუმწრალი, „ჭყინტი“ ჭურჭლის ყურიდან სასაწოვრე თოკის ამოღებას. კარგი მეჭურჭლისათვის კი პირიქით, სასაწოვრე თოკის ჩატოვება გამოსაწევე ჭურჭელში სირცხვილად ითვლება. უხუცესმა მეჭურჭლემ ნიკოლოზ ლაბაძემ, რომელსაც ჩვენ საწოვრიანი დოქის კეთების დროს შევესწარით ჭურჭლის დამზადების შემდეგ ორივე ხელი გაინთავისუფლა, სანიკარტე ჯოხით შეალაშა საწოვარი, ორივე ხელით შეასწორა მთელი ჭურჭელი; მარცხენა ხელით ფრთხილად შეამაგრა ჭურჭელი და მარჯვენათი ნელა ამოწიდა თოკი.



ჭურჭლის დამზადება მორგეზე

Изготовление посуды на гончарном круге.

„საწოვარი“ საინტერესო ტერმინია. იგი ზმნა „წოვებისაგან“ მომდინარეობს. ამას მისი ფუნქციაც ადასტურებს, რამდენადაც საწოვარის ერთადერთი დანიშნულებაა მისგან სითხის გამოწოვა. საწოვარს შრომის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ქალის მკერდს უკავშირებენ. საწოვარიანი ჭურჭლის წინაპრად შეიძლება მივიჩნიოთ ე. წ. „ჩაიდნისებური“ და „ყურმილიანი“ თიხის ჭურჭელი.

„ყურმილიანი“ დოქი არქეოლოგიურ ლიტერატურაში გავრცელებული ტერმინია. ფორმით იგი შრომაში დამზადებული და ყოფაში გამოყენებული საწოვარიანი



დოქის იდენტურია. ყურმილიანი დოქები გავრცელებული ყოფილა მთელ დასავლურ საქართველოში. ძვ. წ. VII-III სს. ფიჭვნარის 1 ძვ. წ. VI-IV სს. სამარხებში აღმოჩენილი ანალოგიური დოქები ექსპონირებულია საქ. სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიურ გამოფენაზე, ვიტრინა № XX XI X. ანალოგიური ყურმილიანი დოქები ნაპოვნია ითხვისში, ვანში, დაფნარში, საჩხერეში და სხვაგან.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საწოვრიანი ჭურჭლის წინაპრად ყურმილიან ჭურჭელთან ერთად შეიძლება მივიჩნიოთ ე. წ. „ჩაიდნისებური“ (ბ. ა. კუტინი) თიხის ჭურჭელიც, რომელსაც საწოვარი ყურთან კი არა აქვს შერწყმული, არამედ ყურის საპირისპირო მხარეს „ჩაიდნისებური“ თიხის ჭურჭელი დამახასიათებელი ჩანს ირანისათვის უძველესი დროიდან აქემენიდურ ხანამდე და უფრო გვიანაც. (ი. ლ. სტანკევიჩი).

ცნობილია ჩაიდნისებური ჭურჭელი თურქმენეთიდან (ანაუ III), ხეთის სამეფოდან, ურარტუდან. (ბ. ბ. პიოტროვსკი)

ეთნოგრაფიულ სინამდვილეში დღესაც ამზადებენ ჩაიდნისებურ თიხის ჭურჭელს სოფ. ბალხარში და შუა აზიაში. მას სხვადასხვა დანიშნულებისათვის იყენებენ; პატარა ზომისას წყლის სასმელად, მოზრდილს რიტუალური დანიშნულებისათვის. შრომის ეთნოგრაფიულ ყოფაში დამოწმებული საწოვრიანი საღვინე თუ წყლის შესანახი დოქი თუ თუნგულა მხოლოდ ღვინისა და წყლის ჩასასმელი თიხის ჭურჭელია და განკუთვნილია სუფრაზე ან ყანაში ღვინის ან წყლის წასაღებად. ადვილი შესაძლებელია, რომ თიხის მილი, რომელიც შეიძლება ჰქონოდა ამ ჭურჭლის პროტოტიპს, დროთა განმავლობაში გაუქმებულია. მის ფუნქციას ამჟამად ჭურჭლის ყურში დატოვებული ხვრელი ასრულებს. იგი პრაქტიკულადაც მოსაზერებელია, წინ გაშვერილი მილი თიხის ჭურჭლის ადვილად მსხვრევადობის გამო შეიძლებოდა მოტეხილიყო, რის შედეგადაც ჭურჭელი მილის გარეშე დარჩებოდა, მაშასადამე, გამოუყენებელიც იქნებოდა. ანალოგიური ფორმის სპილენძის ჭურჭელმა — „წურწუმამ“ ანუ „იბრილმა“ გაუძლო დროთა ცვალებადობას და ყოფაში მყარად ჩამოყალიბებულ ფორმად დარჩა.



### მესხური ჯილღა

სახენელი ჯილღა აღმოსავლეთ საქართველოს მიწათმოქმედებაში უძველეს იარაღად გვევლინება. იგი მეცნიერულად შესწავლილია აკად. გ. ჩიტაიას მიერ. მისი გამოთქმით — „ჯილღა საკმაოდ თავისებური სახენელი იარაღია, რომელიც დიდად მნიშვნელოვანია სახენელი იარაღების ისტორიისათვის საზოგადოდ და კერძოდ, საქართველოში მისი გავრცელების არეალი ამჟამად შემოფარგლულია ახალციხის და ახალქალაქის მაზრებით და როგორც დამოწმებულია იგი განსაკუთრებით სახმარი იარაღია ამ მაზრების ძირითადი აბორიგენი მოსახლეობისათვის (მუსლიმანი, კათოლიცი და მართლმადიდებელი ქართველები)“<sup>1</sup> მართლაც, როგორც მიუთითებს ქ. ვერმიშვი — «Джилгу употребляет почти исключительно одно коренное население и только в последнее время она стала распространяться и между армянами».

ეთნოგრაფიული ცნობებით ჯილღა საყოველთაოდ მიღებული და აღიარებული იარაღია მესხეთში. ფაშფაქის შემწეობით იგი გუთნის კონსტრუქციის თავისებურებას ატარებს და უფროთობის გამო აჩაჩა-კავს უახლოვდება. სამაგიეროდ, თავისი ყურიანი ქუსლის გამო მესხური ჯილღა სრულიად თავისებურ, გუთან-აჩაჩა-კავისაგან განსხვავებულ კონსტრუქციულ ელემენტებს შეიცავს. აჩაჩა-კავის ტიპის სახენელი იარაღი ხენის დროს მიწას ათხრის. გუთანი გარდა იმისა რომ ღრმად ხნავს, მოხნულ ბელტებს აბრუნებს და ნაწილობრივ ფშვნის კიდეც მესხური ჯილღის ფუნქციონალური უპირატესობა აჩაჩა — კავთან შედარებით, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ხენის პროცესში მოხნულ მიწას აბრუნებს. ამ დანიშნულებას იგი ასრულებს ყურიანი ქუსლის შემწეობით..... არსებითი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მიზნად არის დასახული ქუსლის და მისი ატრიბუტების გამოყენებით მიღწეულ იქნეს კონკრეტული ამოცანის შესრულება“<sup>2</sup>.

ამგვარად მესხური ჯილღა ბელტს ჭრის, აბრუნებს და ფშვნის კიდეც. ეს პროცესი თავისთავად ნიადაგის სტრუქტურის შენარჩუნებისათვის გარკვეულად ხელშემწყობი მომენტია. ამავე დროს, მესხეთის რელიეფის პირობებისათვის სახენელი ჯილღა ზედმიწევნით პასუხობს არსებულ მოთხოვნილებებს. მრავალრიცხოვანი ხეობებით დასერილი ეს ტერიტორია, მიწათმოქმედებისათვის ვარგის ფართობებს ქმნის უსწორმასწორო და მაღალი მდებარეობის ადგილებში ასეთ მიწებში გუთანი ვერ იმუშავებს. ჯილღა შედარებით ადვილად მოსახმარი სახენელი იარაღია. დიდი გუთანი ვერ მოხნავდა იმ პატარ-პატარა ნაკვეთებს, რომლებიც გლეხს 4-5 და მეტ ადგილებში ჰქონდა გაბნეული. როგორც ძველად იტყოდა ადგილობრივი გლეხი „მოსავალი ქვეშა პირმა და კარკლის ძირმა უნდა მოიყვანოსო“. ისეთ ადგილებში ვხვავდით — გადმოგვეყვინ მოხრობელები — კაცი რომ გადავარდნილიყო სული არ დაჰყვებოდაო. რადგანაც ასეთი ადგილების დიდი სიმრავლეა, ამ კუთხის სამურნეთ ვითარებაში განსაკუთრებით მოსახერხებელი და მნიშვნელოვანი სახენელია ჯილღა. ამდენად, ეს სახენელი ამ კუთხისათვის ერთგვარად უნივერსალურად გამოიყურება, რომელიც დაბლობში ცვლის გუთანს და საკმაოდ იოლად კისრულობს მის ფუნქციას, ხოლო ფერდობებისათვის კი ერთადერთი სახენელია. ჯილღის უდიდესი მნიშვნელობა მესხეთისათვის



იმავიაც შეღავნდება, რომ მისი გავრცელების არეში მაღალი ინტენსივობით ხდებოდა სოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოება.

აკად. გ. ჩიტაია ქართული სახვნელების კვლევისას განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას ამა თუ იმ იარაღის კონკრეტულ ბუნებრივ-სამეურნეო პირობებთან შეგუებისა და დაფუნების საკითხზე. მის შრომებში გამოკვეთილია ის მდგომარეობა, რომ „საქართველოს მთა და ბარში ერთდროულად მომუშავე სახვნელი იარაღების მარტივი და რთული აღნაგობა, მისგან განპირობებული შრომის ორგანიზაციის ფორმები, ჩვენში მიწათმოქმედების ჩამორჩენილობა-დაწინაურების ფაქტი კი არ არის, არამედ გეოგრაფიული ზონალობით გამოწვეული და ზედმიწევნით ყოველმხრივ გაანგარიშებული მაღალი სამიწათმოქმედო კულტურის მარჯვენებელია მხოლოდ. (ი. ჭყონია). ამის ნათელსაყოფად მოტანილი მესხური მასალაც არ უნდა იყოს მნიშვნელობას მოკლებული.

ჯილდასთან დაკავშირებით გვინდა შევაჩეროთ ყურადღება შემდეგ გარემოებაზე: ვ. ბდიანი, სომხეთის ძველი მიწათმოქმედების საკითხთა კვლევისას, მესხეთში გავრცელებულ სახვნელს — ჯილდას, ახალქალაქსა და ახალციხეში მოსახლე სომხური ეთნიკური ჯგუფების მიერ შემოტანილი კულტურის ელემენტად მიიჩნევს.<sup>3</sup> ამ მოსაზრებას ავტორი ამყარებს სომხეთის შესატყვისი რაიონებისა (ალაშკერტი, ერზერუმი), და მესხეთ-ჯავახეთის გეოგრაფიული და ბუნებრივ-კლიმატური პირობების შესაფერხებლად.

აღძრული საკითხის გარკვევის მიზნით, ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება ზოგიერთი მასალის მოტანა. მესხეთის ძველი მიწათმოქმედებისა და კერძოდ მემინდვრობის საკითხები ნაკლებად არის შესწავლილი. ამ თვალთახედვით ერთ-ერთ ძირითად წყაროს წარმოადგენს ხ. ვერმიშევის გამოკვლევა, სადაც ფასეული ცნობებია მოტანილი ახალციხისა და ახალქალაქის მასრაში მცხოვრები, როგორც ქართული, ასევე არაქართული (სომხები, დუხობორები) მოსახლეობის სამეურნეო ყოფის საკითხებზე. ამ ნაშრომიდან ირკვევა, რომ ორივე მასრის სომხური მოსახლეობა მიწის დასამუშავებლად იყენებს სახვნელს — არორს, და შედარებით იშვიათად გუთანს. ჯილდა მათ მიერ გამოყენებული არ ჩანს. არორით მიწის დამუშავების ხარისხი დაბალია ჯილდასთან შედარებით, იგი ნაკლებ სიღრმეზე ახდენს ნიადაგის გაფხვიერებას და ვერ ერევა სარეველა ბალახს. ამის გამო სომხთა ნათესები ძლიერ სარეველიანდება, რაც საგრძობლად ამცირებს მოსავლის ოდენობას.

«Арор пашет мельче, — წერს ვერმიშევი — и не так хорошо отваливает землю, чем объясняется большая засоренность сорными травами полей, обрабатываемых арором, сравнительно с посевами под которые почва подготавливается джилхой. Благодаря таким достоинствам этого последнего орудия, оно в настоящее время, по словам местных жителей, мало по малу проникает и в среду армян. Но все-таки главным и самым употребляемым орудием обработки у армян остается арор» ამონაწერი მოგვაქვს ნათქვამის ნათელსაყოფად. როგორც ირკვევა ჯილდა არ ყოფიერებს მესხეთში ჩამოსახლებულ სომხთა შორის, მათ ძირითად სახვნელს არორი წარმოადგენს. უფრო მეტიც, ჯილდა არორთან მისი უპირატესობის გამო, ამ პერიოდში იწყებს ფეხის მოკიდებას სომხურ მოსახლეთა შორის.

აღნიშნულთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ქართველებისა და სომხების განსხვავებული სამიწათმოქმედო პრაქტიკა, რომელიც ვერმიშევის აქვს მოტანილი და შემდეგნაირად შეიძლება დაავაკონკრეტოთ:



ქართველები

სომხები

1. სახენელი ჯილღა
2. ორმინდერიანი სისტემა
3. სამემოდგომო კულტურები
4. ღრმად ხვნა
5. დაუსარველიანობა
6. მაღალი მოსაველიანობა

1. სახენელი არორი
2. სამმინდერიანი სისტემა
3. საგაზაფხულო კულტურები
4. ნაკლებ სიღრმეზე ხვნა
5. დიდი სარველიანობა
6. მოსაველის დაბალი მაჩვენებელი

მოტანილი მასალა ცხადყოფს, რომ მესხეთში ახლადმოსული ეთნიკური ელემენტი ჯერაც ვერ შეგუებია ახალ გარემოს და თანდათანობით ცდილობს ალღო აუღოს, დაემკვიდროს ამ მიწა-წყალს.

თუ ჩვენ ხელთ არსებული ეთნოგრაფიული მასალის ფონზე გავიზიარებთ აღძრულ საკითხს, უფრო ნათელი გახდება, თუ რამდენად დაუსაბუთებელია ვ. ბდოიანის დასკვნები: განსაკუთრებით ასპინძის, და ნაწილობრივ, ახალციხის და ადიგენის რაიონებში, ჯილღა ეთნოგრაფიულად ერთადერთ სახენელ იარაღად შეიძლება მივიჩნიოთ, რომლის სიმკვლე ამ კუთხეში მრავალი ფაქტით დასტურდება. საყურადღებოა გარემოებაც, რომ ჯილღას მესხეთში უკავშირდება მოდგამის არქაული ფორმა, ლიტერატურაში „ახალციხურ მოდგამის“ სახელით ცნობილი. ამ უძველესი კოპერაციის ერთ-ერთ საფუძვლად, რომელიც თავისთავად ზედნაშენური მოვლენა ისტორიულ ჭრილში, ზემოაღნიშნული სახენელი გვევლინება. აქვე უნდა დავეუბნოთ, რომ ქართული სახენელი ჯილღა სომხურისაგან განსხვავდება კონსტრუქციული თავისებურებით, რაც მნიშვნელობას მოკლებული ფაქტი არ არის.

ყოველივე ზემოთქმულიდან შემდეგი შეიძლება დავასკვნათ: --მესხეთში გავრცელებული ჯილღა ზოგადქართულ ტრადიციაზე წარმოსობილი და განვითარებული იარაღია, რომელიც ქართული სახენელების განვითარების თანმიმდევრულ ჯაჭვში სათანადო ადგილს იძებნის. დროთა მანძილზე სომხური ეთნიკური ჯგუფები ითვისებენ ადგილობრივ დაფუძნებული კულტურის ელემენტებს, რომელთა რიცხვს განეკუთვნება სახენელი ჯილღა.

ამდენად ჯილღა ქართულ საფუძველზე აღმოცენებული და ჩამოყალიბებული სახენელია. მტკიცება ჯილღა სახენელის სომხური მოსახლეობისაგან მოტანისა და გავრცელების შესახებ მესხეთში საფუძველს მოკლებულად მიგვაჩნია.

<sup>1</sup> ვ. ჩიტაია, მესხური ჯილღა, საქართველოს მუზეუმის მოამბე, თბ., 1928.

<sup>2</sup> ვ. ჩიტაია, დასახ. ნაშრ., გვ. 286.

<sup>3</sup> В. А. Бдоян, Земледельческая культура в Армении, Автореф. Тб., 1968, стр. 49.

<sup>4</sup> იხილეთ ვ. ჯალაღბაძის წერილი — „ქიკვაველი გუთნისდედა“, კრებ. „ქველის მეგობარი“, № 2, თბ., 1970, გვ. 31.



**შინახალონსური წარმოების ზომიერითი საკითხის შესახებ  
წალკის რაიონის მოსახლეობაში**

XIX საუკუნის პირველ მეოთხედში სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, თრიალეთში, ადრიანოპოლის ზავის შედეგად დაასახლეს თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ვილაიეთებიდან გადმოსული ქართველები, სომხები და ბერძნები<sup>1</sup>.

ამგამად წალკის რაიონში სომხები ცხოვრობენ სოფლებში: აიაზმა, ნარდევანი, კუნძი, ქიზილ-ქილისა, ოზნი, ბურნაშეთი, აშკალა, კაბური, ხაჩკოვი, თამალა-ხარაბა, ჩივთ-ქილისა, დარაქოვი, დამზაში; ნაწილობრივ—სოფელი ახალიკი.

წინამდებარე ნაშრომის შესწავლის ობიექტია სომხებით დასახლებული სოფლები-თამალა-ხარაბა და ქიზილ-ქილისა.

სოფელ თამალა-ხარაბაში ამგამად ცხოვრობს 39 კომლი, სულ 270 სული მოსახლე.

1873 წლის კამერალური აღწერის მასალების მიხედვით სოფელ თამალა-ხარაბაში 10 კომლი ცხოვრობდა. ამ სოფელში მცხოვრები 10 ოჯახი, რომელიც 77 სულ სომეხ-ბოშა მოსახლეს მოითვლიდა თურქეთიდანაა გადმოსული 1827 წელს, ამთგან 4 ოჯახი სოფელ ქიზილ-ქილისაში დასახლდა.

ბოშური წარმოშობის სომხები სარწმუნოებით იყვნენ ქრისტიანები (გრიგორიანები) და ლაპარაკობდნენ ბოშურ ენაზე. აღნიშნული ბოშური ოჯახები ეწვოდნენ ბინადარ ცხოვრებას, მათ ძირითად საქმიანობას შეადგენდა მიწათმოქმედება და მესაქონლეობა.

გარდა ამისა, ისინი მთელ წალკაში განთქმული იყვნენ მჭედლობით და ვერცხლის წვრილმანი ნაწარმის დამზადებით, მასთან ერთად, წნავდნენ კალათებს, საცრებს, ცხრილებს და სხვა. თავიანთ ნახელავს ისინი სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში ასაღებდნენ, რითაც მნიშვნელოვან თანხას უყრიდნენ თავს, რაც შეეხება ახალქალაქში მცხოვრები სომხები ბოშების ძირითად მასას, ხელოსნობას მისდევდნენ, იყენენ მეწაღეები, მეთუნეუქეები, ისინი ბაზრის მიდამოებში ცხოვრობდნენ და ვაჭრობდნენ სანთლით, კვეთი და სხვა წვრილმანით, რამაც გარკვეული სახით დღემდე შემოინახა თავი.

მეურნეობისა და ხელოსნობის აღნიშნული დარგები დღემდე შემორჩენილი თამალა-ხარაბისა და ქიზილ-ქილისას მითითებულ მოსახლეობაში. ჩვენს მიერ აღრიცხულია რიგი ხელოსნებისა, მათ შორის 70 წლის მურადოვი, მ. ხაჩატურიანი (63 წ.), ე. გალსტიანი (32 წ.) და სხვა. წალკის რაიონის სოფლებში დღესაც გვხვდებიან საცრებითა და ცხრილებით მოვაჭრე თამალა-ხარაბის მკვიდრნი, ისინი თავიანთ ნახელავ საცრებს (მახა) 2-3, ხოლო ცხრილებს (ბოგემახა) 3-4 მანეთად ჰყიდიან.

1828 წელს ბოშური წარმოშობის სომხები ეპისკოპოს კარაპეტის მეთაურობით გადმოსახლდნენ ერზურუმის ვილაიეთიდან,<sup>2</sup> 25 ოჯახი დასახლდა ახალქალაქში 16 ახტალაში, 40 — ალექსანდროპოლში (თანამედროვე ლენინაკანი), 25—ყარსში, 8 — ახალქალაქის მაზრის სოფელ ახტალაში, 10—სოფელ თამალა-ხარაბაში, 4 — სოფელ ქიზილ-ქილისაში.

წალკის რაიონში მცხოვრები ქართული, სომეხი და ბერძენი მოსახლეობის ფელ თამალა-ხარაბას „ბოშალარს“ ან „პოშალარს“ უწოდებს. წარსულში ისინი ერთდებოდნენ ბოშებთან ქორწინებას, რასაც რელიგიურ გადმოცემებს უდებდნენ საფუძელად.

ძველად თამალა-ხარაბის მოსახლეობა პატარა, ინდივიდუალურ ოჯახებად ცხოვრობდნენ. ოჯახი ერთი-ორი თაობისაგან შედგებოდა, ასეთი ოჯახები ე. წ. „ტუნებში“, მიწურ სახურავიან სახლებში ცხოვრობდნენ. ბოშების საცხოვრებელი შედგებოდა „ოდასაგან“, ოდის შუაში იყო თონე „ტონირ“, ხოლო მის ერთ კუთხეში უბრალო ხის ცხურით გამოიყოფოდა თავლა. ოჯახის ძირითად ქონებას შეადგენდა თიხის ჭურჭელი, ლოგინი, რამდენიმე ძველი ხალიჩა და საცრების მოსაწინავად ხის ხელსაწყო „სარქ“-ი. თამალა-ხარაბის მოსახლეობა დანარჩენი წალკელებისაგან იმითაც გამოირჩეოდნენ, რომ მათში აქტიურად იყო გამოყენებული სახედარი (ნარდოს), როგორც გამწევი ძალა და სატრანსპორტო საშუალება. გარდა ამისა სახედარს ბაბაზრო დანიშნულებაჲ კქონდა.

ძველად ბოშების ოჯახში ქალი ძირითად ეკონომიურ ძალას წარმოადგენდა, ამიტომ თამალა-ხარაბაში ყველა სასიძო ვალდებული იყო პატარძლის მშობლებთან თვის საკმაოდ დიდი თანხა გადაეხადა. ახალქალაქში ეს გადასახადი (ლათემასი) სპეციალურად იყო დადგენილი 115 მანეთის ფარგლებში. მიუხედავად ასეთი თანხის მიღებისა მშობლები პატარძალს ძალიან ღარიბულ მშითვეს ატანდნენ, თამალა-ხარაბაში მცხოვრები გოგონები 13-15, ხოლო ვაჟები 15-18 წლის ასაკში ქორწინდებოდნენ. ხშირი იყო ახლო ნათესავეების დაქორწინების შემთხვევებიც; ჯვრის წერის დღეს სიძე თონეში იმალებოდა, საპატარძლო მიდიოდა თონესთან და სასიძოს სთხოვდა გამოსულიყო და სამათხოვროდაც რომ გახდენოდა საქმე, მზად იყო ერწინა თავისი ქმარი. ამ დაპირების შემდეგ სასიძო ამოვიდოდა თონედან და ისინი მიდიოდნენ ჯვრის საწვრად. ეს წესჩვეულება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს სომეხ-ბოშათა ოჯახში ქალის დიდ როლზე და მნიშვნელობაზე.

ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, ბოშური წარმოშობის სომხები გარდა სომხურისა, საკუთარ ბოშურ ენაზეც ლაპარაკობდნენ. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ბოშური ენის ერთ-ერთ დიალექტს, ე. წ. „ბოშა“-ს. ეს ენა შემოინახა თამალა-ხარაბი სა და ქიზილ-ქილისაში მცხოვრებ ბოშებშიც.

თამალა-ხარაბაში მცხოვრები ბოშები თავიანთ თავს „ლომ“-ს უწოდებდნენ, ხოლო ევროპაში მცხოვრებნი „რომ“-ს. სომეხი ბოშები სიტყვა „ციგან“-ს შეურაცხყოფლად თვლიდნენ.

კ. პატკანოვმა 1868-70 წლებში თამალა-ხარაბის და ქიზილ-ქილისას მცხოვრებთა შორის აღრიცხა ბოშური ენის „ბოშა“-ს დიალექტის 46 ფრაზა და 238 სიტყვა სათანადო შესატყვისებით. ეს დიალექტი განსაკუთრებით გავრცელებული იყო ახალქალაქში მცხოვრებ სომეხ მოსახლეობაში. მათში ეს ენა იმდენად გავრცელებული იყო, რომ დღევანდელ პირობებშიც კი ფლობენ მას არა მარტო ბოშური წარმოშობის სომხები, არამედ მათ მეზობლად მცხოვრები არაბოშური წარმოშობის მოსახლეობის გარკვეული ნაწილიც.

თავის მხრივ სომხურმა ენამ გარკვეული გავლენა იქონია ბოშური ენის აღნიშნული დიალექტის ლექსიკაზე, ფონეტიკაზე, მორფოლოგიასა და სინტაქსზე.

ამგვარად თანდათანობით მოხდა სომხებთან ბოშების ასიმილაცია, რაც ამ ორი ხალხის ხანგრძლივი და მჭიდრო ურთიერთობის შედეგი იყო. მსგავს მოვლენას ად-





ბილი ჰქონდა სპარსელ ბოშებში — კარაჩებში, ტაჯიკ ბოშებში — ლეჩქუმბა, ბოშებში მითრიბებში, რომლებზედაც მელა მაჰმუდ ბაიაზეთი მიუთითებდა, ყოველ ქურთულ ტომში, აღნიშნავდა ის, ცხოვრობს რამდენიმე ბოშის — მითრიბის ოჯახი; რომელთაც ბევრადეებს უწოდებენ. ისინი ძალიან ლარიბები არიან, დღესასწაულებზე დადიან, საკრავებზე უკრავენ და ცხოვრების საზრდოს ამით შოულობენ. მითრიბებს თავიანთი ენა აქვთ, რომელსაც მხოლოდ ეს ტომი ფლობს. ისინი სახლში თავიანთ ენაზე ლაპარაკობენ, ხოლო ქურთებთან — ქურთულად. მითრიბს არც ერთი ქურთი არ მიათხოვებს ქალს და არც მათ ქალს მოიყვანს ცოლად.

მოყვანილი მასალა მოწმობს, რომ მითრიბები ისეთივე ყოფას ეწევიან, როგორც მათი მოძმე ბოშები.

ამჟამად მითრიბების ერთი ნაწილი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ყაზახში ცხოვრობს და ძირითადად ვაჭრობით გააქვთ თავი. ამ მიზნით მათ თბილისის ბაზრებშიც შეხვედებით.

მიუხედავად შორს წასული ასიმილაციის პროცესისა „ბოშად“ ანუ „ბოშად“ წოდებული წალკის სომხების ნაწილი, რომელიც ცხოვრობს თამალახარაბაში და ნაწილობრივად ქიზილ-ქილისაში, გამოირჩევა თურქეთის ბოშებისათვის დამახასიათებელი კულტურისა და ყოფის ზოგი ელემენტის თავისებურებით, (შინახელოსნური წარმოებით: მჭედლობა, ვერცხლის წვრილმანი ნაწარმი, წნული ჭურჭელი და სხვ.) რომელიც მათ გააჩნდათ საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსასვლელამდე დიდი ხნით ადრე.

<sup>1</sup> ЦГИА СССР, ф. 383, оп. 30, д. 131, л. 19,25; Л. Пашаева, Семья и семейный быт Цалкских урумов. Дисертация на соискание ученой степени кандидата ист. наук, Тбилиси, 1972, 56—62.

<sup>2</sup> Г. Ваншян, Армянские цыганы, СМОМПК, Тифлис, 1901, вып. 29,45. თ. ჩიქოვანი, ამიერკავკასიის ხალხურ საცხოვრებელ ნაგებობათა ისტორიიდან, თბილისი, 1967, 88-98.

<sup>4</sup> Мела Махмуд Балзиди, Нравы и обычаи курдов, Москва, 1963, 28,64.

## მთური საცხოვრებელი სახლის ინტერიერის ზოგირითი თავისებურებანი

აღმოსავლეთ საქართველოს მთური საცხოვრებლის შესწავლისას ჩვენთვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს საცხოვრებელი ნაწილის შიგა სივრცის ორგანიზაცია. ინტერიერის მხატვრული მხარე დაკავშირებული ფუნქციონალურობასთან და კონსტრუქციულობასთან ჰქმნიდა ორგანულ მთლიანობას და არქიტექტურის შინაგან ლოგიკას, რომელიც ძირითადად დამყარებული იყო არა მორთულობასა და გაფორმებაზე, არამედ მას საფუძვლად ედო ტექნიკურ-კონსტრუქციული მიზანშეწონილობის კანონი.

ინტერიერის სტრუქტურაში შესაძლებელია განვიხილოთ კონსტრუქციისა და არქიტექტურული ფორმის ურთიერთკავშირის სამი მხარე: პირველია კონსტრუქციულობა პრინციპი და მოცულობის წინასწარდასახული არქიტექტურულ-გამომსახველობითი სახე (არქიტექტურულ-საგნობრივი ენის სემანტიკა); მეორე — კონსტრუქციის კავშირი საცხოვრებელი სახლის ფუნქციონალურ-უტილიტარულ სისტემასთან; მესამე კონსტრუქციული სისტემა და ინტერიერის შემადგენელი ელემენტები.

ნათელი და კონსტრუქციულად ძალზე ლოგიკურია ბრტყელი სახურავის გადახურვის კონსტრუქცია, რომელიც მსგავსია თითქმის ყველა აღნიშნული სახლების ტიპებისათვის. ფშავში სამშენებლო მასალად იხმარებოდა ხის ჯიშები: მუხა, ცაცხვი, თელა, ვერხვი, ხევსურეთში კეხის მასალა იყო ვერხვი (წიფელი-ფოში, მარჯვე გატყდება— ამობობს ვანო გიგიას ძე გიგაური 55 წ. სოფ. ბლო).

კონსტრუქციული ელემენტები, მიუხედავად მათი ხანგრძლივი ექსპლოატაციისა დღემდეა შემონახული, რაც მათ სიმტკიცეზე და მდგრადობაზე მეტყველებს.

სვეტოვან-კოჭოვანი სისტემა კონსტრუქციებისა დამახასიათებელია ყველა აღნიშნული ტიპებისათვის. ინტერიერის ზედა სივრცე ხასიათდება ფორმების განვითარებული პლასტიკით, რადგანაც მზიდი კონსტრუქციული ელემენტები შეუმოსავად და დუფარავადაა განლაგებული შიგა სივრცეში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ ხევსურული სახლის დაბლა შინა. მის საყურადღებო თავისებურებას „თავგაქრულობა“ წარმოადგენს. თვალის უკანა კედელი წინა კედელთან შედარებით დაბალია. აკად. გ. ჩიტაიას აზრით „ამ კონსტრუქციული წესის მიზანია გააღვილდეს ბოლის დენა საკვამისა და კარებიდან“<sup>1</sup> ჩვენი მოსაზრებით ეს აგრეთვე სივრცის ორგანიზაციის მხატვრულ ხერხს წარმოადგენს.

ინტერიერის ასეთი გადახურვის სისტემისას ძირითად თემას წარმოადგენს გადახურვის ელემენტები, რომლებიც მეორდება და ჰქმნის გარკვეულ რიტმს. ასეთ ელემენტებს წარმოადგენს კეზზე გადებული მსხვილი ხეები ანუ კეზიკეზა ხეები, რომლებზედაც ეწყობა უფრო წვრილი ხეები — ჭერები.<sup>2</sup>

მასალის კონსტრუქციულ შესაძლებლობების ცოდნაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მთიულეთში ხის ჯიშებიდან კარ-ფანჯრებისათვის, დედაბოძებად და თავხეებად იყენებდნენ წიფელას, ვერხვასა და მუხას ეს გასაგებიცაა, რადგან მუხა ატმოსფერულ ნალექებს უფრო უძლებს, ხოლო კოჭებად ვერხვასა და წიფელას ხმარობდნენ ცნობილია, რომ დიდი ყურადღება ექცეოდა თვით ხის მოჭრის პერიოდსაც.



მთიულეთი. კალიონი სახლი. კონსტრუქციული ელემენტები.


Мтиულети. «Калониани сахли». Конструктивные элементы.

ტერასული სახლის (მთიულეთი) კედლები აგებულია ქვის მშრალი წყობით (ისევე, როგორც მთის მეზობელ რეგიონებში). გადახურვა უჭირავს დედაბოძებს, გულთა ბოძებს, ნაპირა, დამხმარე ბოძებს და თავებებს. კედლები ამ შემთხვევაში წარმოადგენს დამხმარე და არა ძირითად კომპონენტს.<sup>3</sup>

მუდმივი თუ პერიოდული დატვირთვები თანაბრად ნაწილდება, როგორც ბოძებზე, ასევე კედლებზე. რაც შეეხება თვით სამშენებლო მასალას, და კედლის აგების წესს, საყურადღებოა შემდეგი ფაქტი: გარდამავალ შოლში, — სოფ. ავენისში, კედლების წყობა მშრალია, ლამკირი არ იხმარებოდა (მთხრობელი ვანო გიორგის ძე ქოჩორაშვილი — 71 წლის).

გადმოცემით სახლი „ლამკირით არ მენდებოდა, ხატი არ იხდენსო. ამ დროს საკულტო ნაგებობებში ლამკირი გამოიყენებოდა. თვით ეს მოვლენა ასახსნელია და კონსტრუქციულ თავისებურებების განხილვისას ასეთი მომენტების გათვალისწინებაც მიზანშეწონილად მიგვაჩნია.

ყოველ მასალას მის ინდივიდუალურ თავისებურებებთან დაკავშირებით აქვს გაბარიტების ზრდის გარკვეული საზღვრები, აგრეთვე განსაზღვრავს მისი ნაწილები-სა და დეტალების პროფილირების ხასიათს. ცალკეული დეტალის დამუშავება დამოკიდებულია სიმტკიცეზე, მის მექანიკურ თავისებურებებზე, რომლებიც თავს იჩენს ტექნოლოგიური დამუშავების, გადაზიდვის თუ ექსპლუატაციის პროცესში.



ფშავი. მოქცეული სახლი. ინტერიერის ფრაგმენტი.

Пшави. «Мокцеули сахли» (дом с венцеобразным перекрытием).

ანდრე ლერუა-გურანის აზრით „მასალის თვისება და თვით ტექნოლოგიური პროცესი კარნახობს იარაღის ამა თუ იმ ფორმას“<sup>4</sup>

ინტერიერის კონსტრუქციული ელემენტები ტექტონიკურია ე. ი. ადამიანს სრულიად სწორი, ჯანმრთელი წარმოდგენა ჰქონდა ფორმათა არსზე. ყალბი ფორმების არსებობა წარმოუდგენელი იყო იმ პირობებში.

მასალის ხასიათის გამოვლინება კონსტრუქციაში, ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშან-თვისებაა ხალხურ შემოქმედებაში, თუმცა არსებობს შემთხვევები, როდესაც კონსტრუქციული დეტალი ეწინააღმდეგებოდა ტექნიკურ-კონსტრუქციულ მიზანშეწონილობის კანონს. მაგ. იაპონურ საცხოვრებელში „მინკა“ კეთდებოდა დიდი განიკვეთის მზიდი ბოძები. ამ შემთხვევაში ეს გამოხატავდა ოჯახის სოციალურ თუ მატერიალურ სიმძლავრეს.<sup>5</sup> ასეთი მაგალითები ჩვენშიაც გვხვდება, განსაკუთრებით გვირგვინიან სახლებში.

ხეცსურული სახლის სამყოფის ინტერიერის გარდა, ყველა დანარჩენი აღნიშნული სახლების ინტერიერებისათვის დამახასიათებელია მზიდი ვერტიკალური კონსტრუქციული ელემენტების სიხშირე, რაც თავის მხრივ მოქმედებს სივრცობრივ ზონირებაზე.



ფშაი	მთიულეთი	ბევსურეფერენციული ცენტრი
<ol style="list-style-type: none"> <li>1. მიწა</li> <li>2. ჩრაქვი (არყის ქერი)</li> <li>3. ჭერი</li> <li>4. შოლტი</li> <li>5. თავხე</li> <li>6. სათაურა (ბალიში)</li> <li>7. ბოძი</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. მიწა</li> <li>2. სიპი</li> <li>3. ჭერი</li> <li>4. შოლტი</li> <li>5. თავხე</li> <li>6. დათვი/ბალიში</li> <li>7. ბოძი</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. მიწა (კიში—ლურჯი თიხა)</li> <li>2. მიწა (მამულეების)</li> <li>3. ყარტი (სვილი)</li> <li>4. ადუში (ფიჩხი)</li> <li>5. ჭერი</li> <li>6. ხე</li> <li>7. კეზი</li> <li>8. ბოძი</li> </ol>
გარდამავალი თვალვი	ზოლი ციხისძირი	
<ol style="list-style-type: none"> <li>1. მიწა (თიხა)</li> <li>2. ნაფოტი</li> <li>3. ჭერი</li> <li>4. კოჭი</li> <li>5. თავხე</li> <li>6. დათვი</li> <li>7. ბოძი</li> </ol>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. მიწა</li> <li>2. ნაფოტი</li> <li>3. ფიცარი</li> <li>4. კოჭი</li> <li>5. თავხე</li> <li>6. ბალიში</li> <li>7. ბოძი</li> </ol>	

ავეჯის ტიპები — სკამები და სავარძლები ექსპლოატაციის პროცესში განიცდიან სტატკური დინამიკური ან დარტყმითი, პერიოდული ან შემთხვევითი ხასიათის დატვირთვებს ე. ი. სიმტკიცის გაანგარიშებისას პრინციპული მნიშვნელობა აქვს დატვირთვების შემთხვევებისა და ზომების გათვალისწინებას.

მაგ. სვანური „საკურცხილ—“ის დეტალები შედგენილია ხის სხვადასხვა ჯიშებისაგან. აქ მხედველობაში ჰქონდათ დატვირთვების ხასიათი და აგრეთვე ორნამენტის გამოსატვის შესაძლებლობანი: სავარძლის ყველა ნაწილი დაკავშირებულია ლურსმნის გარეშე, რაზედაც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში შეგროვილი გრაფიკული მასალაც მეტყველებს: „ტახტის თავი, თავითის ფიცარი, გვერდის ფიცარი, ტახტის ფეხი, ფეხითის ფიცარი, ჩხირები“ (ხევსურული ტახტის ნაწილები ავეიწერა ვანო გიგიაის ძე გიგაურმა 55 წლის, სოფ. ბლო).

მთური საცხოვრებლის ინტერიერში კონსტრუქციისა და ფორმის დამოკიდებულებაში ყოველთვის იგრძნობა ის ორგანიზებული მინიმუმი, შემადგენელი ელემენტების შეთანხმება, მათი მიზანდასახული დანაწევრება, რაც მიგვითითებს გარკვეულ არქიტექტურულ საგნობრივ ენაზე.

გარე და შიგა ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ ფორმა-წარმოქმნის პროცესზე, მოთხოვნილებანი, რომლებსაც უყენებდნენ საგანს, ესთეტური ღირებულება, ყოველივე ეს წარმოდგენილია ხალხურ ფორმებში ერთ მთლიანობაში ამით არქიტექტურულ-სავნობრივი ენა გვეხმარება ავხსნათ ურთიერთობათა ის სისტემა, რომელიც ზორციელდებოდა ამ ენის საშუალებით.

<sup>1</sup> გ. ჩიტაია — „ხევსურული სახლის“ სენე — ანალები. ქ. I თბ. 1947, გვ. 151.

<sup>2</sup> თ. ონიური — აბალი საცხოვრებელი ნაგებობანი ხევსურეთში. მხე ტ. VII გვ. 32.

<sup>3</sup> მ. ჩართოლანი — საცხოვრებელი ნაგებობანი მთიულეთში საქ. საბ. მუზეუმის მოამბე, ტ. XXV; 1968, გვ. 272.

<sup>4</sup> Токарев С. А., Андре-Леруа-Гуран и его труды по этнографии и археологии. Этнологические иссл. за рубеж. Наука. М., 1973, გვ. 191.

<sup>5</sup> Вершур. Патрик. Народные японские жилища — «Современная архитектура», 5, 1972, გვ. 9.

რამაზ პატარაძე

## ასო-ნიშნების სახელდება „არკათაგიროში“

ასო-ნიშნების სახელდება ერთ-ერთი ასპექტია დამწერლობათმცოდნეობისა, კერძოდ კი ანბანური დამწერლობისა. ასო-ნიშნების სახელდების პრინციპი, რაც შემთხვევაში, ანბანური დამწერლობის წარმომავლობის საკითხს არკვევს. ამდენად რომელიმე ანბანური დამწერლობის წარმოშობის კვლევისას აუცილებელია ანბანში ასო-ნიშნების სახელდების პრინციპიც გაირკვეს.

ასო-ნიშნების სახელდების საკითხს ერკათაგიროში პირველად ივანე ჯავახიშვილმა მიაქცია ყურადღება და ამ საკითხის კვლევა სწორი გზით წარმართა. ამჟამად, ერკათაგიროს კვლევის ახალი მონაცემების საფუძველზე, შესაძლებელად მიმაჩნია ასო-ნიშნების სახელდება ერკათაგიროში უფრო სრულად იქნას განხილული.

ცნობილია ასო-ნიშნების სახელდების „სემური“ პრინციპი: ასო-ნიშანი სემურ ანბანურ დამწერლობაში იდეოგრაფიული ნიშანია, ხოლო ასო-ნიშნის სახელი მის იდეოგრაფიულ მნიშვნელობას აცხადებს. მაგ.: პირველი ასო-ნიშანი სემურ ანბანში ზარის (ქარის) იდეოგრამაა: შესაბამისად ასო-ნიშანს „ალფ“ („ალფ“) ჰქვია, რაც სემურად ხარს ნიშნავს.

ცნობილია ასო-ნიშნების სახელდების „ბერძნული“ პრინციპი: ბერძნულ ასო-ნიშნებს ბერძნულ ანბანში ძირითადად სემური სახელები აქვთ, ოღონდ სემურ სახელებს ზოლოში ხმოვანი „ა“ ემატება. მაგ.: სემური „ა ლ ფ“, ბერძნული „ა ლ ფ ა“; სემური „ბ ე თ“, ბერძნული „ბ ე ტ ა“ და ა. შ. (სემური „თ“ — ბგერა ბერძნულში „ტ“ — ბგერის მნიშვნელობას იძენს.)

ეტრუსკულ-ლათინური ასო-ნიშნების სახელდების პრინციპად გამოყენებულია ასო-ნიშნების ფოკალიზაციის (გახმოვანების) მარცვლოვანი ანუ სილაბური პრინციპი. რადგან ხმოვნები თავისთავად ღია მარცვლებია, ამიტომ მათი გახმოვანების საჭიროება არ არსებობს და ღია მარცვლებად რჩებიან. ა, ი, ე, ო, უ, ეტრუსკულსა და ლათინურში ერთდროულად ამ ასო-ნიშნების სახელდებაცაა რაც შეეხება თანხმოვან ასო-ნიშნებს. მათი ფოკალიზაცია ხდება ხმოვნების დართვით ან ხშულ ან ღია მარცვლებად. უმეტესწილად ეს წესი „ე“ ხმოვნის დართვით ხორციელდება. ღია მარცვლებია ბე, ცე, დე, პე, ტე, ვე; ხშული მარცვლებია: ეფ, ელ, ემ, ენ, ერ, ეს. მხოლოდ სამიოდე ასო-ნიშანია გახმოვანებული ლათინურ ანბანში ა და უ ხმოვნების მეშვეობით — ჰა, კა და ქუ.

ასო-ნიშნების სახელდების პრინციპი ცნობილია აგრეთვე ქართულ ანბანში. ძირითადად, ასო-ნიშნების სახელდების პრინციპად ქართულ ანბანში მიღებულია სილაბური პრინციპი. მაგრამ ქართული სილაბური პრინციპი ძირეულად განსხვავდება ეტრუსკულ-ლათინურისაგან. მითუმეტეს ქართული ასო-ნიშნების სახელდებას კალენდარული მნიშვნელობაც აქვს. აქ მოკლედ შეიძლება ითქვას, ასო-ნიშნების სახელდებად ქართულ ანბანში გამოყენებულია 7 სხვადასხვა მარცვალი. აქედან ექვსი ხშული და ერთი ღია. ხშული მარცვლებია: ან, ინ, ენ, ონ, არ, ილ. ხოლო ღია ორმარცვლოვანი სახელდებაა აე ან იე (რე, პე, დე, ჯე). გამონაკლისის სახით ერთი ასო-ნიშნის სა-



ს ა აზ	ქ ყ ე	ჯ ჭ ა	ჩ რ ა
ჩ ბ ენ	ჩ ი ნ	წ მე ნ	ს ს ე
ყ გ ი მ	ლ ჯ ნ	ვ დ ი	ა ვ ე ვ
რ ღ ა	ჩ ს ე	ს ნ უ	შ ტ ვ ნ
ხ ე რ	ძ წ ა	ჯ შ ა	რ რ ე
ღ ზ ა	ს კ ე ნ	ი ო	ჰ ც ო
ქ ჭ	კ ჰ ო	ღ რ ა	ქ ჯ ნ
ღ ჯ ო	ღ ძ ა	რ ჰ ე	ქ ფ ვ რ
ჩ თ ო	ღ ლ ა ბ	ღ ჯ ე	ჩ ქ ე

ანბანი „ერკათაგირი“.

Алфавит «Эркатагири».

ხელდება არ ემორჩილება ასო-ნიშნების სახელდების საერთო წესს: ასო-ნიშნის სახელი — ლ ა ს ი კალენდარული აუცილებლობით არის გამოწვეული.

ამგვარად არსებობს ასო-ნიშნების სახელდების ოთხი ძირითადი სისტემა: სემური, ბერძნული, ეტრუსკულ-ლათინური და ქართული. სხვა ერთა დამწერლობებში გამოყენებულია ასო-ნიშნების სახელდების შემოთ დასახელებული ერთ-ერთი რომელიმე სისტემა.

ერკათაგირის ანბანურ დამწერლობაში განსაკუთრებული ვითარებაა. ასო-ნიშნების სახელდების არცერთ სისტემას ერკათაგირის ასო-ნიშნების სახელდება არ ემორჩილება. ცხადია, ამოსაცნობია ერკათაგირის ასო-ნიშნების სახელდების პრინციპი.

ერთი რამ უდაოა. ერკათაგირში თავიდან ბოლომდე ზუსტად არის განხორციელებული ასო-ნიშნების სახელდების სილაბური ანუ მარცვლოვანი პრინციპი. ასო-ნიშნების სახელდებისას გამოყენებულია, როგორც ღია ასევე ხშული მარცვლები. ერკათაგირის ასო-ნიშნების სახელდება ღია და ხშულ მარცვლებად რომ დავაჯგუფოთ, ასო-ნიშნების სახელდების შემდეგ სისტემას მივიღებთ:



1. და	1. პე	1. ო	1. მ	1. ინ	1. ამბ
2. ზა	2. ქე	2. თო	2. ნუ	2. ბენ	2. გიმ
3. რა	3. რე	3. ცო	3. აი	3. კენ	3. ერ
4. შა	4. სე	4. პო		4. მენ	4. ვეგ
5. ჩა	5. ქე			5. ვნ	5. ფვრ
6. ძა	6. ხე			6. ლენ	6. ლატ
7. წა	7. ჯე			7. ტენ	7. თ
8. ჭა					

იმის გამო, რომ ერკათაგირში განხორციელებულია ასო-ნიშნების სახელდების სილაბური პრინციპი, რიგ შემთხვევებში, როგორც ჩანს, ერკათაგირის ასო-ნიშნებს სემური ასო-ნიშნების სახელების შეკვეცილი ფორმები აქვთ. ივანე ჯავახიშვილის აზრით ერკათაგირის გ ო მ — გ ი მ ე ლ — ისაგან, და — და ლ ე თ — ისაგან; ზ ა — ზ ა მ ნ — ისაგან. რ ე — რ ე შ — ისაგან არის წარმომდგარი. ჩვენის მხრით დავემატებდით, რომ ერკათაგირის ნ უ სემური ნ უ ნ — ის შეკვეცილი ფორმა უნდა იყოს.

ამგვარად სემური სახელდების შეკვეცილი ფორმები ერკათაგირის ასო-ნიშნების სახელდების სილაბური პრინციპით უნდა აიხსნებოდეს.

რაც შეეხება ერკათაგირის ვ ე ვ — სახელდებას, იგი უთუოდ სემური ვ ა ვ — სახელდებიდან უნდა მომდინარეობდეს. ივანე ჯავახიშვილის აზრით პირველი ასო-ნიშნის სახელი ა ა ბ — ერკათაგირისა, აგრეთვე სემური წარმოშობისაა (ა ა ბ — ა ლ ფ — ისაგან)<sup>1</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ ერკათაგირის: პ ე; ქ ე; რ ე; ს ე; ქ ე; ხ ე; ჯ ე ასო-ნიშნების სახელდება ლათინური ასო-ნიშნების სახელდების პრინციპზეა აგებული, თუმცა ასო-ნიშნების სახელდების დამთხვევა მხოლოდ ერთ შემთხვევაში გვაქვს (პ ე — ლათინურსა და ერკათაგირში).

გაცილებით მეტია საერთო ქართული ასო-ნიშნების სახელდებასა და ერკათაგირის ასო-ნიშნების სახელდებას შორის. ერკათაგირში ქართული ასო-ნიშნების სახელდება ერთ შემთხვევაში უცვლელად არის გადმოტანილი (ქართული სახელდება — ი ნ, ერკათაგირის ასო-ნიშნის სახელდება — ი ნ), სხვა შემთხვევაში ქართული ასო-ნიშნების სახელები ან შეკვეცილია, ან მეტ-ნაკლებად შეცვლილი. მიუხედავად ამისა, ქართული ასო-ნიშნების სახელდების ამოცნობა ერკათაგირში ძნელი არ არის.

ამგვარად ქართული ასო-ნიშნების სახელდებას ერკათაგირის შემდეგი ასო-ნიშნების სახელდება შეესაბამება. ქ. — ი ნ, ერ. — ი ნ; ქ. — ბ ა ნ, ერ. — ბ ე ნ; ქ. — კ ა ნ; ერ. — კ ე ნ; ქ. — მ ა ნ, ერ. — მ ე ნ; ქ. — ფ ა რ, ერ. — ფ ვ რ; ქ. — რ ა ე, ერ. — რ ა; ქ. — ჭ ა რ, ერ. — ჭ ა; ქ. — მ ე, ერ. — მ; ქ. — ა ე, ერ. — ა ე.

ქართულ ასომთავრულში ან, ინ, ენ, არ — მარცვლების კალენდარული ფუნქცია ცნობილია. ერკათაგირში ამ მარცვლების მნიშვნელობა გაგებული არ არის.

გარდა ამისა, ერკათაგირის უნ, ლუნ და ტუნ ასო ნიშნების სახელდება ქართული ასო-ნიშნების სახელდების პრინციპზეა აგებული.

რაც შეეხება ერკათაგირის ო, თო, ცო, პო — ასო-ნიშნების სახელდებას, ამ შემთხვევაში, ვფიქრობ, გამოყენებულია სახელდების ლათინური სისტემა. მაგრამ,





როგორც ცნობილია ო — მარცვალი ლათინურ ანბანში ასო-ნიშნების სახელმწიფო სისტემა ახორციელებს. ბერძნულ ანბანში კი ო — მარცვლით სახელმწიფო ერთადერთი ასო-ნიშანია — რ ო. საფარადუდებელია ერკათაგირში გათვალისწინებული ბერძნულ-ლათინური სახელმწიფოების პრინციპები.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ ერკათაგირის ე რ, ლ ა ტ, ზ თ — ასო-ნიშნების სახელმწიფოებს ზუსტი ანალოგია არ ეძებნება. ძნელი სათქმელია, სახელმწიფოების რომელი სისტემით სარგებლობდა ერკათაგირის შემომქმედი ამ სამი ასო-ნიშნის სახელმწიფოების შექმნის დროს.

უნდა დავასკვნათ: ერკათაგირის ანბანურ დამწერლობაში შემუშავებულია ასო-ნიშნების სახელმწიფოების ორიგინალური მეთოდი. ამ მეთოდს საფუძვლად დაედო ასო-ნიშნების სახელმწიფოების სემური, ბერძნული, ლათინური და შესაძლოა ქართული სისტემები.

<sup>1</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართული პალეოგრაფია, 1949, გვ. 270.

ნაწილი აზიკური

## თუშური „ბაცუკა“

„ბაცუკა“ ტერმინით აღინიშნება საკუთრივ ბაცუკა — ანთროპომორფული ნამცხვარი ან ყოველგვარი ფიგურული რიტუალური ნამცხვარი. როგორც ანთროპომორფული, ისე ზომორფული. „ბაციკი“, იგივე „ბაცუკა“ ასე არის წარმოდგენილი სპეციალურ ლიტერატურაში.<sup>1</sup>

სახელი „ბაც-უკა“ ორი ნაწილისაგან შედგება: ძირი-ბაც- და -უკა.-უკა კნინობით. სუფიქსის თუშური ვარიანტია. ძირი ბაც-ზუსტი კანონზომიერი შესატყვისია ჭანური „ბოჩ“-ისა, რომელიც მამალ ცხვარს ჰქვია. მასვე უკავშირდება მეგრული „ოჩი“ — მამალი თხა. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, „ბოჩი“ ქართული წარმართული ღვთაების სახელი ყოფილა.<sup>2</sup> ნადირთა და მონადირეობის ღვთაების სახელი ბოჩი მოსაქლიანობისა და დოვლათის მფარველი ღვთაებაცაა<sup>3</sup> და იგი კავშირშია შესაქონლეობის მფარველ ღვთაება ბოსელთან.<sup>4</sup> ყოველივე ეს უნდა მიუთითებდეს ტერმინისა და თვით რეალიის დიდ სიმძველეზე ქართულ-ქართველურ სინამდვილეში. სახელ „ბაცუკა“-ს განზოგადება ანთროპომორფული ნამცხვრის აღსანიშნავად, ალბათ, გვიანდელი მოვლენაა. ანთროპომორფულ ბაცუკას თუშეთში აცხოზდნენ ძირითადად სამ რელიგიურ დღესასწაულთან დაკავშირებით: ახალი წლისთვის (შობის სუფრისთვის), მკელჯიხვაობისთვის და სულთკრფისთვის. სამივე ეს დღესასწაული თუშეთში დღეს სახეცვლილია (შობა და მკელჯიხვაობა გადავარდნილიც კი არის) და მათი ძველი სახის აღდგენა მხოლოდ მრავალრიცხოვან მთხრობელთა გამოკითხვითაა შესაძლებელი.

თითოეულ ამ რელიგიურ დღესასწაულთან დაკავშირებული ბაცუკები, ფორმითაც და ფუნქციითაც შეტ-ნაკლებად განსხვავდებიან.

შობის დილას ოჯახის დიასახლისი „დაავებს“ „შობის სუფრას“ „გამცხადების სუფრას“, აანთებს მასზედ ერთ სანთელს და დაილოცება: „ადიდოს, გაუმარჯოს შობის ძალსა-და მადლს, გამოგეცვალოსთ ერთ ეს, ათას ცხვა, სიმთელისი, სიცოცხლისა, კახეთ, თუშეთ, შინა-დ გარეთ, გიმრავლოსთ ორფეხი, ოთხფეხი“.

შობის სუფრაზე ერთ კოტორთან ყველთან და მატყლთან ერთად (რაც სიმბოლურად ბარაქას გამოხატავს) იდება „სალოცაები“ — რიტუალური კვერები, ბაცუკები სინრავლე — სიუხვის, ადამიანისა და შინაური პირუტყვის გამომხატველი, რომელთა გამრავლება — ნაყოფიერებასაც შესთხოვენ ღმერთს. სიმრავლე-სიუხვეს გამოხატავს ანთროპომორფული ბაცუკა — „კაცის აღე“, ეს არის უფუარი ცომისაგან გაკეთებული ადამიანის პატარა ქანდაკება დონჯით, ან ერთი ხელით — დონჯი და მეორე ხელი თავზე შემოდებული. გამოკვეთილი აქვს ფეხები, გამოუსახავენ ყურებს, ცხვირს, პირს. უკეთებენ ნახშირის, სიმინდის ან „ცვერცის“ მარცვლების თვალებს და ზოგჯერ — ფალოსაც.

შობის დღეს ანთროპომორფულ ბაცუკას აცხოზენ მეორენაირსაც: ცომს გააგრძელებენ მრგვლად, მოხრიან და თითებს დააჭერენ, ან დაჩხვლეტენ. მოხრის ადგილას მოუჭერენ და ცხვირით ამობურცავენ. „ტოტებზე“ კი ცომისავე ჯვრებს დააკრავენ.



ბაცუკა — „ლომლის დედა“.



«Покователь очага».

ბაცუკა — საქალთანო  
(სულთაქრუვა).



«Ритуальный хлеб для  
женщин».

ამ სახის ბაცუკას აცხოებენ იმდენს, რამდენი ქუდოსანიც ჰყავთ ოჯახში. მათ კედელზე ჰკიდებენ იარაღთან ერთად და იქ იქნება გამცხადებამდის.

შობის დღესვე აცხოებენ კერაზე დასასმელ ბაცუკას „ლომლის დედას“, რომელიც პირამიდულადაა აწიღული და თავზე აქვს გამოსახული ყურები, ცხვირი და თვალები. მას რამდენიმე სახელს უძახიან: „კერაის დედა“ || „ლომლის დედა“ || „ნაცრის დედა“ || „კვერფთ დედა“ || „კვერფის ნანო“ || „ჭერჩი ჭყეტია“ იგი კერიის მფარველად ითვლება. შობის დღეს კერიის პირას ნაცარზე დასვავენ და იქ რჩება, სანამ არ დაიწვევბა, ან თავისით არ დაიფშენება.

ნამცხვარი „ბაჩი“  
(მგელჯიხვაობის).



Ритуальный хлеб  
«бык-бочи».

„ანთროპომორფული“  
ბაცუკა.



Ритуальный хлеб — бацука.

საშობაო ბაცუკა || „კაცის აღე“ ფუნქციურად იგივე ჩანს, რაც საქართველოს სხვა კუთხეებში გავრცელებული საახალწლო რიტუალური ნამცხვარი ბასილი || ბასილა — კვირი.<sup>5</sup>

ბაცუკებს მგელჯიხვაობის დღესაც აცხობენ. ამ დღეს უქმობენ და ამით ვერძალე-ბიან მგელს, რომ ზიანი არ მიაყენოს მათ საჭონელს. „ბიჭონს (მოხალული ქერი, სვი-



ლა, სიმინდი) ატყრობენ“ — „მგელს პირი ეშუშებო“, ქალები თავს ეტყობენ „მგელს პირი ებურებო“. დილითვე აცნობენ სხვადასხვა რაოდენობის „ზოომორფულ“ ბაცუკებს ვაცს, ჯიხვს, ირემს, თხას, ხარს, მგელს ... აცნობენ ანთროპომორფულ ბაცუკასაც, განსაკუთრებით ისინი, ვისაც პატარა ბავშვი მოუკვდა. „ახალი სულის პატრონები“ აკეთებენ „სულის ბაცუკას“. კაცებისა და გოგონებისათვის ნალივით მოზრდილი ფორმისას, ბიჭებისათვის — „კაცის აღეს“. ყველა ზემოაზოთვლილ კვერსა და „სულის ბაცუკასაც“ დადგამენ „საისრელოზე“ (ადგილი, სადაც ნიშანში დგამენ კვერებს და იმართება მშვილდ-ისრის სროლა).. სულის ბაცუკას განსაკუთრებით მორთავენ, რომ გამოირჩეოდეს. ვინც მას ისარს მოარტყამს, სახლიდან მოიტანს ერთ ბოთლ არაკ და ყველა იქ მყოფს ათქმეივნებს იმ მიცვალებულის შესანდობარს, ვის სახელზეც არის სულის ბაცუკა ჩადგმული იმნიშნსი. სროლას მამაკაცები ზელმძღვანელობენ, ასროლინებენ ჯერ პატარებს, შემდეგ უფრო მოზრდილებს და ა. შ.

„მგელჯიხვაობა“ || „მგლის უქმი“ თითქოს მხოლოდ მგლისთვის განკუთვნილი დღეა, მსგავსად „ქარობის“, „დამწვრის უქმის“, „მტრელთ უქმის“ და ა. შ. მისი მინაარსი (სულის ბაცუკას ცხოზა, „ბიჭუნის დატყრობა“) კი მიუთითებს მის კავშირზე მიცვალებულის კულტანაც. გარდა ამისა, მგელჯიხვაობის კვერები თავისი შინაარსით ძალიან ჰგავს ლიფანალში გამომცხვარ ცხოველური სახის პურებს<sup>7</sup>.

ახალი წლის და მგელჯიხვაობის გარდა ანთროპომორფულ ბაცუკას აცნობენ სულთკრეფის დღესაც, რომელიც მიცვალებულისა და აგრარულ კულტებს<sup>8</sup> უკავშირდება. შობის სუფრის ბაცუკასაგან განსხვავებით სულთკრეფის ბაცუკას თავში ჩართობილ ჩხირზე ჩამოცმული აქვს კვერციბი ან კაკალი, გადაკიდებული აქვს, „ბიჭუნის ყათარი“ (სავაზნე) წელზე არტყამენ ცომისავე ქამარ-ხანჯალს და მოსავენ ნაირ-ნაირი ტბილეულით. არ უკეთებენ არც ერთ შემთხვევაში ფალოსს.

სულთკრეფის დღეს (დიდმარხვის მეორე შაბათს) ყველა ოჯახი სამარხვო სუფრას გამოიტანს და შეიყრება ახალი მიცვალებულის პატრონის ოჯახში. ოჯახიდან ვამოტანის წინ სულთკრეფის სუფრას, ან მხოლოდ ბიჭონს, ცეცხლზე შემოავლებენ სიტყვებით: „შეუნდოს ჩვენ მკედართ, თუ რა წესი-დ რიგი, ჩვენ დაკლებულებს, ჩვენ წასულს, თქვენსამ წინათ არს, თქვენსამ ნებას არს, ცოტაიმ დიდად მოგჩვენებათ. მრიომიმ წმიდად მოგჩვენებათ, გორსამ მწვანილად მოგივათ“. ცეცხლზე შემოვლების შემდეგ სუფრა განწმენდილად ითვლება.

სულთკრეფის სუფრაზე უნდა იყოს ერთი „ბაცუკა“ და სამი „გახვრეტილ კვერი“, „საქალთანო“ (კვერი), „წანდილი“ (მოსარშული და დამტკბარი ხორბალი), ბიჭონი და სხვ. ამთ გარეშე მიცვალებულს „არ მიუვა სუფრა“. ამ სუფრაზე იტყვიან მიცვალებულთა შესანდობარს: სანამ სუფრებს გაშლიან, ახალგაზრდა ქალები ყველა სუფრიდან აიღებენ ბაცუკებს, გახვრეტილ კვერებს, საქალთანოს, ბიჭონს, წანდილს აურევენ და ისევ ჩამოარიგებენ. შეგროვილი ბიჭონიდან პატარა ბიჭი სამ მუჭას გადაყრის აღმოსავლეთისაკენ და დაიძახებს: „ღმერთო, მოგვიყვანე კარგი მოსავალი, ლეკების ყანა დამპალი-დ ჩვენ ყანა კარგი“, სამჯერ გაიმეორებს ამას. მხოლოდ ამის შემდეგ მიუხსდებიან სუფრას. კვერებს იქ მყოფ პატარა ბავშვებს ჩამოურიგებენ. თუ „ჯარში“ ფეხმძიმე ქალია, მასაც მისცემენ ბავშვის წილ კვერს. საქალთანო კვერებს ახალგაზრდა ქალები აიღებენ და მეორე დღისთვის შეინახვენ. პატარა ბიჭები ბაცუკებს სულოკრეფის დღესაც ესვრიან მშვილდ-ისარს.



გარდა ზემოთ მოცემული სამი დღესასწაულისა, ანთროპომორფულ ბაცუკას აცხობენ ქუმელაურელები შაფურთის ხატში წასაღებად, რომელსაც საჭონლის სიმრავლესა და შეილიერებას შესთხოვენ. სადღეობოდ აცხობენ ორ დიდ და სამ პატარა ბაცუკას. ღამე შულტა ჩამოივლის და კვამლეურად აკრეფს ორ-ორ ბაცუკას დღეობის სუფრაზე დასალაგებლად, სამ პატარა ბაცუკას კი მეორე დღეს ათნიგენაში წაიღებენ. ორს შულტა დაიტოვებს ხატში და ერთს, რომელსაც უკვე „თავნაქცევას“ ეძახიან, სახლში მოიტანენ ისევ — ხალხი განმრავლდებაო. ამ შემთხვევაში ხშიადის ფუნქციას ცვლის ბაცუკა.

მოცემული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით თუშური ბაცუკა უკავშირდება სიმრავლე — ნაყოფიერებისა და აგრარულ კულტებს.

<sup>1</sup> ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953, ტაბ. XXIV; ნ. ლოლობერიძე, თუშური საბავშვო ვართობა-თამაში და სათამაშოები, თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1967, გვ. 232; დ. გიორგაძე, მიცვალებულთა ხელების მისახსენებელი დღე-სულთაქრეფა აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებში, საისტორიო კრებული, თბ., 1974, გვ. 401.

<sup>2</sup> ივ. ჭავჭავიძე, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1960, გვ. 87.

<sup>3</sup> ჭ. რუხაძე, ღვთაება ოჩი || ბოჩი ახალი ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით, სამეცნიერო სესია მიძღვნილი პროფესორ ვერა ბარდაველიძის ხსოვნისადმი, მოხსენებათა თეზისები, თბ., 1972, გვ. 17.

<sup>4</sup> ვ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრომი; В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство Грузинских племен, Тб., 1957.

<sup>5</sup> ვ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 117.

<sup>6</sup> ზიჟონი ერთ-ერთი აუცილებელი ატრიბუტია მიცვალებულთან დაკავშირებული სუფრასა.

<sup>7</sup> ვ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 71.

<sup>8</sup> დ. გიორგაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 402.

АННОТАЦИИ:

И. СУРГУЛАДЗЕ

**АНТРОПОМОРФНЫЕ ИЗОБРАЖЕ-  
НИЯ В ДЕКОРЕ ПАМЯТНИКОВ  
НАРОДНОГО ИСКУССТВА**

В грузинском народном искусстве резьбы по дереву сохранились символические астральные изображения, антропоморфные фигуры (адоранты, всадники, танцующие фигурки), которые составляют центр композиции.

Эти изображения увязываются с астралокосмогонической эмпирикой древних земледельцев и отображают солнечные мужские божества плодородия.

Н. ТОПУРИЯ

**ПОМЕЩЕНИЕ ДЛЯ СКОТА  
В ГРУЗИИ**

Строение и внутреннее устройство помещения для скота в Грузии в основном одинаково. Его общим признаком является объединение в одном комплексе помещения для скота и жилого дома. В горных условиях жилой дом, запас нищи, а также помещение для скота и хранилище корма даны в вертикальном плане, а в равнинной части Грузии — в горизонтальном. Че-

ловек и скот были отделены друг от друга глухой или плетеной стеной. В древней Грузии человек и скот жили под общей кровлей. В дальнейшем происходит отделение помещения для скота от комплекса жилого сооружения отдельной крышей. В Грузии скот содержался в домашних условиях, но иногда помещение для скота менялось в зависимости от времени года.

Д. РУХАДЗЕ

**ПОДСОБНОЕ ПОМЕЩЕНИЕ И ЕГО  
ЭТНОГРАФИЧЕСКИЕ  
ПАРАЛЛЕЛИ**

В грузинском языке «харо» — пространственное слово. Оно означает выложенное камнем подземное хранилище зерна (Картли, Кахети, Мес-

хет-Джавахети), передвижной и закрепленный деревянный сосуд (Сванети, Верхняя Рача, Месхет-Джавахети, Верхняя Гурия). В некоторых



06.10.59  
 003-101033

случаях «харо» употребляется в значении одного сектора амбара.

По функции груз. слово «харо» и сванское «харав» («харва»)? В Сванети, «харал» (Н. Сванети) одинакового значения, «харвар» и идентичное с ним слово «халвари» и «харвали» по историческим источникам XVIII века является мерой сыпучих тел.

По этнографическим данным в Нижней Карли «харал» равняется 10 кодам, равный 34 пудам. Полагаем,

что термин, обозначающий степенью потерял свое первоначальное значение и стал единицей меры, а затем хранилищем зерна.

Возможно, харо и харвал этимологически близкие понятия. В таком случае харо должно быть упрощенной формой харвал. Наше предположение требует дальнейшего уточнения на дополнительном материале, поскольку лексические значения слова «харо» в картельских языках еще не установлены.

М. ХАЗАРАДЗЕ

### ОРУДИЯ ДЛЯ ВЕЯНИЯ ЗЕРНОВЫХ КУЛЬТУР В ГРУЗИИ

В работе изучены распространение в Грузии основные типы орудий веяния зерновых культур. По типологии они трех видов: 1. «Ничаби» — лопата для веяния, 2. «Цхави», «Цхрили» — решета, 3. «Хелварцли», «Табакли», «Ричи» — корытоподобные орудия.

Лопата для веяния представлена двумя разновидностями: большая, сопутствует ареалу большого плуга, и вторая, бытующая на территории распространения пахотных орудий — «ачача» и «орхели». Лопата второго типа — меньшего размера по сравнению с первой, что обусловлено хозяйственно-экономической средой.

В процессе веяния конструкция лопаты позволяет легко сортировать зерно.

На следующем этапе веяния употребляли решета двух видов. I — сплетенное из прутьев (ареал распро-

странения которой — большая часть Восточной и некоторые районы Западной Грузии), II — сплетенное из кожаных ремней (Месхет-Джавахети, Квемо Карли, Кизики, Шида Кархети).

Решета относятся к древнейшим видам плетеной утвари и известны, по данным археологии на территории Квемо Карли (Имири и Шулавери) со второй половины пятого тысячелетия.

Для дальнейшей очистки зерна употребляли «хелварцли», «ричи», «табакли». «Табакли» бытовало повсеместно. «Ричи» — известно в Тушети и Кварельском районе, а «Хелварцли» локализуется лишь в Хевсурети.

Научное изучение вышеназванных орудий труда для веяния дает возможность считать их издревле распространенными и широко бытующими в хозяйственной деятельности грузинского народа.

Г. ДЖАЛАБАДЗЕ

### КОЛЛЕКЦИЯ ХУРДЖИНОВ В ФОНДАХ ОТДЕЛА ЭТНОГРАФИИ ГОС. МУЗЕЯ ГРУЗИИ

В фондах отдела этнографии Гос. музея Грузии, среди других интересных ковровых изделий, хранится свыше 40 хурджинов.

Среди коллекции встречаются хурджинны из Азербайджана, Ирана, но большинство из них — грузинские.



В статье дается технология изготовления хурджинов, а также классификация хурджинов по назначению и по технике изготовления.

Автор статьи считает, что в украшениях коня, хурджину как компоненту украшения коня, уделяется большое внимание.

Н. АБЕСАДЗЕ

### РЕМЕСЛЕННЫЕ ИЗДЕЛИЯ НА ЯРМАРОЧНЫХ ПРАЗДНИКАХ

На основе изучения этнографических материалов выясняется, что лучшим средством сбыта ремесленных изделий являлись ярмарочные праздники. Здесь был представлен широкий ассортимент ремесленных изде-

лий — одежда, обувь, домашняя утварь, сельскохозяйственные орудия и др. На ярмарочных праздниках производился обмен ремесленных изделий на продукты сельского хозяйства.

Л. ПРУИДЗЕ

### ХОЛОДИЛЬНЫЙ ПОГРЕБ В АТЕНИ

Атенское ущелье исторически славилось наилучшими винами, которые изготовлялись из местного сорта винограда «Чинури».

Народная технология изготовления вина «атенури» сложна и своеобразна. Для получения вина была использована природная прохлада исходящая из глубин земли. Под открытым небом происходило брожение и созревание вина. Такие места и сегодня носят название «холодильного погреба

«марани», несмотря на то, что эта местность ныне полностью запущена.

Нужно сказать, что в Грузии, сравнительно хорошо сохранившиеся марани различных типов совершенно заброшены, тогда как хорошо ухоженные и реставрированные винные марани красноречиво могли бы указывать, что Грузия с давних времен являлась поставщиком, «винным погребом», для всего Ближнего Востока.

Л. ГАБУНИЯ

### ПРИСПОСОБЛЕНИЯ ДЛЯ МОЙКИ КВЕВРИ

Народная технология грузинских вин предусматривает тщательную мойку глиняных сосудов-квеври, предназначенных для брожения и долго-

временного хранения вина. Длительный и трудоемкий процесс мойки сосудов, зарываемых в грунт, обусловлен их крупными размерами. В ста-



ть охарактеризованы разновидности инвентаря для мойки куври, засвидетельствованные автором в Западной Грузии, в регионе Имерети. Конструктивные и функциональные особен-

ности этого инвентаря, а также на родные способы его изготовления свидетельствуют о древних традициях грузинского виноделия.

Л. БЕСЕЛИЯ

### НАРОДНЫЙ ИДЕАЛ ЖЕНСКОЙ КРАСОТЫ

В статье делается попытка выяснить и установить на основе этнографического материала и данных народной поэзии, что следует подразумевать под народным понятием о женской красоте, а именно, — какие признаки физической красоты входят в него. Кроме чисто физических, внешних признаков — черные глаза, белое лицо, длинные черные волосы и т. д. в статье рассматривается также ряд более трудноуловимых особенностей, из которых складывается эстетический облик, — манера смеять-

ся, взгляд, походка и др. Что касается вопроса эстетической впечатлительности народа, то можно твердо обосновать главным объектом и источником эстетических восприятий, хотя это обстоятельство редко проявляется прямо. Это подтверждается тем фактом, что все сравнения, посредством которых выражается отношение к другому эстетическому объекту, — наковым является, скажем, красивая девушка, — взяты из самой природы.

Н. МИНДАДЗЕ

### НАРОДНЫЕ СРЕДСТВА ЛЕЧЕНИЯ В ГРУЗИИ

Созданию лечебных средств способствовали человеческий инстинкт, наблюдательность, его мировоззрение и верования.

Человек не всегда мог объяснить реальную причину возникновения болезни, и поэтому часто нераспознанную болезнь приписывал злему духу. Для лечения этих болезней использовали магические религиозные средства, с целью «удаления» злого духа из организма больного.

Ряд этих средств оказывался вполне рациональным и по сей день употребляется в народной медицине. К ним можно отнести кровопускание, лечение обильным потоотделением и др.

Наше внимание привлекло зафиксированное в горных районах Восточной Грузии лечебное средство — банки — «котошки».

Банка — рог козули или быка с просверленным концом. Рог прикладывали на определенный участок тела со специально порезанным кожным покровом. С противоположного конца рога высасывался воздух, создавая тем самым вакуум, способствующий кровопусканию.

Данный метод, используемый в настоящее время с рациональной целью, по-видимому, первоначально имел магическое значение, о чем свидетельствует тот факт, что аналогичный метод лечения банками зафиксирован у африканских негров в виде магического лечения. Не исключена возможность, что и ряд других методов рационального лечения: ушные банки (котошки), чеснок и др. ранее употреблялись с магической целью.



06.10.57  
412.0001033

Исходя из вышесказанного, можно полагать, что использовавшиеся в прошлом некоторые магические средства лечения являлись весьма рацио-

нальными, в силу чего они по сей день широко применяются в народной медицине, хотя и потеряли свой первоначальный смысл.

## Ц. КАКАБАДЗЕ

### КУВШИН С ТРУБЧАТОЙ РУЧКОЙ

Как уже известно, средние и крупные сосуды в один прием изготовить невозможно. Как правило, они «строятся» поэтапно. Один из процессов изготовления кувшина — крепление ручки.

Ручки бывают нескольких типов — круглые и плоские в сечении, витые, плетеные, с наделами, трубчатые и т. д. В статье мы рассматриваем последний тип, который изготавливается только в селе Шроша и то лишь самыми опытными гончарами. Кувшины такого типа применяются для слива жидкости через сделанное в ручке отверстие.

Прототипами этих сосудов, по-видимому, являются раскопанные сосуды с трубчатymi ручками, по форме и функции совершенно идентичные с этнографическими экземплярами. Они были широко распространены на территории Грузии в VIII—III вв. до н. э. Одновременно с ними в Грузии бытовали и чайникообразные кувшины с трубчатыми носиками.

Чайникообразные глиняные сосуды поныне изготавливаются в Балхарах и в Средней Азии и используются как для питья воды, так и в ритуальных целях. Сосуды же с трубчатыми ушками, изготовленные шрошскими гончарами, применяются только для питья вина или воды, обычно во время полевых работ.

Функциональное единство сосудов с трубчатыми носиками и ушками — очевидно. По-видимому, сосуды с трубчатыми ушками генетически восходят к чайникообразным сосудам, являясь «улучшенным» вариантом последних — слиты воедино ручки с носиком и тем самым убрана лишняя выступающая и, следовательно, легко обламывающаяся часть сосуда. В менее хрупком материале, кановым является и серебро, чайникообразная форма сосудов выдержала испытание временем и осталась в быту многих восточных народов, прочной формой «ибрига».

## Л. БЕРНАШВИЛИ

### К ВОПРОСУ О «МЕСХИЙСКОЙ ДЖИЛГЕ»

По этнографическим данным, пахотное орудие джилга является для Месхети одним из самых распространенных орудий. Для данной территории ее можно считать в какой-то мере универсальным орудием, которое со временем принимает также функцию «большого плуга».

Г. С. Читая, изучив в своих работах пахотное орудие джилгу, дал ей

соответствующую научную квалификацию, установил этапы ее развития.

Дальнейшее этнографическое изучение джилги указывает на ее широкое применение в полеводстве Месхети. Бытовое содержание этого орудия еще раз подчеркивает несостоятельность некоторых высказываний о прищлости джилги в Месхети в недавнем прошлом.

### К ВОПРОСУ О НЕКОТОРЫХ ДОМАШНИХ ПРОМЫСЛАХ СРЕДИ НАСЕЛЕНИЯ ЦАЛКСКОГО РАЙОНА

В первой четверти XIX века на территории Южной Грузии, в Триалети, в результате русско-турецкой войны 1828—1829 гг. и заключения Адрианопольского мира были поселены грузины, армяне и греки (урумы) — выходцы из северо-восточных вилайетов Турции.

В настоящее время армяне Цалкского района проживают в следующих селениях: Аязма, Нардеван, Куци, Кызыл-килиса, Ози, Буриашет, Ашкала, Кабур, Хачков, Тамала-хараба, Чивт-килиса, Дараков, Дашбаш; частично в селении Ахалык.

Объектом изучения настоящей работы являются два армянских села: Тамала-хараба, Кызыл-килиса.

В прошлом веке в селениях Тамала-хараба и частично Кызыл-килиса бы-

ли поселены армяне цыганского происхождения, так называемые армяне-боша.

В работе выяснено, что в результате продолжительного оседлого существования цыган-боша с армянами произошла ассимиляция первых; подобное явление мы имеем с персидскими цыганами-карачи, таджикскими — люли, курдскими — мытрыбами.

Несмотря на далеко зашедший процесс ассимиляции, часть цалкских армян-боша, проживающих в Тамала-хараба и частично в Кызыл-килиса, сумели сохранить некоторые элементы быта и культуры, домашних промыслов: кузнечество, изготовление мелких серебряных изделий, плетение корзин, характерные для цыган-боша, проживающих в Турции.

Г. ДАВИТАШВИЛИ

### НЕКОТОРЫЕ ОСОБЕННОСТИ ИНТЕРЬЕРА ГОРСКОГО ЖИЛОГО ДОМА

В статье автор рассматривает некоторые конструктивные особенности интерьера горского жилища Восточной Грузии.

Главным образом речь идет об интерьере жилого дома террасообразного типа, к которому относятся хевсурский и мтиулетский «калонани сахлеби» (дома с гумном). Несмотря на внешнее сходство, эти дома имеют

разную планировку и конструктивные элементы. Все это влияло на принципы организации внутреннего пространства.

Функция, конструкция и эстетическая сторона в интерьере жилища создавали органичную целостность, которая достигалась технико-конструктивной целесообразностью и тектонической форм.

Р. ПАТАРИДЗЕ

### НАЗВАНИЯ БУКВ В «ЭРКАТАГИРЕ»

В алфавите буквы имеют свои названия. В семитическом алфавите названия букв имеют смысловое значение, т. е. соответствуют идеографи-

ческому значению самой буквы. К примеру: первая буква семитического алфавита — идеографическое изображение быка; соответственно буква на-



зывается «алеф» («алф»), что значит бык.

Буквы в греческом алфавите имеют семитические названия с добавлением «а» в конце слова-имени буквы. К примеру: семит. — «алф», греч. — «альфа»; семит. — «бет» греч. — «бета» и т. д.

В этрусском и латинском алфавитах названия букв—или открытые или закрытые слога: а, бе, це, де и т. д. ел, ем, ен, ер и т. д.

В грузинском алфавите буквы именуются посредством слоговых единиц — ан, ин, ен, он, ар, ил, а также двусложной единицей—ае (вариант—ие). В алфавите они выполняют функцию календарных указаний.

На основе этих четырех систем наименования букв выведена своеобразная система наименования букв в Эркатагире.

В азбуке Эркатагира осуществлена односложная система наименования букв, в одних случаях по образу и подобию латинских, грузинских и греческих наименований букв, в других случаях—посредством превращения семитических словесных названий

букв в односложные наименования

Примеры:

Семит. — Гимел в Эркатагире — Гим; сем. — Далет, в Эрк. — Да; сем. — Зайн, в Эрк. — За; сем. — Реш, в Эрк. — Ре; семит. — Нун, в Эрк. — Ну; семит. — Вав, в Эрк. — Вев

По латинскому образцу в Эркатагире буквы имеют имена: Пе, Же Ре, Се, Хе и т. д.

Видимо, по образцу греческого наименования буквы Ро в Эркатагире имеем: О, То (мягкое), Цо, Но.

Во многих случаях грузинские имена букв являются исходными формами наименований букв в Эркатагире.

Примеры:

Груз. — Ин, в Эркатагире — Ин; груз. — Бан, в Эрк. — Бен; груз. — Кан, в Эрк. — Кен; груз. — Ман, в Эрк. — Мен; груз. — Пар (мягкое), в Эрк. — Пвир (мягк.); груз. — Рае, в Эрк. — Ра; груз. Чар (тверд.), в Эрк. — Ча (тверд.); груз. Эе, в Эрк. — Э; груз. Иие, в Эрк. — Ии и т. д.

Следует сделать вывод: имена букв в Эркатагире—семитическо-греческого, латинского, и, возможно, грузинского происхождения.

## Н. АЗИКУРИ

### ТУШИНСКАЯ БАЦУКА

В статье дается материальный и функциональный анализ ритуального хлеба «Бацука», засвидетельствованного в быту тушин.

Термин «Бацука» этимологически связан с грузинским божеством дохристианского верования «Бочи».

Термином «Бацука» обозначаются ритуальные хлебцы антропоморфного и зооморфного характера. Эти хлебцы

в Тушети пекли к следующим религиозным праздникам: к новогоднему, «Мгелджихваоба», «Султкрепа» и «Шапуртоба».

В народных верованиях тушин, согласно этнографическим материалам, выявляется связь вышеназванных ритуальных хлебцев с культом плодородия и аграрными культурами.

ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ

Серия: «Памятники материальной культуры»

Выходит на общественных началах  
«ДЗЕГЛИС МЕГОВАРИ»

(Друзья памятников культуры)

Сборник сорок второй

(На грузинском языке)



ქართული  
საქმიანობა

